

სამოქალაქო

პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32,
ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიბეული

1. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცების ტვირთი;	
მტკიცებულებათა დასაშვებობა	4
დაუშვებელი მტკიცებულება	38
მტკიცებულებათა შეფასება	50; 61; 76
ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას	98

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის	
ერთი სახის შეცვლა მეორით	116
სარჩელის უზრუნველყოფით	
გამონვეული ზარალის ანაზღაურება	127

3. დაუსრულებელი გადანყვეტილება

დაუსრულებელი გადანყვეტილების	
გამოტანის დაუშვებლობა	153
დაუსრულებელი გადანყვეტილების	
გაუქმების საფუძველი	164

4. საქმისწარმოების შეჩერება

სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმისწარმოება	176
---	-----

5. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება	
ხელახლა განსახილველად	193

1. სასამართლო მტკიცებულება

მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1224-1149-2015

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ზიანის
ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 4 იანვრის დადგენილებით დაფუძნდა შპს „მ-ი“ /ს.ნ. .../ (შემდეგში: პირველი საწარმო ან შპს, თავდაპირველი მოიჯარე), რომლის დამფუძნებელს და საწესდებო კაპიტალის 52.5% წილის მფლობელ პარტნიორს წარმოადგენდა თ. ნ-ე (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი საწარმოს 52.5% წილის მფლობელი პარტნიორი ფიზიკური პირი, 52,5% წილის დამთმობი ფიზიკური პირი ან პირველი კასატორი).

2. პირველ საწარმოსა და სს „ფ-ს“ (შემდეგში ნავსადგური, მეიჯარე) შორის, 2003 წლის 19 ივლისს, გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება (შემდეგში საიჯარო კონტრაქტი) 10 წლით, რომლის საფუძველზე ნავსადგურმა №5 ნავმისადგომი (ტერმინალი) იჯარით გადასცა პირველ საწარმოს (იხ. საიჯარო კონტრაქტი). 2005 წლის 08 თებერვალს, საიჯარო კონტრაქტში, მხარეებმა შეიტანეს ცვლილება და ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 25 წელი (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 581-ე, 582-ე მუხლები).

3. 2006 წლის 30 ოქტომბერს პირველი საწარმოს 52.5% წილის მფლობელი პარტნიორის ძმამ – ნ. ნ-ემ და დ. კ-მა (შემდეგში თავდაცვის ყოფილი მინისტრი) დააფუძნეს შპს „ლ-ი“, თითოეული პარტნიორის წილი 50 %-ით განისაზღვრა.

4. პირველი საწარმოს პარტნიორთა კრების 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, ამავე საწარმოს, 52.5% წილის მფლობელ

პარტნიორს ნება დაერთო, კუთვნილი წილი დაეთმო კომანდიტური საზოგადოების „ს-ი“ (შემდეგში კს ან 52,5% წილის მიმღები ან შემძენი საწარმო) სასარგებლოდ; ამავე კრებაზე, ბათილად ჩაითვა ადრე მიღებული გადაწყვეტილება 52.5% წილის მფლობელი პარტნიორის წილის გასხვისებაზე; ასევე, პარტნიორებმა გადანყვიტეს, დივიდენდები განაწილებულიყო, თავისუფალი სახსრების ფარგლებში, შემდეგი წყაროებიდან: სალარო, ბანკი და დებიტორული დავალიანებები (2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით); პირველი საწარმოს 52.5% წილის მფლობელმა პარტნიორმა, წილის შემძენი საწარმოს (კს) სასარგებლოდ, უარი განაცხადა 2011 წლის 1 თებერვლიდან მისაღებ შემოსავლებზე, ხოლო მისი კუთვნილი დივიდენდის გაანგარიშება მხოლოდ 2011 წლის 30 იანვრის ჩათვლით უნდა მომხდარიყო (იხ. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება).

5. 2011 წლის 7 თებერვალს, სანოტარო წესით, გაფორმდა წილის დათმობის ხელშეკრულება (სსკ-ის 198-ე, 199-ე მუხლები), რომლის საფუძველზე პირველი საწარმოს 52.5% წილის მფლობელი პარტნიორმა (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) კუთვნილი წილი 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარად გაასხვისა კს-ზე ამასთან, ხელშეკრულებაში გაკეთებულია დათქმა, რომ წილის მიმღები ადამიანს უფლებას წილის დამთმობს, მიეღოს მხარეთა მიერ შეთანხმებული აუდიტის მიერ, საწარმოში 2011 წლის 31 იანვრის ჩათვლით დაფიქსირებული წმინდა მოგების 52,5%.

6. 2011 წლის 07 თებერვლის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, წილის შემძენი კს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში (შემდეგში სამენარმეო რეესტრი) დარეგისტრირდა 52,5% წილის მფლობელ პარტნიორად პირველ საწარმოში; მასთან ერთად, იმავდროულად, პირველი საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორებს წარმოადგენდნენ: გ. კ-ი – 5%; ო-იმ – 5%; ვ. ფ-ი – 5%; ზ. ვ-ა – 1.75%, თ. ჩ-ი – 17%; გ. კ-ა – 3,5%; თ. ჯ-ა – 6%, რ. გ-ე – 2.5%, ზ. გ-ა – 1.75%.

7. პირველი საწარმოს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) დამფუძნებელმა პარტნიორებმა დააფუძნეს ახალი შპს – „მ-ი“ (შემდეგში მეორე საწარმო ან შპს, მეორე მოიჯარე), რომელიც სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2011 წლის 24 თებერვალს. მეორე საწარმოს დამფუძნებლები არიან წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ცხრა ფიზიკური პირი (ცხრავე ფიზიკური პირი 04.01.2000 წელს პირველი საწარმოს დამფუძნებელი იყო 52,5%-ის მფლობელ ფიზიკურ პირთან ერთად) და კს (იხ. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან). ამჟამად ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული კს – ის 52,5%-ის წილის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ტ-ი“, მაგრამ მოპასუხეს, მეორე საწარმოს დაფუძნება

კს-ის 52,5% წილით, სადავოდ არ გაუხდია (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს უდავო ფაქტობრივი გარემოებები).

8. 2011 წლის 17 მარტს ნავსადგურს, პირველ საწარმოსა და მეორე საწარმოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ნავსადგურსა და პირველ მოიჯარეს შორის, 2003 წლის 19 ივლისს ხელმოწერილი №5 ტერმინალის საიჯარო კონტრაქტის (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) დამატება №2, რომლის შესაბამისად, საიჯარო კონტრაქტში, პირველ საწარმოს ჩაენაცვლა მეორე საწარმო (იხ. 2011 წლის 17 მარტის ხელშეკრულება).

9. მეორე დღესვე, 2011 წლის 18 მარტს, პირველ საწარმოსა და მეორე საწარმოს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელს იჯარით გადაეცა ხელშეკრულებაში მითითებული ძირითადი საშუალებები (იხ. იჯარის ხელშეკრულება).

10. შპს „ს-ს“ მიერ 2011 წლის 10 აპრილს მომზადებული აუდიტორული დასკვნით (შემდეგში აუდიტორული დასკვნა) დადგინდა, რომ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, პირველი საწარმოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 3 742 611,66 ლარს. 2010 წლის განმავლობაში, წინა წლების მოგების ანგარიშში, დივიდენდად ყველა პარტნიორზე თანაბარწილად განაწილდა 1 000 000 ლარი, რის შედეგადაც წინა წლების შედეგებით, გაუნაწილებელი მოგება განისაზღვრა 2 742 611 ლარით. 2010 წლის განმავლობაში საწარმოს ერთობლივმა შემოსავალმა (დღგ-ს გარეშე) შეადგინა 18 369 318 ლარი, ხოლო ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი იყო 14 520 662 ლარი, ხარჯი საგადასახადო მოგების გადასახადზე იყო – 584 104 ლარი, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის ანარიცხი – 28 980 ლარი, რისი გათვალისწინებითაც, 2010 წლის შედეგებით, დივიდენდად გასანაწილებელი წმინდა მოგება განისაზღვრა 3 235 572 ლარით. 2011 წლის იანვრის თვის შედეგებით, წმინდა მოგება განისაზღვრა 435 931 ლარით. საბოლოოდ კი, აუდიტის დასკვნის შედეგად, დადგინდა, რომ 2011 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 3 210 476 ლარს (იხ. აუდიტორული დასკვნა).

11. 2011 წლის 28 აპრილს, პირველი საწარმოს პარტნიორთა კრებამ (ამ დროისათვის საწარმოს 52,5% წილის მფლობელია უკვე კს – იხ. ამ განჩინების მე-5, მე-6 პუნქტები) გადაწყვიტა, პირველი შპს-ის, 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგება – 3 210 467 ლარი, დივიდენდის სახით, განაწილებულიყო, მათ შორის, მოსარჩელეზე (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) 52,5% (იხ. საწარმოს პარტნიორთა 28.04.2011წ. კრების ოქმი). შესაბამისად, 2011 წლის 07 თებერვლის წილის გასხვისების ხელშეკრულებისა და 28.04.2011წ. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების სა-

ფუძველზე, მოსარჩელეზე საწარმოს სალაროდან, ნაღდი ფულის სახით, 2011 წლის 29 აპრილს, გაიცა 1 301 220,42 ლარი, იმავე დღეს, მოსარჩელის ანგარიშზე გადაირიცხა 300 000 ლარი.

12. პირველი საწარმოს მიერ 2013 წლის 25 იანვარს გაცემული ცნობის (მფ №2-001-01-ქ) მიხედვით, 2010 წლის განმავლობაში, ტვირთების გადამუშავების შედეგად, ამავე საწარმოს მიერ დივიდენდის სახით მიღებულმა გასანაწილებელმა მოგებამ შეადგინა 2 092 283 ლარი, საიდანაც 52.5% წილის მფლობელმა პარტნიორმა (მოსარჩელემ) მიიღო 1 043 526,16 (ერთი მილიონ ორმოცდასამი ათას ხუთას ოცდაექვსი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი.

13. საწარმოს დირექტორის 2013 წლის 30 მაისის ცნობით, ასევე, დასტურდება, რომ 2010 წლის 26 ოქტომბერს მოსარჩელეზე გაიცა დივიდენდი 1 597 818,74 ლარი, საიდანაც, სალაროდან 2010 წლის 26 ოქტომბერს გაიცა 1 326 675 ლარი, ხოლო 2011 წლის 7 თებერვალს – 271 143,74 ლარი (იხ. პირველი შპს-ის მიერ გაცემული ცნობა, სალაროს გასავლის ორდერი; საგადახდო დავალებები).

14. საწარმოს 52.5% წილის მფლობელმა ფიზიკურმა პირმა, 2013 წლის 7 მარტს, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელშიც მიუთითა ამ განჩინების 1-13 პუნქტებში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ 2010 წლიდან დაიწყო მისი მიზანმიმართული დევნა და დაშინება თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი). მოსარჩელემ, წინასასარჩელო უზრუნველყოფის სახით, სსსკ-ის 191-ე, 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებზე დაყრდნობით, მოითხოვა, დაყადაღებულიყო მოპასუხის – კს-ის სახელზე რიცხული 52,5% წილი პირველი შპს-ს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) კაპიტალში, დაყადაღებულიყო მოპასუხის მეორე შპს-ს (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი) მოძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები, დაყადაღებულიყო მოპასუხის – თავდაცვის ყოფილი მინისტრის (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) სახელზე რიცხული უძრავი ქონებები; ამავე განცხადებით, მოსარჩელემ მოითხოვა, აკრძალვოდა მეორე შპს-ს, 2011 წლის 17 მარტს და 18 მარტს (იხ. ამ განჩინების 8-9 პუნქტები) დადებული ხელშეკრულებებით, მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა.

[თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სარჩელის აღძვრამდე, მისი უზრუნველყოფის მოთხოვნით, მოსარჩელის მიერ შეტანილი განცხადება (იხ. განჩინება საქმეზე № 2/188663-13), რაც იმავე სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, 2013 წლის 22 მარტის განჩინებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასამართლომ და ყადაღა დაედო კს-ის კუთ-

ვნილ 52,5% წილს პირველ შპს-ში, ხოლო დანარჩენ ნაწილში უარყოფილი საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული 11.03.2013წ. განჩინება განმცხადებლის საჩივრის უარყოფილ ნაწილში და, ახალი განჩინების მიღებით, დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 23 აპრილს გასცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მეორე შპს-ის წარმომადგენელმა, რომელმაც სსსკ-ის 197¹, 414-415-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვა განჩინებისა და სააღსრულებო ფურცლის გაუქმება იმ ნაწილში, რომლებითაც ყადაღა დაედო კერძო საჩივრის ავტორის საწარმოს მოძრავ ქონებებს, საბანკო ანგარიშებს და საწარმოს აეკრძალა 2011 წლის 17 მარტს და 18 მარტს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მისი უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით მეორე შპს-ს კერძო საჩივარი, სსსკ-ის 197¹, 197², 372-ე, 419-ე, 420-ე მუხლებზე დაყრდნობით, დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მოტივაციით, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს (მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს) განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა უზენაეს სასამართლოში.

კერძო საჩივრის შეტანის დღესვე, 2013 წლის 01 მაისის განცხადებით მეორე შპს-მ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული 22.04.2013წ. განჩინების განმარტება, რაც, ასევე არ დაკმაყოფილდა იმავე სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით მეორე შპს-ის კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტებაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მეორე შპს-ს წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილების მე-3 და მე-4 პუნქტები განიმარტა

იმგვარად, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ერთობლიობაში 2 300 000 ლარის უზრუნველსაყოფად, ყადაღა დაედო თავდაცვის ყოფილი მინისტრის სახელზე რიცხულ რამდენიმე უძრავ ქონებას; მეორე შპს-ის საბანკო ანგარიშებს კონკრეტულ საბანკო დანესებულებებში.

მოსარჩელემ, 2013 წლის 29 ნოემბერს, კერძო საჩივარი წარადგინა საკასაციო სასამართლოში, მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და მეორე შპს-ის შუამდგომლობის უარყოფა.

საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის კერძო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და მეორე შპს-ის განცხადება იმავე სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა].

15. მოსარჩელემ 2013 წლის 7 მაისს აღძრა სარჩელი (იხ. სარჩელი), რომლის ფასი განსაზღვრა 2 300 000 ლარით, ხოლო დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა 8 503 030 ლარი; მოპასუხეებად დაასახელა ხუთი პირი: პირველი შპს (იხ. განჩინების პირველი პუნქტი), მეორე შპს (იხ. განჩინების მე-7 პუნქტი), კს (იხ. განჩინების მე-4 პუნქტი), ნავსადგური (იხ. განჩინების მე-2 პუნქტი) და თავდაცვის ყოფილი მინისტრი (იხ. განჩინების მე-3 პუნქტი). სასარჩელო მოთხოვნები და თითოეულის სამართლებრივი საფუძველი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. მოსარჩელესა და კს-ს შორის 07.02.2011წ. დადებული პირველი შპს-ის 52,5%-ის წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ამავე საწარმოში მოსარჩელის 52,5% წილის მესაკუთრედ ცნობა (სსკ-ის 54-ე, 85-ე მუხლები);

2. ნავსადგურს, პირველ შპს-ს და მეორე შპს-ს შორის 17.03.2011წ. დადებული საიჯარო კონტრაქტის № 2 დამატებისა და 18.03.2011წ. პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების (იხ. ამ განჩინების 8-9 პუნქტები) ბათილად ცნობა (სსკ-ის 54-ე მუხლი, მენარმეთა კანონის 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტები);

3. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეებისათვის – თავდაცვის ყოფილ მინისტრსა და მეორე შპს-ს – სოლიდარულად 3 995 642 ლარის გადახდის დკისრება (სსკ-ის 983-ე, 992-ე მუხლები).

16. მოპასუხეებმა არ ცნეს სარჩელი. კს-მ, პირველმა და მეორე შპს – ებმა წარადგინეს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავი შესაგებელი, სადაც მიუთითეს, რომ 07.02.2011წ. წილის დათმობის ხელშეკრულებით, კს-ზე გადავიდა ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც დასათმობ წილს გააჩნდა, ამასთან, სამე-

წარმო რეესტრში პირველი საწარმოს 52,5%-ის მფლობელად კს-ის დარეგისტრირების შემდეგ, ამ უკანასკნელზე გადავიდა პირველ საწარმოში მოგების მიღების უფლება. მას შემდეგ, რაც კს-მ მიიღო პირველ საწარმოში მოგების მიღების უფლება, მოსარჩელეს გადაუხადა 1 601 202,40 ლარი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ წილი გაიყიდა არა ნომინალურ ღირებულებად, არამედ 1 601 220,40 ლარს + 1050 ლარი; მოსარჩელის მითითება იძულებაზე სრულიად დაუსაბუთებელი იყო, წილის გასხვისება ადრეც სურდა მოსარჩელეს, ხოლო 30.10.2011წ. პარტნიორთა კრებას ყველა პარტნიორი ესწრებოდა, სადაც მოსარჩელემ წარადგინა განაცხადება მისი კუთვნილი წილის გასხვისების თაობაზე, ხოლო პარტნიორებმა ნება დართეს 52,5% მფლობელ პარტნიორს წილი გაეხვისებინა კს-ზე; ნავსადგურის შესაგებელში დაფიქსირებულია პოზიცია 17.03.2011წ. საიჯარო კონტრაქტის დამატების თაობაზე და ამ წილში მოპასუხეს უსაფუძლოდ მიაჩნია სასარჩელო მოთხოვნა. თავდაცვის ყოფილი მინისტრის შესაგებელში მითითებულია, რომ სასარჩელო მოთხოვნა აბსურდულია ამ მოპასუხის წინააღმდეგ, დაუსაბუთებელია ორ სუბიექტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დაკავშირება ყოფილ მინისტრთან.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით:

1. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
2. ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და კს-ს შორის 2011 წლის 7 თებერვალს დადებული ხელშეკრულება პირველი შპს-ის 52,5% წილის დათმობის შესახებ;
3. მოსარჩელეს საკუთრებაში დაუბრუნდა პირველი შპს-ს საწესდებო კაპიტალის 52,5% წილი;
4. ბათილად იქნა ცნობილი ნავსადგურს, პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის, 2011 წლის 17 მარტს გაფორმებული, ნავსადგურსა და პირველ შპს-ს შორის, 2003 წლის 19 ივლისს ხელმოწერილი, ნავსადგურის №5 ტერმინალის საიჯარო კონტრაქტის დამატება №2;
5. ბათილად იქნა ცნობილი პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის 2011 წლის 18 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;
6. ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ მხარეთა შორის გაანაწილა სახელმწიფო ბაჟი, ასევე, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

18. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში იმსჯელა სსკ-ის 54-ე, 319-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ზოგადად, ხელშეკრუ-

ლების დადებით, მისი მონაწილე მხარეები სარგებელს უნდა იღებდნენ, განსახილველ საქმეში კი, სადავო გარიგება, სამენარმოე საზოგადოებაში წილის გასხვისების შესახებ, არ შეესაბამებოდა გონივრულობის სტანდარტებს და ეწინააღმდეგებოდა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს – მხარეებმა დადონ მათთვის ხელსაყრელი გარიგებები. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სანარმოში კუთვნილი წილის გასხვისების ხელშეკრულებით, რაიმე სარგებლის მიღების ფაქტი არ დასტურდებოდა. გარიგებით გამყიდველმა მიიღო წილის ნომინალური ღირებულება და დივიდენდი, რომლის მიღების უფლება, მას ისედაც გააჩნდა.

19. საქალაქო სასამართლომ, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსის ჩამოყალიბება უნდა ატარებდეს კეთილსინდისიერ ხასიათს, არ უნდა იყოს კანონსწინააღმდეგო და არ უნდა არღვევდეს მორალურ პრინციპებს. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელესა და მოპასუხე კს-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ დგინდებოდა მყიდველის რაიმე ვალდებულება, გარდა იმისა, რომ გადაეხადა 1050 ლარი, მაშინ, როდესაც, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ გასხვისებული წილის ღირებულება დაახლოებით 4 507 388 ლარი იყო. გარიგების თანახმად, ერთადერთი, რაც მყიდველს უნდა უზრუნველყო, ის იყო, რომ აუდიტის დასკვნის შესაბამისად, გაეცა გაუნაწილებელი დივიდენდი და იმ შემთხვევაში, თუ აუდიტი დაადგენდა, რომ სანარმოს არ გააჩნდა გაუნაწილებელი მოგება, მყიდველს რაიმე სხვა თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობოდა. სასამართლომ, ხელშეკრულების შინაარსის ანალიზის შედეგად, მიიჩნია, რომ გარიგება გამყიდველისათვის კაბალური იყო და ის სცილდებოდა მორალურ სტანდარტებს.

20. სასამართლომ განმარტა, რომ ამორალური გარიგების დროს, დავის ობიექტური ფაქტორები გადასწონის სუბიექტურს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ობიექტური ფაქტორები წინააღმდეგობაში მოდის სამართლის პრინციპებთან. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნეს გონივრულობის, ჯეროვანების პრინციპიდან გამომდინარე. როდესაც გარიგება არღვევს კეთილსინდისიერი ქცევის პრინციპს, ამ დროს ობიექტური კრიტერიუმები სჯაბნის სუბიექტურს.

21. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში, მოსარჩელესა და მოპასუხე კს-ს შორის 07.02.2011წ. დადებული ხელშეკრულება პირველი შპს-ს 52,5% წილის დათმობის შესახებ, არღვევდა მორალურ სტანდარტებს, ვინაიდან სახეზე იყო

თვალშისაცემი შუსაბამობა შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები იმაზე მიუთითებდა, რომ სარგებლის მიმღები დასაძრახი მოტივებით მოქმედებდა და მყიდველმა შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოიყენა გამყიდველის ისეთი მდგომარეობა, რამაც ეს უკანასკნელი აიძულა, დაედო მისთვის არახელსაყრელი გარიგება.

22. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ პირის მიერ, რომელიც წარმატებული ბიზნესის მფლობელია, საიდანაც სოლიდური შემოსავალი გააჩნია, ქონების გასხვისება მინიმალურ ფასად, გონივრულობას იყო მოკლებული, მით უმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც მხოლოდ 2011 წლის იანვრის თვეში, საწარმოს წმინდა მოგება შეადგინდა 453 931 ლარი, წილი კი იმავე წლის 7 თებერვალს გასხვისდა.

23. სასამართლომ მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის გათვალისწინებით, ის გარემოებაც შეაფასა, რომ საწარმოს წილის შემქმნმა კს-მ ვერ წარადგინა მისი კეთილსინდისიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც ამგვარი კაპალური გარიგების დადების დროს, სწორედ მოპასუხის კუთვნილი მტკიცების საგანი იყო.

24. საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნტზე მითითებით, ბათილ გარიგებებად მიიჩნია 17.03.2011 წ. და 18.03.2011 წ. ხელშეკრულებები (იხ. ამ განჩინების მე-8 და მე-9 პუნქტები), რომელთა ბათილად ცნობის გარეშე, დაირღვეოდა დასახელებული ნორმის არსი – ქონების რესტიტუცია. სასამართლოს მსჯელობით, საწარმოს 52,5% წილის დაბრუნების შემთხვევაში, მოსარჩელეს ვერ დაუბრუნდებოდა ის ქონება, რაც გადასცა მყიდველს, რადგან სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმოს, პარტნიორების შეგნებული მოქმედების შედეგად, აღარ გააჩნია შემოსავლის წყარო, გარდა 18.03.2011 წ. იჯარის ხელშეკრულებიდან მისაღები ქირისა. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით, მოსარჩელის სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

25. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება, მოსარჩელემ ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სარჩელის უარყოფილ ნაწილში (იხ. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი); ასევე, სააპელაციო პრეტენზიები წარადგინეს მოპასუხეებმა:

25.1. ნავსადგურმა მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში (ნავსადგურს, პირველ და მეორე შპს-ებს შორის 2011 წლის 17 მარტს გაფორმებული, №2 დამატების გაუქმება, შესაბამისად, დაკისრებული სახელმწიფო ბაჟიც);

25.2. კს-მ, პირველმა შპს-მ და მეორე შპს-მ მოითხოვეს გადან-

ყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და კს-ს შორის, 2011 წლის 7 თებერვალს, ხელმოწერილი წილის დათმობის ხელშეკრულება და მოსარჩელეს დაუბრუნდა სანარმოს 52,5% წილი; მითითებულმა სამმა მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა 17.03.2011 წლის კონტრაქტის №2 დამატების გაუქმების ნაწილშიც, 18.03.2011წ. პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების ნაწილშიც, ასევე, მოპასუხეთათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილშიც.

26. პირველ სანარმოში 52,5%-ის მფლობელი პარტნიორი ფიზიკური პირის სააპელაციო საჩივრის მოტივები:

26.1 მოსარჩელემ წარადგინა არაერთი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ 07.02.2011წ. ხელშეკრულებას (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) მოსარჩელემ მასზე განხორციელებული იძულებისა და ზეწოლის შედეგად მოაწერა ხელი. სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხრიდან იძულების პირობებში რომ განხორციელდა, მოსარჩელის მტკიცებით, დასტურდებოდა შემდეგი გარემოებებით:

26.1.1. მოწმე ლ. ჭ-ემ თავის ჩვენებაში პირდაპირ დაადასტურა, რომ 2010 წლის სექტემბერში მოსარჩელესა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის შეხვედრისას, ეს უკანასკნელი ემუქრებოდა მოსარჩელეს და მოითხოვდა წილების გადაფორმებას;

26.1.2. საქმეზე გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმე ი. ნ-ის 24.01.2013წ. დაკითხვის ოქმის თანახმად, იგი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავალებით, წარმოადგენდა კომპანია „დ-ს“ 29.10.2010წ. ხელშეკრულების ხელმოწერისას. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერით შპს „ლ-ის“ სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, ყოფილი მინისტრი სანესდებო კაპიტალში 50%-ის მფლობელია;

26.1.3. მოწმედ დაკითხულმა გ. ქ-ემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეზე მეთვალყურეობა განპირობებული იყო მასზე შესაძლო თავდასხმით, თუმცა, მან ვერ მიუთითა, ვინ გასცა აღნიშნული დავალება, ვერც რაიმე დოკუმენტი წარადგინა აღნიშნული მეთვალყურეობის დაწესების საფუძვლების მითითებით. ამასთან, მოწმედ დაკითხულმა ჯ. ი-მა და ლ. კ-მ თავის ჩვენებებში აღნიშნეს, რომ მოსარჩელეზე ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მეთვალყურეობა ატარებდა არა პიროვნების დაცვის, არამედ მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხასიათს. ასევე მოწმეებად დაკითხულმა გ. პ-მა და პ. ნ-ამ დაადასტურეს, რომ მოსარჩელეზე ნამდვილად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ დაშინებას;

26.1.4. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველ პუნქტსა და 983-ე მუხლზე დაყრდნობით, ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 07 თებერვლის, 17 მარტის და 18 მარტის ხელშეკრულებები. აღნიშნული გარიგებების საფუძველზე განხორციელდა როგორც მოსარჩელის წილის უკანონო დათმობა, ასევე, უკანონო გარიგებებით შეძენილი უფლებების გამოყენების შედეგად, მეორე შპს-ის მიერ შემოსავლის მიღება; 07.02.2011წ. გარიგების არარსებობის პირობებში, შეუძლებელი გახდებოდა 2011 წლის 17 მარტისა და 18 მარტის ხელშეკრულებებით განპირობებული სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობა. ამდენად, მეორე შპს-მ მიიღო ის შემოსავალი, რომლის მიღების სამართლებრივ წყაროს წარმოადგენდა 07.02.2011წ. გარიგება. შესაბამისად, მეორე შპს უსაფუძვლოდ გამდიდრდა მოსარჩელის და არა პირველი შპს-ს ხარჯზე;

26.1.5. მოსარჩელის მტკიცებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მისთვის მიყენებული ზიანი, მიუღებელი შემოსავლის სახით, გამოწვეული იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით – დელიქტით. შესაბამისად, ყოფილი მინისტრი, სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი;

27. ნავსადგურის სააპელაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

27.1. სასამართლომ კს-სა და მოსარჩელეს შორის 07.02.2011წ. დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველზე, ასევე, ბათილად ცნო ნავსადგურს, პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის 2011 წლის 17 მარტს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების დამატება №2 (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

27.2. ნავსადგურისათვის, ხელშეკრულების დადების მომენტში, უცნობი იყო ყველა ის გარემოება, რაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია აღწერილი. ნავსადგური არ წარმოადგენს ამ ურთიერთობის მხარეს, მას არ გააჩნია სამართლებრივი ინტერესი ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მხარეებს არასდროს გაუმჟღავნებიათ ნავსადგურისათვის, გადაწყვეტილებით აღწერილი გარემოებები. პირველი სანარმო წარმოადგენდა იჯარის გადამხდელს, რომელიც მისივე თხოვნით და თანხმობით ჩანაცვლდა მეორე სანარმით. ეს უკანასკნელი იჯარის კეთილსინდისიერი გადამხდელია, რაც რეალურად ნავსადგურის ერთადერთი ინტერესია. 24.02.2011წ. პირველი სანარმოს დირექტორმა რ. გ-ემ წერილით მიმართა ნავსადგურის გენერალურ დირექტორს, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველი სანარმო პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2003 წლის 19 ივლისს, პირველ შპს-სა და ნავსადგურს

შორის დადებული ხელშეკრულებით, პირველი შპს-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ეკისრა მეორე შპს-ს. აღნიშნულ წერილს ერთვოდა პირველი შპს-ს 21.02.2011წ. პარტნიორთა კრების ოქმი. ნავსადგურის მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო პირველი შპს-ს პარტნიორთა გადაწყვეტილება და გაფორმდა ხელშეკრულება პირველ შპს-ს, მეორე შპს-სა და ნავსადგურს შორის.

27.3. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო პირველი შპს-ს პარტნიორთა კრების 21.02.2011წ. გადაწყვეტილების თაობაზე, მას აღნიშნული კრების ოქმი არ გაუხაჩივრებია. ამ კრების ოქმის ბათლად ცნობის გარეშე, დაუშვებელია 17.03.2011წ. ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ნავსადგურის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმება და მოიჯარის ჩანაცვლება მოხდა პირველი შპს-ს გადაწყვეტილებით, ორივე კომპანიის მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე.

28. კს-ს, პირველი შპს-ს და მეორე შპს-ს სააპელაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ პრეტენზიებს:

28.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია კს-სა და მოსარჩელეს შორის 07.02.2011წ. დადებული გარიგება ამორალურად. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, იმისთვის, რომ გარიგება ამორალურად (არაკეთილსინდისიერად) იქნეს მიჩნეული, აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ორი პირობა: პირველი – ერთი მხარე უნდა იყენებდეს მეორე მხარის უმწეო მდგომარეობაში ყოფნას, გამოუცდებლობას, გონივრული განსჯის უუნარობას ან უყურადღებობას (ანუ სარგებლის მიმღები უნდა მოქმედებდეს გასაკიცხი მოტივაციით) და მეორე – სახეზე უნდა იყოს ამკარა შეუსაბამობა შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის;

28.2. მოცემულ შემთხვევაში, არცერთი გარემოება, ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის უმწეო მდგომარეობაში ყოფნას, გამოუცდებლობას, გონივრული განსჯის უუნარობას ან უყურადღებობას, 2011 წლის 07 თებერვლის ხელშეკრულების დადების დროს, სასამართლოს მიერ დადგენილი არ ყოფილა. არ დასტურდება, რომ კს-სათვის ცნობილი იყო მოსარჩელის გამოუცდებლობა, გონივრული განსჯის უუნარობის, უყურადღებობის ან უმწეო მდგომარეობაში ყოფნის შესახებ. შესაბამისად, არ არსებობდა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლოს მიერ 2011 წლის 07 თებერვლის წილის დათმობის ხელშეკრულების ამორალურ გარიგებად ცნობისათვის;

28.3. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 54-ე მუხლი,

რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 55-ე მუხლი;

28.4. საქმეში წარმოდგენილია პირველი შპს-ის 31.01.2011წ. პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც მოსარჩელეს ნება დაერთო, გაესხვისებინა მისი კუთვნილი წილი კს-ში. აღნიშნული კრების ოქმით დასტურდება, რომ მოსარჩელეს ადრევე სურდა პირველ შპს-ში კუთვნილ წილის გასხვისება, რისთვისაც მიიღო პარტნიორთა თანხმობა. 31.01.2011წ. სხდომის ოქმის თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა, ბათილად ჩათვლილიყო აღნიშნული თანხმობა და მიეღო ახალი თანხმობა მისი წილის კს-სათვის მიყიდვის შესახებ, რაც დააკმაყოფილა კიდევ პარტნიორთა კრებამ;

28.5. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული 10.04.2011წ. აუდიტორული დასკვნის თანახმად, 2011 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, პირველ შპს-ში გაუნაწილებელი მოგება განისაზღვრა 3 210 467 ლარით. გაუნაწილებელი მოგების ოდენობის დადგენა მოხდა კს-ს ძალისხმევით, მისივე მეოხებით მოხდა პარტნიორებისათვის გასანაწილებელი თანხის მობილიზაცია;

28.6. პირველი შპს-ის პარტნიორთა კრებამ 28.04.2011წ. მიიღო გადაწყვეტილება, 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საწარმოს დივიდენდის განაწილების შესახებ. კრებას, სხვა პარტნიორებთან ერთად ესწრებოდა საწარმოს 52.5% წილის მფლობელი კს-ის წარმომადგენელი. კრების ოქმში აღინიშნა, რომ პირველი შპს-ს მოგებამ, 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, შეადგინა 3 210 467 ლარი. ოქმის დანართში, კომპანიის 52.5% წილის მესაკუთრედ მითითებულია კს, რომლის მიმართაც, ხელზე გასაცემმა თანხამ შეადგინა 1 601 220,42 ლარი. იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ აღნიშნული თანხა უნდა გაიცეს მოსარჩელეზე. ცხადია, კს-ის წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, აღნიშნული თანხა მოსარჩელეზე არ გაიცემოდა;

28.7. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია ამ განჩინების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტები;

28.8. სასამართლოს არ უმსჯელია იმ ფაქტზე, რომ 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, ვერ დგინდებოდა კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და მოგება და რომ მხოლოდ კს-ის თანხმობით გახდა შესაძლებელი, რომ მოსარჩელეს 1 601 220,42 ლარი მიეღო;

28.9. არც სარჩელში და არც სასამართლოში გამართულ სხდომებზე მოსარჩელეს არ განუცხადებია, რომ 1 601 220,42 ლარი წარმოადგენდა პირველი შპს-ის 52.5% წილის ნასყიდობისათვის შეუსაბამოდ მცირე თანხას;

28.10. შპს „ტ-მა“ 07.09.2011წ. კს-საგან შეიძინა 52.5% წილი მეორე შპს – ში 1 050 000 აშშ დოლარად (ანუ 1 746 150 ლარად), აღნიშნული კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პირველი შპს-ს 52.5% წილის საბაზრო ღირებულება მერყეობდა 1 000 000 აშშ დოლარიდან 1 050 000 აშშ დოლარის ფარგლებში. შესაბამისად, უსაფუძვლო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ წილის ნასყიდობის სანაცვლოდ, მოსარჩელისათვის, 1 601 220,42 ლარის გადახდის შემთხვევაშიც კი, სახეზე იქნებოდა აშკარა დისპროპორცია წილის „რეალურ ღირებულებასა და გადახდილ ფასს შორის“;

28.11. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ნავსადგურს, პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის 2011 წლის 17 მარტს გაფორმებული, საიჯარო ხელშეკრულების დამატება №2. აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ამორალურ გარიგებას წარმოადგენდა 07.02.2011წ. ხელშეკრულება, რაც დაუსაბუთებელია;

28.12. პირველი შპს-ს პარტნიორთა კრების 21.02.2011წ. გადწყვეტილებით დადგინდა, რომ პირველ შპს-სა და ნავსადგურს შორის, 2003 წლის 19 ივლისს გაფორმებული, №5 ტერმინალის საიჯარო კონტაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები გადასცემოდა მეორე შპს-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ საწარმოს, მეორე საწარმოსა და ნავსადგურს შორის 17.03.2011წ. გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენდა 19.07.2003წ. საიჯარო კონტრაქტის დამატებას. 18.03.2011წ. პირველ შპს-სა და მეორე შპს-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელს, პირველმა საწარმომ გადასცა ხელშეკრულებაში მითითებული ძირითადი საშუალებები;

28.13. მოსარჩელეს პირველი საწარმოს პარტნიორთა კრების 21.02.2011წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ მოუთხოვია, შესაბამისად, დაუშვებელია 2011 წლის 17 და 18 მარტის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა;

28.14. სასამართლომ შპს „ე-ის“ დასკვნიდან გამომდინარე, არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ 07.02.2011წ. მდგომარეობით, პირველი შპს-ს 52,5% წილის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 4 507 388 ლარს. დასკვნა არ შეესაბამება რეალურ მონაცემებს, მასში არ იკითხება წმინდა აქტივების ღირებულება, რადგან შემფასებელს არ აქვს გათვალისწინებული წმინდა აქტივების შეფასების დროს პირველი საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საკუთრების უფლება;

28.15. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 61-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირი კარგავს შეცილების უფლებას, თუ იგი ადასტურებს დადებულ გარიგებას. მოსარჩელეს არაერთი იურიდიული მოქ-

მედებით აქვს დადასტურებული სადავო გარიგების ნამდვილად დადება.

29. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ განჩინების ფაქტობრივი დასაბუთებისას აღნიშნა, რომ:

29.1. იზიარებს საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 2011 წლის 07 თებერვალს, პირველი შპს-ის დამფუძნებელ პარტნიორს – მოსარჩელესა და კს-ს შორის დადებული ხელშეკრულებით მოსარჩელის კუთვნილი 52,5% საწესდებო კაპიტალის წილი გასხვისდა 1050 ლარად. მითითებული ღირებულება ასახულია მხარეთა შორის დადებულ საზოგადოების პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შესახებ ხელშეკრულებაში. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა (სარჩელში მოპასუხეების: პირველი შპს-ს, მეორე შპს-ს, კს-ს) წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წილის დამთმობს გადაუხადეს მისი გაყიდული წილის შესაბამისი თანხა. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ გარემოებას ვერცერთი მტკიცებულება ვერ ადასტურებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ 2011 წლის 29 აპრილს მოსარჩელეს გადაურიცხეს 300 000 ლარი, მასვე გადაეცა 1 301 220,42 ლარი. მოპასუხეთა მითითებით, ეს თანხა ამ წილის საფასურია და მისი ოდენობა შესაბამისობაშია წილის რეალურ ღირებულებასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული თანხა წარმომადგენდა პირველ შპს-ში მოსარჩელის კუთვნილ დივიდენდს და არა წილის საფასურს. აღნიშნული მსჯელობა დასტურდებოდა შემდეგი გარემოებებით:

29.1.1. პირველი საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორს (მოსარჩელეს) და კს-ს შორის 07.02.2011წ., სანოტარო წესით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, გასხვისებული წილის ღირებულებად მითითებულია 1050 ლარი, ამასთან, გაკეთებულია დათქმა, რომ წილის მიმღები აძლევს უფლებას წილის დამთმობს, მიიღოს მხარეთა მიერ შეთანხმებული აუდიტის მიერ, პირველ შპს-ში 2011 წლის 31 იანვრის ჩათვლით დაფიქსირებული წმინდა მოგების 52,5%. ამ ხელშეკრულებაში, ცალკეა მითითებული გასაყიდი წილის ღირებულება და ცალკეა საუბარი მოსარჩელის უფლებაზე, მიიღოს კუთვნილი დივიდენდი საზოგადოების მოგებიდან;

29.1.2 კს-ს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ საზოგადოებას მართლაც გააჩნდა მოგება და მან, 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, შეადგინა 3 210 467 ლარი. კს უთითებს იმაზე, რომ პირველი შპს-ს პარტნიორთა 28.04.2011წ. კრებას (რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საწარმოს 2011 წლის 31 იანვრის

მდგომარეობით დივიდენდის განაწილების შესახებ), სხვა პარტნიორებთან ერთად, ესწრებოდა საწარმოს 52.5% წილის მფლობელი კს-ის წარმომადგენელი და ოქმის დანართში, საწარმოს 52.5% წილის მესაკუთრედ მითითებულია კს, რომლის მიმართაც, ხელზე გასაცემმა თანხამ შეადგინა 1 601 220,42 ლარი. იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ აღნიშნული თანხა უნდა გაიცეს მოსარჩელეზე. კს-ს მითითებით, მისი თანხმობის გარეშე, მოსარჩელეზე ზემოთ მითითებული თანხა არ გაიცემოდა;

29.1.3 კს-ს მიერ მითითებული ოქმიდან ცალსახად ჩანს, რომ საწარმოს 52.5% წილის მესაკუთრეს, დივიდენდის სახით, ეკუთვნოდა 1 601 220,42 ლარი. აღნიშნული თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს კს-ის საკუთრებად, რადგან იგი 2011 წლამდე არ წარმოადგენდა საზოგადოების პარტნიორს და შეუძლებელია, მას ჰქონოდა დივიდენდის მიღების უფლება. თუმცა, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, გაესხვისებინა დივიდენდის მიღების უფლებაც, მაგრამ მისი ღირებულებაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ამ უფლების ღირებულებასთან, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, თვით ოქმის მიხედვითაც, აღნიშნული თანხა უნდა გადასცემოდა მოსარჩელეს, ისევე, როგორც ეს მითითებულია, ამ კრების შემდეგ, 2011 წლის 07 თებერვალს მხარეთა შორის დადებული წილის გასხვისების ხელშეკრულებაშიც;

29.1.4. მოსარჩელე 2011 წლამდე საზოგადოების პარტნიორს წარმოადგენდა, შესაბამისად, მას ეკუთვნოდა საზოგადოების მიერ მიღებული მოგებიდან დივიდენდი, მიუხედავად იმისა, გაიყიდებოდა თუ არა მისი კუთვნილი წილი საზოგადოებაში. მისაღები დივიდენდი წარმოადგენდა მის საკუთრებას და საზოგადოება ვალდებული იყო, მისთვის გადაეხადა ეს თანხა. შეუძლებელია, მყიდველს გადაეხადა გამყიდველისათვის გაყიდული წილის საფასური იმ თანხიდან, რომელიც, გაყიდვის მომენტისათვის, უკვე წარმოადგენდა გამყიდველის საკუთრებას;

29.1.5. სააპელაციო სასამართლოს მიერ კს-ის წარმომადგენლის განმარტების გაზიარების შემთხვევაშიც, რომ იმ პერიოდისათვის საზოგადოებას ფულადი სახსრები არ ჰქონდა და მას დასჭირდა ამ თანხების მოზიდვა, აღნიშნული გარემოება არ გამოორიცხავდა იმას, რომ მითითებული თანხა არ უნდა გადასცემოდა მოსარჩელეს;

29.1.6. სასამართლოს მსჯელობით, კს-ის მოსაზრებების თანმიმდევრულად შეფასების შედეგად, გამოდის, რომ მოსარჩელემ თვითონვე გადაიხადა მის მიერ გაყიდული წილის საფასური, რაც ყოველგვარ საღ აზრს სცილდება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს, მითითებული თანხის გარდა, სხვა თანხა გადასცეს, საქმის მასალებით არ დასტურდება, სასამართლოს დასკვნით, ეს

ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქონება გაიყიდა 1050 ლარად, რაც გარიგების ამორალურად მიჩნევისა და მისი ბათილობის საფუძველია;

29.1.7. სააპელაციო სასამართლომ, ასევე არ გაიზიარა აპელანტა მოსაზრებები 2011 წლის 17 და 18 მარტს დადებული ხელშეკრულებების ბათილობის უკანონობის თაობაზე. სასამართლომ მიუთითა იმ გარიგებებზე, რომლებიც ამ განჩინების 8-9 პუნქტებშია მითითებული;

29.1.8. სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული ხელშეკრულებებით, ახლად შექმნილ მეორე სანარმოს გადაეცა ყველა ის საშუალება, საიდანაც პირველი სანარმო იღებდა შემოსავალს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მეორე სანარმოს პარტნიორები და მათი წილები არ შეცვლილა სანარმოში, მხოლოდ მოსარჩელეს ჩაენაცვლა კს (იხ. განჩინების 6-7 პუნქტები). სასამართლოს დასკვნით, შესაბამისად, საზოგადოებას ჩამოაცილეს შემოსავლის ის წყაროები, რომლებიც საზოგადოებას უქმნიდა დიდ მოგებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამეწარმეო თვალსაზრისით, სრულიად გაუგებარი იყო ამ მოქმედებათა განხორციელების მიზანშეწონილობა, რაც, სავარაუდოდ, მოსარჩელის სანარმოსთან კავშირის აცილების მცდელობით შეიძლებოდა ახსნილიყო (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება – პუნქტი 4.4.);

29.1.9. სასამართლოს შეფასებით, წინამდებარე განჩინების 8-9 პუნქტებში მითითებული გარიგებების დადებით, დაირღვა კანონის მოთხოვნები; კერძოდ, მენარმეთა კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მეორე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადანყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ კანონით ან/და სანარმოს წესდებით; კრება ჩატარდა ზემოხსენებული კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რასაც, სასამართლოს შეფასებით, ადასტურებდა პირველი სანარმოს წესდების 11.1 მუხლი. ამ რეგულაციის შესაბამისად, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება და, წესდების 11.6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მის კომპეტენციას წარმოადგენს წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა. ამასთან, პირველი შპს-ის წესდების 11.4 პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა კრება გადანყვეტილებაუნარიანად ითვლება, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილი იყო ხმების უმრავლესობის (50%-ზე მეტის) მქონე პარტნიორი. შესაბამისად, საკითხები, რომელთაც საზოგადოებას

ესპობოდა შემოსავლის მიღების საშუალება და მისი ძირითადი საშუალებები გადაეცემოდა სხვა საწარმოს, უნდა გადაწყვეტილიყო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა ხმების უმრავლესობის (50%-ზე მეტის) მქონე პარტნიორი (აღნიშნული საკითხი სადავოდ არ გაუხდია მხარეს). სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, მითითებული საკითხი გადაწყდა მოსარჩელის მონაწილეობის გარეშე, უგულებელყოფილია კანონის მოთხოვნა, რომ საზოგადოების კრება ჩატარებულიყო და მისი კომპეტენცია განსაზღვრულიყო საწარმოს წესდების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ზემოთ მითითებული იჯარის ხელშეკრულებები ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი და ამ გარიგებებით გადაცემული ქონება უნდა დაბრუნებოდა პირველ შპს-ს;

29.1.10. სასამართლომ არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ მოსარჩელეზე იყო იძულება და მან, ზენოლის შედეგად, გაყიდა კუთვნილი 52,5% წილი საწარმოში. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ მითითებული მოწმეები (იხ. ამ განჩინების 26.1.1.-26.1.3 ქვეპუნქტები) ვერ ასახელებდნენ მოსარჩელეზე მოპასუხის – თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხრიდან განხორციელებული ზენოლის ფაქტს, არცერთი მათგანი არ ყოფილა ამ ფაქტის უშუალო შემსწრე, ზოგიერთმა გადმოცემით იცოდა ამ ფაქტის თაობაზე ან თვითონ აკეთებდა მსგავს დასკვნებს. სასამართლომ, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ ამ განჩინების მე-3 პუნქტში დასახელებულ საწარმოში მოსარჩელის ძმის 50%-ის მფლობელ პარტნიორად ყოფნა, ყოფილ მინისტრთან ერთად, შეიძლებოდა მიჩნეულიყო მოსარჩელეზე ზენოლად;

30. სასამართლომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ის 54-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმით გარკვეულწილად შეზღუდულია ადამიანის ნების გამოვლენის აბსოლუტური თავისუფლება. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი ცხოვრება სურვილისამებრ განაგოს, იმოქმედოს თავისუფლად, დადოს მისთვის მისაღები გარიგებები და იტვირთოს პასუხისმგებლობა იმ სახით, როგორც ამას თვითონ გადაწყვეტს; ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამოირჩიოს კონტრაჰენტი, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და ა.შ. აღნიშნული ნების გამოვლენის თავისუფლებას უკავშირდება, რაც სამართლის ნორმებითაა გარანტირებული. გარიგების დადების შემდეგ, მხარეთა მიერ გამოხატული ნება, მათთვის სავალდებულოდ შესასრულებლად გადაიქცევა, მათი შემდგომი მოქმედებები კი იზღუდება გარიგებებში გამოხატული ნების შესაბამისად;

31. სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილი გარიგების ერთ-ერთ სახეს ამორალური გარიგება წარმოადგენს, რომლებიც განმარტე-

ბულია ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებად. ზნეობის ნორმებში ყოველთვის იგულისხმება წესიერება, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება. სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მიერ ვალდებულებების თანაბარი, სამართლიანი გადანაწილება გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა, მისი უგულებელყოფა კი გარიგებათა ბათილობის საფუძველია. სასამართლომ რომის სამართლის პრინციპების, ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების, „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ შვეიცარიის კანონის სამართლებრივ რეგულაციებზე მითითებით, აღნიშნა, რომ საკითხის მსგავსი მონესრიგება ქმნიდა ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვის წინაპირობებს მეორე მხარის ძალმომრეობისაგან, რაც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობას მხარეთა შორის;

32. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 54-ე მუხლი გამოიჯნა 55-ე და 85-ე მუხლებისაგან და განავითარა მსჯელობა, რომ გარიგების ამორალურად მისაჩნევად აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. შესაბამისად, შეუძლებელია, გარიგების ამორალური ბუნების გამორიცხვა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთ მხარეზე მეორე მხარის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი. სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, არ დგინდებოდა მოსარჩელეზე განხორციელებული იძულების ფაქტი, მაგრამ მის მიერ წილის გასხვისება პირველ შპს-ში, ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო, ამორალურ გარიგებად უნდა მიჩნეულიყო (იხ. გასაჩივრებული განჩინება).

33. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ჩათვლილიყო ამ განჩინების 8-9 პუნქტებში მითითებული იჯარის ხელშეკრულებებიც, რადგან ამ გარიგებებით განიკარგა პირველი საწარმოს ძირითადი შემოსავლის წყარო და მისი ძირითადი საშუალებები, შეწყდა იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საწარმოს ფუნქციონირება. ეს გარემოება კი ეწინააღმდეგებოდა პირველი საწარმოს წესდებით დადგენილ წესს (იხ. ამ განჩინების 29.1.9 ქვეპუნქტი, სადაც საუბარია საწარმოს წესდების 11.1, 11.4. და 11.6. ქვეპუნქტებზე). სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საკითხი გადანაცვალა მოსარჩელის მონაწილეობის გარეშე, უგულებელყოფილი იყო მენარმეთა კანონის 47-ე მუხლის მოთხოვნა პარტნიორთა კრების ჩატარებისა და მისი კომპეტენციის თაობაზე. მითითებული ნორმის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლება-

მოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მეორე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადანყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება კანონით ან/და საწარმოს წესდებით. სასამართლოს შეფასებით, იჯარის დადების საკითხი უნდა გადანყვეტილიყო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელე ანუ, 52,5% წილის მფლობელი, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. დღეისათვის გაბათილებული იყო მოსარჩელის წილის გასხვისების ხელშეკრულება. სსკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება დადების მომენტიდან. შესაბამისად, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შედეგები უნდა გავრცელებულიყო, მისი დადებიდან გაბათილებამდე არსებულ ყველა ურთიერთობაზე, მათ შორის, იჯარის ხელშეკრულებების ნამდვილობაზეც; ვინაიდან, იჯარის დადების საკითხი გადაწყდა მოსარჩელის მონაწილეობის გარეშე, პირველი შპს-ს ნების გამოვლენა ნამდვილად არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო;

34. სსკ-ის 976-ე და 983-ე მუხლებზე მითითებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველ შპს-ს უნდა დაუბრუნდეს ის ქონება, რომელიც მისი საკუთრებიდან გავიდა, ბათილად ცნობილი გარიგების გამო, ხოლო სსკ-ის 983-ე მუხლით მონესრიგებულ ურთიერთობაზე, შესრულების არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით, მოსარჩელე მართებულად არ იქნა მიჩნეული უფლებამოსილ პირად, რადგან შესრულება უნდა მიეღო პირველ შპს-ს და სწორედ საწარმოა უფლებამოსილი, მოითხოვოს შესრულება. მოსარჩელე საწარმოს პარტნიორი იყო და მას მხოლოდ კუთვნილი დივიდენდების მიღების მოთხოვნის უფლება აქვს საწარმოს მიგებიდან. მიღებული შესრულება კი უნდა გადაეცეს იმ პირს, რომელსაც ბათილი გარიგების შედეგად, არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო იგი;

35. მოსარჩელეზე განხორციელებულ იძულებასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავსი გარემოება არ დგინდებოდა საქმის მასალებით (იხ. ამ განჩინების 29.1.10 ქვეპუნქტი), შესაბამისად, არ არსებობდა სსკ-ის 85-ე-88-ე მუხლების გამოყენების წინაპირობები. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელეზე მოპასუხის – თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტის დაუდასტურებლობის გამო, ასევე, შეუძლებელი იყო იმ გარემოების დადგენა, რომ მან ზიანი მიაყენა მოსარჩელეს. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ყოფილი მინისტრი

არ იყო ცნობილი დამნაშავედ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ქმედებების გამო, შესაბამისად, შეუძლებელი იყო, მას დაჰკისრებოდა ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად;

36. სასამართლომ ნავსადგურის სააპელაციო საჩივარზე მსჯელობისას, აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო მისი იურიდიული ინტერესი, რაც სააპელაციო საჩივრის მიხედვით, მას ამ გადაწყვეტილების მიმართ გააჩნია. აპელანტი თვითონვე უთითებდა, რომ ნავსადგური არ წარმოადგენდა ამ ურთიერთობის მხარეს, მას არ გააჩნდა სამართლებრივი ინტერესი ამ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მხარეებს არასდროს გაუმჟღავნებიათ ნავსადგურისათვის გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები. აპელანტი უთითებდა, რომ პირველი შპს იჯარის გადამხდელი იყო, რომელსაც მისივე თხოვნით და თანხმობით ჩაენაცვლა მეორე შპს. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც წინამორბედი მოიჯარე, საიჯარო ქირის კეთილსინდისიერი გადამხდელია, რაც რეალურად ნავსადგურის ერთადერთი ინტერესია (იხ. ამ განჩინების 27.2. ქვეპუნქტი).

37. სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ ნავსადგურის სააპელაციო პრეტენზიაში არსად იყო საუბარი იმ უარყოფით შედეგებზე, რაც შესაძლოა იჯარის ხელშეკრულებათა ბათილობას მოჰყვეს. აპელანტი არ უთითებს, თუ რომელი უფლებები დაარღვია სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილებით, რაში მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა. იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შემთხვევაში, აღდგება ამ გარიგებათა დადებამდე არსებული მდგომარეობა და მეორე სანარმოს ჩაენაცვლება პირველი სანარმო. სასამართლოს მსჯელობით, ამ გარემოებით შეუძლებელია, დაირღვეს ნავსადგურის უფლებები ან შეილახოს მისი კანონიერი ინტერესები, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

38. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საკასაციო წესით, გაასაჩივრეს მოსარჩელემ (პირველი კასატორი) და მოპასუხემ: კს-მ, პირველმა შპს-მ და მეორე შპს-მ (შემდეგში სამივე იურიდიული პირი მოიხსენიება მეორე კასატორად).

39. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

40. მოსარჩელე – პირველი კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სასარჩელო მოთხოვნის უარყოფილი ნაწილის დაკმაყოფილებას, საკასაციო საჩივრის ფასი გან-

საზღვრულია 3 995 642 ლარით;

40.1. პირველმა კასატორმა 11.04.2016წ. წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება (10 ფურცლად, რომელიც საქმეს ერთვის და გასაცნობდ გადაეცა მეორე კასატორს) და იმავე წლის 22 აპრილს, ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე, დაადასტურა, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ საკითხებსა და წარმოდგენილ განმარტებას გამოიყენებდა საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად. პირველი კასატორის მოითხოვნაა, სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის – 3 995 642 ლარის ანაზღაურება მეორე საწარმოსა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს; წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში პირველმა კასატორმა წილის დათმობის გარიგების ბათილობის ორ საფუძველზე ამორალურობასა (სსკ-ის 54-ე მუხლი) და იძულებაზე (სსკ-ის 85-ე-89-ე მუხლები) მიუთითა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის იძულებით დაიდო სადავო გარიგებები და სწორედ ამ საფუძველით მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის დაკმაყოფილება. კასატორმა სრულად გამოაქვეყნა წარმოდგენილი განმარტება (იხ. 22.04.2016წ. სხდომის ოქმი) და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი საკუთარი გავლენით ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსარჩელესა და მისი ოჯახის წევრებზე, მათ შორის, მუქარა ეხებოდა მოსალოდნელ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოსარჩელის ძმასა და შვილზე განხორციელებულ ზეწოლასა და იძულებას.

40.2. პირველმა კასატორმა ყურადღება გაამახვილა, რომ ზიანის სახით, იგი ითხოვდა მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც პარტნიორი მიიღებდა დივიდენდის სახით 2011-2012 წლებში. დანაკარგი გამოწვეული იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის მდგომარეობის გამოყენებით, მოსარჩელის იძულებით, რის გამოც 52,5%-ის მფლობელმა მოსარჩელემ საკუთარი წილი დაჰკარგა, აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად პირველი კასატორმა მიუთითა სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლებზე, მისი მოსაზრებით, ასევე, შესაძლებელია 411-ე მუხლის გამოყენებაც. პირველი კასატორის მტკიცებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის მხრიდან განხორციელებული არაპირდაპირი იძულების გამო დაიდო წილის დათმობისა და იჯარის გარიგებები. პირველმა კასატორმა დააზუსტა, რომ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება უნდა დაედოს საფუძველად საკასაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. 22.04.2016წ. სხდომის ოქმი – 14:02:29-დან).

41. მოპასუხის – მეორე კასატორის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრითა და დაზუსტებული საკასაციო განაცხადით, საკასაციო საჩივრის ფასი, კს-სა და მოსარჩელეს შორის ხელმოწერილი 07.02.2011წ. ხელშეკრულების ნაწილში განსაზღვრულია 1 602

270. 42 ლარით, ხოლო ამ განჩინების 8-9 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებების ნაწილში – საჩივრის ფასი შეადგენს 812 123 ლარს;

41.1. მეორე კასატორი სააპელაციო სასამართლოს განჩინებას ასაჩივრებს იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო პრეტენზიები და მოითხოვს, უარყოფილი იქნეს სარჩელი ამ განჩინების 40.2 ქვეპუნქტში დასახელებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილშიც, შესაბამისად, – მოპასუხეთათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ნაწილშიც;

41.2. მეორე კასატორი უთითებს სასამართლოს მიერ სსკ-ის 54-ე მუხლის არასწორ განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ კს-სა და მოსარჩელეს შორის 2011 წლის 7 თებერვალს დადებული წილის დათმობის ხელშეკრულების გაფორმების დროს, მოქმედებდა სსკ-ის 55-ე მუხლის რედაქცია (სსკ-ის 2002 წლის 8 მაისამდე), რომელზეც არ უმსჯელია სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამ ნორმას არ აფუძნებდა, რაც სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის – სასამართლომ „არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა“ – მოთხოვნის დარღვევაა. მეორე კასატორი გასაჩივრებული განჩინების წინააღმდეგობრივ მსჯელობაზე უთითებს, რაც მის 32-33 გვერდებზეა ასახული და, ამის საპირისპიროდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის იან კროპჰოლისეურ კომენტარზე (2014წ.), 138-ე პარაგრაფზე – ამორალური გარიგება, ამახვილებს ყურადღებას. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ 07.02.2011წ. სადავო გარიგება იძულებით იყო დადებული. მოპასუხეები უთითებენ სსკ-ის 170-ე მუხლზე, სადავოდ ქცეული გარიგების მოქმედების პერიოდში მოქმედ 55-ე მუხლის რედაქციაზე (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი) და აკრიტიკებენ გასაჩივრებულ განჩინებას, რომელიც მოსარჩელის წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნას დაეყრდნო და, მასში მითითებულ თანხაზე ნაკლებად, წილის გასხვისება, ამორალურ გარიგებად მიიჩნია. ამასთან, მოპასუხე იმასაც აღნიშნავს, რომ სსკ-ის 199-ე მუხლის საფუძველზე, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, წილის შემძენზე გადადის ყველაფერი, მათ შორის, დივიდენდის მიღების უფლებაც და სანარმოს მიერ მოსარჩელისათვის გაცემული 1 601 220,40 ლარი რეალურად წილის ნასყიდობის ფასი იყო, მოსარჩელეს უკვე აღარ ჰქონდა დივიდენდის მიღების უფლება, რეალურად, ამიტომაც გაკეთდა დათქმა 07.02.2011წ. ხელშეკრულებაში. საერთაშორისო პრაქტიკით, ფასის სიმცირე არაა მნიშვნელოვანი, როდესაც მნიშვნელოვნად აღემატება გასაყიდი ფასი, ეს მიიჩნევა დისპროპორციად.

41.3. მეორე კასატორი თვალსაჩინო წინააღმდეგობად მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას გარიგების კონტაქტის არჩევისას, პირის თავისუფალ ნებაზე და იმავდროულად სასამართლოს დასკვნას, რომ წილის ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო, გარიგება ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სსკ-ის 54-ე მუხლის განმარტება უგულებელყოფს სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების ფუნდამენტურ პრინციპებს. მეორე კასატორი, სსკ-ის 319-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ თავისუფალი ნებით დადო სადავოდ ქცეული 07.02.2011წ. გარიგება. მეორე კასატორი, ასევე ყურადღებას ამახვილებს პირველი საწარმოს პარტნიორთა კრების 31.01.2011წ. გადაწყვეტილებაზე და იმასაც აღნიშნავს, რომ ამ საწარმოში წილის ნომინალურ ფასად გაყიდვა დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი). კასატორი ყურადღებას ამახვილებს აუდიტორულ დასკვნაზე და იმავე გარემოებებზე უთითებს, რაც ამ განჩინების 28.5. ქვეპუნქტშია მითითებული;

41.4. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის ნამსჯელი პირველი საწარმოს 31.01.2011წ. და 28.04.2011წ. კრებების გადაწყვეტილებებზე, ასევე, უთითებს, რომ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია პირველი საწარმოს პარტნიორთა კრების 2011 წლის 21 თებერვლის ოქმი, რომლის ბათილად ცნობის გარეშე, დაუშვებელი იყო 2011 წლის 17 მარტისა და 18 მარტის იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა;

41.5. მეორე კასატორი, სსსკ-ის მე-3, მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არასოდეს განუცხადებია, რომ პირველ საწარმოში 52,5% წილის ნასყიდობისათვის, 1 601 220, 42 ლარი შეუსაბამოდ მცირე თანხა იყო (იხ. ასევე, წინამდებარე განჩინების 28.3 ქვეპუნქტი);

41.6. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ მისი არგუმენტების გათვალისწინებით, 07.02.2011წ. სადავოდ ქცეული გარიგება კანონიერი და დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, დასახელებული გარიგების ამორალურად მიჩნევის თაობაზე. საქმის ზეპირ მოსმენაზე – 22 აპრილის სხდომაზე, მეორე კასატორმა განაცხადა, რომ პრაქტიკულად მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი შეცვალა პირველმა კასატორმა, ამასთან, საქმის საკასაციო განხილვის ეტაპზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, ასევე, მტკიცებულებების შეფერებისა და გაა-

ნალიზების, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

42. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); ორივე კასატორს აქვს წარმოდგენილი შედავება, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების მე-40 და 41-ე პუნქტებში.

43. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ორ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს, ერთი მხრივ, გარიგების ამორალურობასა და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების დადებაზე მხარის იძულებას ეხება, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ და სადავო გარიგებები ბათილად არის ცნობილი იმ საფუძველით, რომ ისინი ამორალურია, რადგან სახეზეა საწარმოში 52.5%-ის მფლობელის მიერ, წილის გასხვისების ხელშეკრულებისას, ნასყიდობის ფასის არაადექვატურობა. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი კი ემყარება, მისი იძულების გამო, უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, კერძოდ, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას სოლიდარულად, სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე. სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა, ამასთან, 54-ე მუხლი ზოგადი ნორმაა, ხოლო 85-ე მუხლი იძულებით დადებული გარიგებების ქვეთავს განეკუთვნება და სპეციალურ მოწესრიგებას წარმოადგენს.

44. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინების 29-32 პუნქტებში დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

44.1. სასამართლომ განსახილველი დავის მოსაწესრიგებლად გა-

მოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი, თუმცა, იგი გამიჯნა სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან და მხარეთა შორის დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი) მიიჩნია ბათილად იმ საფუძველით, რომ გარიგება ამორალურია (მიუხედავად მოსარჩელეზე განხორციელებული იძულების არარასებობისა), ხოლო მისი ამორალურად დაკვალიფიცირებისათვის, საკმარისად ჩათვალა ნასყიდობის ფასის არაადექვატურობა, დისპროპორცია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სახეზეა და აღნიშნული მსჯელობის დასასაბუთებლად, ამ განჩინების 29-ე პუნქტში მითითებულ ფაქტობრივ დასაბუთებასთან ერთად, სამართლებრივი შეფასებისას, რომის სამართლის პრინციპების, ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების, „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ შვეიცარიის კანონის სამართლებრივ რეგულაციებზე მიუთითა, სადაც საკითხის მსგავსი მოწესრიგება ქმნის ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვის წინაპირობებს მეორე მხარის ძალმომრეობისაგან, რაც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობას მხარეთა შორის (იხ. ამ განჩინების 30-32 პუნქტები).

44.2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, სსკ-ის 54-ე მუხლი, თავისი არსით, ზოგადი ხასიათის ნორმაა და გარიგების ბათილობის სამ განსხვავებულ ასევე, ზოგად საფუძველზე უთითებს, კერძოდ, გარიგება ბათილია, თუ იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ სწორედ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ნასყიდობის ფასის არაადექვატურობის გამო და ისიც აღნიშნა, რომ ფაქტიურად, მოსარჩელემ საკუთარი წილის ღირებულება თავისივე თანხით (დივიდენდის სახით გაცემული 1 601 220.40 ლარი) გადაიხადა, რაც საღ აზრს სცილდება (იხ. განჩინების 29.1.6 პუნქტი).

44.3. განსახილველი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის და კონკრეტულად 07.02.2011წ. სადავო გარიგების ბათილად მისაჩნევად, მარტოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისია და გადაწყვეტილების სამართლებრივ დაუსაბუთებულობაზე მიუთითებს. ხელშეკრულების გაფორმების დროს, 2011 წლის 7 თებერვალს, მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლით (რომელიც სახელდებული იყო შემდეგნაირად: გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო; 08.05.2012წ. № 6151 ცვლილებამდე რედაქციით), დადგენილია კონკრეტული წინაპირობები გარიგების ბათილად მისაჩნევად და საჭიროა ორი პირობის კუმულატიურად არსებობა. დასახელებული

ნორმის თანახმად, გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის შესახებ გარემოება, ამასთან ერთად, გარიგების ბათილად მისაჩნევად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც იყოს სახეზე, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით.

44.4. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არათუ არ უნდა გამოიჯნოს სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლები, არამედ, უნდა გამოიკვლიოს გარიგების დადების დროისათვის მოქმედი ნორმით – 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, კუმულატიურია და გარიგების ბათილად ცნობისათვის არაა საკმარისი მარტოდენ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის მიღებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა. სსკ-ის 55-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების კვლევისას, სააპელაციო სასამართლომ ორივე წინაპირობა უნდა შეამოწმოს დეტალურად, ანუ დასადგენია ანაზღაურების აშკარა შეუსაბამობა და ის გარემოება, რომ 2011 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ მოპასუხემ ისარგებლა საკუთარი საბაზრო ძალაუფლებით ან მოსარჩელის გულუბრყვილობით, გამოუცდელია, მისი მძიმე მდგომარეობით.

44.5. აღნიშნულ საკითხზე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის – „ამორალური გარიგება; მევახშეობა“ (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, იან კროპჰოლერი, 2014 წ.) პირველი ნაწილი ზოგადად განსაზღვრავს, რომ ბათილია გარიგება, რომელიც ზნეობრივ ნორმებს არღვევს, ხოლო მეორე ნაწილი, ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო დარღვევის განმარტებას მოიცავს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების მოტივი და მიზანი. გერმანული კოდექსი სუბიექტურ მხარეს ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, კერძოდ, ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგობის გამომწვევი აუცილებელი გარემოებების შესახებ ცოდნას და კომენტარი უთითებს, რომ ზნეობრივი ნორმების დარღვევა მიმართულია საზოგადოების ან მესამე პირების წინააღმდეგ, სუბიექტური ელემენტი უნდა არსებობდეს ორივე მხარისათვის, ხოლო თუ ის მიმართულია გარიგების მეორე მხარის წინააღმდეგ, მაშინ საკმარისია ზნეობრივი ნორმების ცალმხრივი დარღვევა. სსკ-ის 55-ე მუხლის ორივე წინაპირობის

კუმულატიურად გამოკვლევა და შესატყვისი დასკვნების გამოტანა სააპელაციო სასამართლოს მიერ, მნიშვნელოვანია სწორედ ამორალური გარიგების სამართლებრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი სუბიექტური ელემენტის დასადგენად. განსახილველ შემთხვევაში მართოდენ ნასყიდობის ფასის არაადექვატურობა, დისპროპორცია, სუბიექტური ელემენტის – მხარემ ისარგებლა საკუთარი საბაზრო ძალაუფლებით ან მოსარჩელის გულუბრყვილობით, გამოუცდელიობით, მისი მძიმე მდგომარეობით – დადგენის გარეშე, არ არის საკმარისი და სამართლებრივად დასაბუთებული.

44.6. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ, 2011 წლის 7 თებერვლის სადავო გარიგების კანონიერების შემონგებისას უნდა გამოიყენოს გარიგების დადების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის რედაქცია, ვინაიდან განსახილველი დავა ეხება მხარეებს შორის, გარიგების დადების დროს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას. სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენების თაობაზე უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უთითებს: „საკასაციო პალატა კასატორის ვერც იმ პოზიციას გაიზიარებს, რომლის თანახმადაც, ნორმის გამოყენებას გამორიცხავს 2012 წლის 8 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა 55-ე მუხლი. პალატის დასკვნა ამ შემთხვევაში ემყარება სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის რეგულაციას, რომლითაც დადგენილია, რომ ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევეთი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ახალი ნორმა აღარ ითვალისწინებს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით, ვერ იქნება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი“ – იხ. სუსგ №ას-880-838-2013, 09.06.2014წ.

44.7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი სხვა ქვეყნების გამოცდილებაც (იხ. ამ განჩინების 43.1 პუნქტი), სადაც საუბარია, მხარეთა შორის სახელშეკრულებო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვაზე მეორე მხარის ძალმომრეობისაგან, სწორედ სუბიექტურ ელემენტზე მიუთითებს, რადგან განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის საქმიანი გამოც-

დიღების გათვალისწინებით, უნდა შემონმდეს სსკ-ის 55-ე მუხლით დადგენილი ორივე წინაპირობის არსებობა. ამდენად, სახეზეა სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მოპასუხის (მეორე კასატორი) საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

44.8. სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 7 თებერვალს მხარეთა შორის ხელმოწერილი წილის დათმობის ხელშეკრულების, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ორი კუმულატიური წინაპირობის შემონმების შემდეგ, უნდა გამოიკვლიოს დასახელებული გარიგებით, სსკ-ის 198-ე თანახმად, კს-ს, სანარმოს 52,5%-ის მფლობელმა პარტნიორმა ფიზიკურმა პირმა, საკუთარი უფლება ისეთსავე მდგომარეობაში გადასცა, როგორც მის ანუ ძველი მფლობელის ხელში იყო, თუ რაიმე შეზღუდვა ან დათქმა გააკეთეს მხარეებმა. საკასაციო სასამართლოში, 2016 წლის 22 აპრილს გამართულ სხდომაზე, პირველმა კასატორმა აღნიშნა, რომ 07.02.2011წ. გარიგებით, მოსარჩელემ დაიტოვა 2011 წლის 1 თებერვლამდე კუთვნილი დივიდენდის მიღების უფლება, ხოლო მეორე კასატორის განმარტებით, წილის შემქმნმა კს-მ სრულად მიიღო ყველა უფლება წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით, თუმცა, გარიგებით ნება დართო მოსარჩელეს, მიეღო 1 601 021, 40 ლარი, რაც რეალურად წილის ნასყიდობის ფასია. აღნიშნული საკითხზე გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ დასაბუთებაში გარკვეული მსჯელობა ასახულია (იხ. გასაჩივრებული განჩინების 4.2.3 და 4.3.4 ქვეპუნქტები – ტ. 4, ს.ფ. 362), თუმცა, ფაქტობრივ ნაწილში სასამართლოს დასკვნა მართოდ იმ გარემოებას ემყარება, რომ მოსარჩელეს, წილის გასხვისებასთან ერთად, ჰქონდა დივიდენდის მიღების გასხვისების უფლება, მაგრამ მისი ღირებულებაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ამ უფლების ღირებულებასთან, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები გაყიდული წილის ღირებულების არაადექვატურობას, მის რეალურ ღირებულებასთან დისპროპორციულობას ეყრდნობა, რაც საქმეზე არასწორი სამართლებრივი შეფასებისა და დასკვნის გამოტანის საფუძველი გახდა, სსკ-ის 198-ე და 199-ე მუხლების მიხედვით, დამატებით უნდა იქნეს გამოკვლეული და სამართლებრივად შეფასდეს წილის დათმობის გარიგების შინაარსი.

44.9. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი შეფასების შედეგების შემდეგ, გამოსაკვლევი იქნება ამ განჩინების მე-8 და მე-9 პუნქტში მითითებული იჯარის ხელშეკრულებების ბათილობის საკითხი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი დასაბუთების 4.4 ქვეპუნქტზე, სა-

დაც სასამართლო მსჯელობს, რომ 2011 წლის 17 და 18 მარტის საიჯარო ხელშეკრულებებით, ახლად შექმნილ მეორე საწარმოს გადაეცა ყველა ის საშუალებები, საიდანაც პირველი საწარმო იღებდა შემოსავალს. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ პირველი საწარმოს პარტნიორები და მათი წილები არ შეცვლილა მეორე საწარმოში, მხოლოდ მოსარჩელეს ჩაენაცვლა კს, შესაბამისად, საზოგადოებას ჩამოაცილეს შემოსავლის ის წყაროები, რომლებიც საზოგადოებას უქმნიდა დიდ მოგებას. სამენარმეო თვალსაზრისით, სულიად გაუგებარია ამ მოქმედებათა განხორციელების მიზანშეწონილობა და ახსნა, სავარაუდოდ, მოსარჩელის კომპანიასთან კავშირის თავიდან აცილების მცდელობაში შეიძლება მოიძებნოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინების სავარაუდოდ დასკვნა არ ემყარება კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, ამასთან, ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილ დასკვნას, რომ სადავო გარიგებები დადებულია არა იძულებით, არამედ, ამორალურია წილის ნასყიდობის ხელშეკრულების არაადეკვატურობის გამო. სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი, რომ შესაძლოა საკითხი ეხებოდეს მოსარჩელის კომპანიასთან კავშირის თავიდან აცილების მცდელობას, მოითხოვს, სწორედ იმ სუბიექტური ელემენტის კვლევას, რომელიც სადავო გარიგების გაფორმების დროს – 2011 წლის 7 თებერვალს, სსკ-ის 55-ე მუხლითაა გათვალისწინებული; სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა არ შეიძლება ბუნდოვანი იყოს და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას წარმოშობდეს. ვინ და რატომ, რა საშუალებით ცდილობდა, მოსარჩელის საწარმოსთან კავშირის არიდებას, განსახილველ საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილი მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მისი იძულების საფუძველით, ხოლო დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ნაწილი, დასაბუთებულია გარიგების ამორალურობით, რაც ასევე დამატებით გამოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს. ამდენად, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

44.10. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იმთავითვე ვერ აყენებს მოსარჩელისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, რა იურიდიულ შედეგს წარმოშობს ხელშეკრულების ბათილობა. დამატებით გამოკვლევას საჭიროებს საიჯარო ხელშეკრულებების (იხ. ამ განჩინების მე-8 და მე-9 პუნქტები) ბათილობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თუკი მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა იყო

შესაძლებელი, მაშინ პროცესუალურად უნდა შეფასდეს, რამდენად იყო დასაშვები აღიარებითი სარჩელი.

44.11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობისას, განმარტავს, რომ „იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძველიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას. დიდი პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. დიდი პალატა სსსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნით.

ნის დაკმაყოფილების შემთხვევაში“ (სუსგ დიდი პალატა, საქმე №ას-121-117-2016, 17.03.2016წ.).

44.12. განსახილველ შემთხვევაში, მარტოდენ მოსარჩელის სურვილი, მიაღწიოს სასურველ შედეგს, არ არის განმტკიცებული იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობებით, რომელიც შესაძლებელს გახდის მისი მატერიალური უფლების რეალიზებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დამატებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს საიჯარო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის წინაპირობები და მისი შედეგები, მით უფრო, რომ სსკ-ის 581-ე მუხლით, ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხოლო 572-ე მუხლით დადგენილია უფლებამონაცვლეობა გაქირავებული ნივთის გასხვისებისას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ „საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებათუარაინობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია (Apostol v. Georgia; §37; aseve ix. Hornsby v.Greece, 40), ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ.Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40)“ – იხ. სუსგ №ას-1187-1117-2015, 20.05.2016წ.

44.13. წინამდებარე განჩინების 34-ე პუნქტში ასახულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, სსკ-ის 976-ე და 983-ე მუხლებზე დაყრდნობით (იხ. გასაჩივრებული განჩინება), თუმცა, საკასაციო სასამართლოს მითითება დასახელებული ნორმების გამოყენებით განვითარებული მსჯელობისა და გამოტანილი დასკვნების ხელახალ შეფასებასაც ეხება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის, უსაფუძვლო გამდიდრების თავის, შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციები ერთობლივად. დასახელებული ნორმები არათავსებადია, რადგან 976-ე მუხლი შესრულების კონდიქციას ეხება, ხოლო 983-ე შეუსრულებლობის – ხელყოფის კონდიქციას. 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება გარიგების დადებამდე არსებულ ვითა-

რებაში დაბრუნებას, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც არარა გარიგებით მიიღეს მხარეებმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. სსკ-ის 983-ე მუხლით კი, რომელიც ხელყოფის კონდიქციის მომწესრიგებელ ნორმას განეკუთვნება, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით; შესრულების კონდიქცია არის დამატება სახელშეკრულებო სამართლისათვის, ხელყოფის კონდიქცია არის დამატება დელიქტური სამართლისათვის.

44.14. „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპი, პირველ რიგში გულისხმობს მხარეთა მიერ ფაქტების მითითების სრულ ავტონომიას, რაც შეეხება მათ დამტკიცებას, ეს ის ეტაპია, როდესაც მხარემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტის შესახებ და საქმე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა-არარსებობის დადგენას ეხება, რასთანაც ორგანულადაა დაკავშირებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102.1 მუხლი)“ – იხ. სუსგ ას-880-838-2013, 09.06.2014წ.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ისე მათი დამტკიცების ტვირთი. კერძოდ, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და სარწმუნოდ დაამტკიცოს, რომ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობაა; მოსარჩელე იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში; გარიგების მეორე მხარემ ისარგებლა მოსარჩელის მძიმე მდგომარეობით (გარიგების მხარეს შესთავაზა ამკარად არასამართლიანი პირობები); მოსარჩელის მძიმე მდგომარეობა გახდა გარიგების დადების მიზეზი, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ დაიდებოდა.

45. სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ამავე ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების არასაკმარისი იურიდიული დასაბუთებულობის გამო, წინამდებარე განჩინების 41.1-41.14 ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტების გამოკვლევის ნაწილში, რადგან საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები; მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი

სამართლებრივი ურთიერთობის მართებულ შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რაც, საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია.

46. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „მ-ის“, შპს „მ-ისა“ და კს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუშვავალი მტკიცებულება

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-1018-979-2016

21 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „ა-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, მონინააღ-
მდეგე მხარე ან დაზარალებული) სარჩელი აღძრა სასამართლოში
შპს „ჯ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, კასატორი ან ვალდებული პი-
რი) მიმართ ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურების მიზ-
ნით მოპასუხისათვის 1 058 816,34 ლარის დაკისრების მოთხოვ-
ნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2002
წლის 2 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომ-
ლის საფუძველზეც, მოსარჩელეს მოპასუხის კომპანიაში უნდა შე-
ექმნა კვების ბლოკი, ამ მიზნით მან შეიძინა და განათავსა ინვენ-
ტარი მოპასუხის ტერიტორიაზე. მომსახურების ყოველთვიური
ღირებულება შეადგენდა 14 553 ლარს, ხოლო, დღე-ს ჩათვლით –
17 172,54 ლარს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ – 2005
წლის 31 დეკემბერს მოპასუხემ მოსარჩელეს არ დაუბრუნა ინვენ-
ტარი, რაც საბოლოოდ სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა და
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწ-
ყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა
კვების ბლოკის მონყობისათვის შეძენილი ინვენტარის, დანადგა-
რებისა და მონყობილობების დაბრუნება ან მათი ღირებულების
ანაზღაურება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 2011 წლის 21
თებერვალს მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა კუთვნილი ქონე-
ბის ღირებულების შესაბამისი თანხა, თუმცა, აუნაზღაურებელია
ის ზიანი – მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოსარჩელე მიი-

ღებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს დასკვნით, მოპასუხის ქმედებით მიყენებული ზიანი 1 058 816,34 ლარს შეადგენს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხავი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით მოითხოვა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობას დაადასტურებდა. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია და გაურკვეველია, რა კრიტერიუმით დაადგინა ექსპერტმა დასკვნაში მითითებული ოდენობით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიზნებისათვის მოსარჩელეს ეკისრება იმგვარი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც მყარად დაადასტურებს შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რაც მას მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად არ მიუღია, გარდა ამისა, თავად სარჩელში აღნიშნავს მხარე, რომ უფლების დარღვევის თაობაზე 2006 წლის იანვარში შეიტყო, სარჩელი კი – 2016 წელსაა აღძრული, რაც მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მეტყველებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. მოცემული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლოების მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დადგინდა თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით არ იქნა გაზიარებული, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

5.2. საქმის ხელახლა განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით დანიშნა ექსპერტიზა, ხოლო, 2016 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით დაეკისრა 2 387 ლარის გადახდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი, ასევე, ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევაზე უარის თქმისა და საქმის მასალებიდან ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ნორმის მე-2 ნაწილის გეთავაზობს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, თუ რა განიხილება სამართლის ნორმის დარღვევად, მათ შორისაა სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი განმარტება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. გარდა ზემოხსენებულისა, საპროცესო სამართალი იცნობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთა შორისაცაა შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება იური-

დიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (იხ. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

1.2. განსახილველი დავის საგანს მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამონწეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისათვის იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას, რომელიც მან განიცადა, რადგანაც მოპასუხემ დროულად არ დაუბრუნა უფლების მქონე პირს ის ინვენტარი, რომელიც ეკუთვნოდა მას, იყენებდა სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად და სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონაურვის შემდგომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა ვალდებული პირი. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ვალდებული პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად უფლების მქონე პირს მიადგა ქონებრივი ზიანი, რაც შემოსავლის მიღების შეუძლებლობაში გამოიხატა. ეს ფაქტი სასამართლომ დაამყარა საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ საექსპერტო კვლევას და მოპასუხის შედავების გათვალისწინებით, ვინაიდან მოთხოვნა ნაწილობრივ იყო ხანდაზმული, სარჩელი მხოლოდ არახანდაზმული მოთხოვნის ნაწილში დააკმაყოფილა.

1.3. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიზნებისათვის უფლების მქონე პირმა სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენით დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილებას გამოიწვევდა და მიიჩნევს, რომ არსებული ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, სასამართლომ არასწორად განმარტა დამფუძნებელი ნორმის შემადგენელი ელემენტების არსებობა. გარდა ამისა, კასატორი პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით მტკიცებულებათა მოპოვებისა და ამ გზით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თვალსაზრისით.

1.4. ვიდრე საკასაციო სასამართლო კასატორის იმ პრეტენზიების საფუძვლიანობას შეამოწმებს, რომლებიც დავის მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს შეეხება, მიზანშეწონილად მიიჩნევს, გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების მართლობიერება. ამ თვალსაზრისით, კასატორი სადავოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებას, რომლითაც მისი შუამდგომლობა სასამართლოს ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკი-

ცებულებად მიჩნევისა და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

1.4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. განსახილველი ნორმებიდან გამომდინარე, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის კვლევის უფლებამოსილება საკასაციო სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ გააჩნია, არამედ, ეს დასაშვებია მხოლოდ კასატორის პრეტენზიის არსებობის პირობებში, ამასთანავე, ამგვარი შედავებისას საკასაციო პალატა უფლებამოსილია იმსჯელოს ქვემდგომ სასამართლოთა იმ შუალედური განჩინებების კანონიერებაზე, რომლებიც დამოუკიდებელ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

1.4.2. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, საკასაციო სამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით, საკუთარი ინიციატივით დანიშნა ექსპერტიზა შემდეგი საკითხების დასადგენად:

ა) მხარეთა შორის სადავო ნივთების გაქირავებით რა შემოსავალს მიიღებდა აპელანტი 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე იმ დროს ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით;

ბ) იყო თუ არა შესაძლებელი, სადავო ნივთების კომერციული მიზნით ექსპლუატაცია 2002 წლის 2 აპრილიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე;

გ) რა მოგებას იღებდა აპელანტი მას და მოპასუხეს შორის 2002 წლის 2 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2002 წლის 2 აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე კვებითი მომსახურების სადავო ინვენტარის გამოყენებით;

დ) რა მოგებას მიიღებდა მოსარჩელე სადავო ინვენტარის გამოყენებით მსგავსი კვებითი მომსახურების განწევის შედეგად 2006 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით.

1.4.3. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად:

ა) 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 თებერვლამდე მოსარჩელე მოძრავი ნივთების გაქირავებით მიიღებდა 9 677 ლარს შემო-

სავლის სახით;

ბ) ინვენტარის მართებულად ექსპლუატაციის შემთხვევაში, შესაძლებელია კომერციული მიზნით ექსპლუატაცია 2002 წლის 2 აპრილიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე;

გ) სადავო ინვენტარის გამოყენებით უფლების მქონე პირი მსგავსი კვებითი მომსახურების განევის შედეგად 2006 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე, ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, მოგების სახით მიიღებდა 407 031,24 ლარს (დღგ-ს გარეშე);

დ) მასალების შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა მოგებას იღებდა აპელანტი კასატორთან 2002 წლის 2 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2002 წლის 2 აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე კვებითი მომსახურებიდან სადავო ობიექტის გამოყენებით.

1.4.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმით-

თებული მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნილი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 103-ე მუხლი). როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს აქტიური როლი ამ თვალსაზრისით გამონაკლის შემთხვევაშია დასაშვები, მაგალითად, როდესაც მხარე თავად ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულების მოპოვებას და დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენს საქმის განხილველ შემადგენლობას (სსსკ-ის 103.2 მუხლი), ასევე, საოჯახო საქმეთა განხილვისას დაშვებული ინკვიზიცია (სსსკ-ის 354.1 მუხლი) და სხვა, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ამ დანაწესებით სარგებლობისას არ უნდა იქნას დარღვეული მხარეთა თანასწორობის სამართლიანი ბალანსი (სსსკ-ის მე-5 მუხლი).

1.4.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ექსპერტის დასკვნას პროცესის მიზნებისათვის დასაშვებ მტკიცებულებათა ნუსხას მიაკუთვნებს, თუმცა, როგორც წესი, მისი მოპოვება და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დადასტურება, მხარის ვალდებულებაა. კანონმდებლობა სასამართლოს ანიჭებს ასევე ექსპერტიზის დანიშვნის უფლებას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, თუმცა, ეს უფლება არ არის შეუზღუდავი და მსგავსი საპროცესო მოქმედება ამავე კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 173-ე მუხლის მოთხოვნათა განუხრელად დაცვის გზით უნდა შესრულდეს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა და აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადანყვეტიისათვის/მის გარეშე გადანყვეტილების გამოტანა შეუძლებელია;

ბ) საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია და ამ დასკვნის არსებობა საქმეზე ქვემარტივების დადგენის უმთავრესი წინაპირობაა;

გ) სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

1.4.6. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელემ სარჩელს დაურთო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც საუბარია 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე მიუღებელ შემოსავალზე და კვლევის შედეგებს საფუძვლად უდევს მოსარჩელის მიერ სადავო ინვენტარის ქირავნობა-იჯარით გაცემის შედეგად მისაღები მოგების ანგარიში. ამ გამომავარიშებას არ დაეთანხმა მოპასუხე და შესაგებლით სადავო გახადა ზიანის ოდენო-

ბა, ხოლო 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ექსპერტიზის ხსენებული დასკვნა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანში შედიოდა არა ზოგადად ინვენტარის ექსპლუატაციით (როგორცაა, მათ შორის გაქირავება), არამედ, სამენარმეო ფარგლების გათვალისწინებით ქონების გამოყენების გზით შემოსავლის მიღების დადასტურება.

1.4.7. სააპელაციო პალატამ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებით განსაზღვრა რა კვლევის საგანი, ერთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი ფაქტების (იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.4.2. პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტები), ხოლო, მეორე შემთხვევაში – მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვებით, დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და ამ დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. თავად მტკიცებულების იურიდიულ ძალასთან მიმართებით პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნევს, რომ მას, როგორც საპროცესო წესების დარღვევით მოპოვებულს, იურიდიული ძალა არ გააჩნია.

1.4.8. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევაზე უარის თქმით ქვემდგომმა სასამართლომ უარყო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს“ პრინციპი.

1.5. რაც შეეხება კასატორის არგუმენტებს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის განმარტებისა და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არასწორად დადგენის თვალსაზრისით, მათი საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ, მხარეთა შეუდავებელ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთაც წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ძალა გააჩნიათ, კერძოდ:

1.5.1. 2002 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება ჩამოეყალიბებინა და ემუშაებინა მოპასუხე საწარმოში დასაქმებული 100 პირისთვის კაფეტერია. კაფეტერიის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო კასატორის კუთვნილ ტერიტორიაზე მოსარჩელის ინვენტარითა (მოწყობილობებით) და ხარჯებით. ამ უკანასკნელის ვალდებულებას წარმოადგენდა დამკვეთის შე-

ნობის გარეთ, საკუთარ ტერიტორიაზე ცხელი საკვების მომზადება და ჰერმეტიკულად დაცული თერმოსებით კაფეტერიისთვის მიწოდება, ხოლო მომსახურების საფასურის გადახდა მოპასუხეს უნდა ეწარმოებინა საბანკო გადარიცხვით ყოველი თვის 15 რიცხვში თითო პირზე 8 ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა მის მიერ განთავსებული ინვენტარი;

1.5.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ 2002 წლის 2 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე კაფეტერიის მოსაწყობად შეტანილი ინვენტარი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კასატორის მონინააღმდეგე მხარეს არ დაბრუნებია და მოპასუხე ახორციელებდა მათ უკანონო მფლობელობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მფლობელს დაეკისრა კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მოწყობილობების დაბრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა;

1.5.3. 2011 წლის 21 თებერვალს, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, კასატორმა მოსარჩელეს ჩაურიცხა სადავო ქონების ღირებულება, შესაბამისად, ვალდებული პირი 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე უკანონოდ ფლობდა უფლების მქონე პირის კუთვნილ ინვენტარს (მოწყობილობებს). სწორედ ამ ქონებით სარგებლობის უკანონო ხელშეშლას ემყარება მოსარჩელის მტკიცება ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურების თაობაზე.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტში გადმოცემულ კასატორის შედაგებას და აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი წარმოადგენს. შესაბამისად, უნდა შემომდეს ამ ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობისა და სარჩელში გადმოცემული ფაქტების საფუძვლიანობა (სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობა), დადებით შემთხვევაში – მოპასუხის შედაგების არსებითობა და მტკიცების სტადია.

1.7. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არამხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხო-

ლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვება ზიანის დადგომა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, ასევე, თავად „მიუღებელი შემოსავლის“ განმარტება. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ეს არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

1.8. მართალია, მოსარჩელე მიუთითებს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებზე, თუმცა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოპასუხე შესაგებლით არ დაეთანხმა სადავო პერიოდში მოთხოვნილი ოდენობით შემოსავლის მიღების საკითხს, რამაც მოსარჩელეს მითითებული ფაქტის დადასტურების ვალდებულება წარმოუშვა. ამ მხრივ, როგორც ზემოთ ითქვა, საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 8 აგვისტოს დასკვნა, რომელიც საკასაციო პალატამ, კვლევითი ნაწილის გათვალისწინებით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტისათვის არასათანადოდ (არაგანკუთვნიდად) მიიჩნია, სხვა დასაშვები მტკიცებულება კი, რომელიც მოსარჩელის სამენარმეო ურთიერთობის ფარგლებში (რასაც წინასწარ ივარაუდებდა ვალდებული პირი) შემოსავლის რეალურად მიღების შესაძლებლობას დაადასტურებდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითვე დადგინდა, რომ არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო სასამართლოს ინიციატივით და-

ნიშნული ექსპერტიზის კვლევაზე საკასაციო პალატა აღარ შეჩერდება გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, შესაბამისად, სასამართლო ასკენის, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაძლია მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი.

1.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტთან მიმართებით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფძველია. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ფაქტი, სარჩელის დაკმაყოფილება გამოორიცხულია.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 300 ლარი. რადგანაც საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდა, ამ თანხის ანაზღაურება კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოწინააღმდეგე მხარეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ა-ის“ სარჩელი შპს „ჯ-ის“ მიმართ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „ჯ-ის“ შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის საოქმოდ განჩინების გაუქმებისა და მტკიცებულების ამორიცხვის თაობაზე დაკმაყოფილდეს.
5. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის საოქმოდ განჩინება და სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 28 იანვრის სასაქონლო, ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნა მიჩნეულ იქნას დაუშვებელ მტკიცებულებად.
6. შპს „ა-ს“ (ს/კ №...) შპს „ჯ-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1245-1168-2015

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:

1.1. გ. მ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან გამსესხებელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე ან მსესხებელი) მიმართ და 2009 წლის 21 იანვრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოითხოვა ძირი თანხის – 1 498 800,96 აშშ დოლარის, სარგებლის – 5 490 000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – სარჩელის აღძვრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 1 498,8 აშშ დოლარის დაკისრება (იხ. დაზუსტებული მოთხოვნა).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2009 წლის 21 იანვარს მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 12 თვის ვადით მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 1 498 800,96 აშშ დოლარი, წლიური სარგებელი განისაზღვრა 120,1%-ით. სესხი უნდა დაბრუნებულიყო შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად მსესხებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა – არ გადაიხადა სარგებელი და არ დააბრუნა სესხის ძირი თანხა, შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს, როგორც ძირი თანხის, ისე გადაუხდეელი სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება არა მხოლოდ ხელშეკრულების, არამედ მისი ვადის გასვლის შემდეგაც თანხის სრულად დაბრუნებამდე. ვალდებულების დარღვევის გამო მსესხებელს, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, ასევე უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე (იხ. სარჩელი).

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარადგინა, როგორც მოთხოვ-

ნის გამომრიცხავი, ისე მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი. მოპასუხის განმარტებით, მართალია, სესხის წერილობითი ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმდა, თუმცა მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია, გარდა აღნიშნულისა, სარჩელი საფუძვლიანი რომც იყოს, მაინც არ იარსებებდა მისი დაკმაყოფილების წინაპირობები, რამდენადაც მოთხოვნა ხანდაზმულია (იხ. შესაგებელი).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის სესხის ძირი თანხის – 1 498 800 96 აშშ დოლარის, სარგებლის – 5 490 000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 1 596 222 აშშ დოლარის დაკისრება (იხ. საკასაციო საჩივარი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, შპს „კ-ის“ უფლებამოსაცვლედ მიჩნეულ იქნა შპს „ს-ი“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძვლიანობა წარმოადგენს. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სარჩელი უსაფუძვლოა, რადგანაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა წერილობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი.

1.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და პრეტენზიას გამოთქვამს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით გამოკვლევის თაობაზე, რის შესაბამისადაც, საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა მიღებული.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი ნორმა ადგენს საკასაციო პრეტენზიის დასაშვებობა-დასაბუთებულობის სტანდარტს და საკასაციო სასამართლოს წარმოუშობს ვალდებულებას, საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს კასატორის მითითებათა საფუძვლიანობა (სსსკ-ის 404.1 მუხლი). საკასაციო განაცხადის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს სადავო ურთიერთობის იურიდიულ ბუნებაზე, გასაჩივრებული განჩინების მოტივებსა და საქმეში არსებულ სადავო მტკიცებულებებზე:

1.4. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია და შედავების არარსებობის გამო, საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალის მქონეა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.4.1. 2009 წლის 21 იანვარს მხარეებმა წერილობით გააფორმეს სესხის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა გამსესხებლის (მოსარჩელე) მიერ, მსესხებლისათვის (მოპასუხე), ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სასყიდლიანი სესხის მიცემა და მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

1.4.2. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, სასყიდლიანი სესხის ოდენობა შეადგენს 1 498 800,96 დოლარის ეკვივალენტ ლარს; სესხის ვადა განისაზღვრა 12 თვით; წლიური სარგებლის ოდენობა – 120,1%-ით; ვადაგადაცილებაზე შეთანხმებულია პირ-

გასამტეხლოც – თუ მსესხებელი 14 საბანკო დღეზე მეტი ვადით დააგვიანებდა და არ გადაიხდიდა სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ძირითადი თანხის ვადაგადაცილებული ნაწილის 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

1.4.3. ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, მსესხებელს უფლება გააჩნდა, მიეღო სესხი ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

1.4.4. მოპასუხემ სადავოდ გახადა სესხის მიღების საკითხი, შესაბამისად სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობაც.

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავოობისას სესხის ხელშეკრულების დადების – თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ვალდებულება ეკისრება გამსესხებელს – მოსარჩელეს. აღნიშნული მოსაზრების სრულყოფის მიზნით პალატა დამატებით განმარტავს შემდეგს: განსახილველი მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხვებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება), რომელიც, თავის მხრივ, მიიღო მსესხებელმა. მატერიალური სამართლის ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც ნივთის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. საგულისხმოა თავად მტკიცების სტანდარტიც, კერძოდ, მატერიალური სამართალი ადგენს თუ არა ხელშეკრულების დადების ფაქტის გარკვეული მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულებას (როგორცაა, მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი – უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონ-

მეთა ჩვენებებით. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის მონხის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული.

1.6. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას იმის თაობაზე, რომ თანხის გადაცემის ფაქტი საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების გონივრული შეფასებით არ დგინდება, რაც მოსარჩელეს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან გაათავისუფლებდა, ამ თვალსაზრისით სწორად იქნა შეფასებული სადავო წერილობითი ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროისათვის მსესხებლის მიერ თანხის მიღების დადასტურებას არ შეიცავენ, არამედ, მითითებულია მსესხებლის მიერ თანხის სამომავლოდ მიღების უფლებაზე, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველად არ შეიძლება იქნას მიჩნეული საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების დასაბუთებული უარყოფის გარეშე. ბუნებრივია, მოსარჩელის მხრიდან მტკიცების ტვირთის დაძლევა ართულებს მისი არაერთმნიშვნელოვანი განმარტებები (საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მან თავდაპირველად თანხის გადარიცხვაზე, ხოლო შემდგომ – კაზინოს სალაროში შეტანაზე მიუთითა), თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს, ხოლო, ამავე კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებ-

ლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

1.7. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის (სესხის ხელშეკრულების რეალურად დადების) თვალსაზრისით, უდავოდ მნიშვნელოვანია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებები:

ა) 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომლის თანახმადაც, გამსესხებელმა წერილობით მიმართა მოპასუხეს და თანხმობა განაცხადა, რომ 2009 წლის 21 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, მისთვის გადასახდელი თანხიდან ნაწილი 900 000 – 1 000 000 ლარის ფარგლებში გადარიცხულიყო შპს „ფ-ის“ ანგარიშზე;

ბ) შპს „ფ-ის“ ანგარიშის ამონაწერი, რომლის თანახმადაც, 2009 წლის 31 აგვისტოს მოპასუხემ შპს „ფ-ს“ გადაურიცხა 920 797,92 ლარი დანიშნულებით – „სესხის დასაფარად“;

გ) სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ წერილობითი ფორმით გაცემული ინფორმაცია;

დ) მოწმეთა ჩვენებები.

1.7.1. მოხმობილ მტკიცებულებათაგან „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტების ურთიერთკავშირი სააკუელაციო პალატამ იმ დასაბუთებით არ გაიზიარა, რომ წერილის მიღების ფაქტს მოპასუხე არ ადასტურებდა, ამასთანავე, წერილობით დოკუმენტს არ ჰქონდა მისი ადრესატისათვის რეალურად გადაცემის დამადასტურებელი ინიციალები, ხოლო სხვა სანარმოსათვის თანხის გადარიცხვის ფაქტის შემოწმებისას, პალატამ მიუთითა მოპასუხის მიერ აღძრულ კონდიქციური სარჩელზე შპს „ფ-ის“ მიმართ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის სადავო წერილის ინდივიდუალურად შეფასების შემთხვევაში, შესაძლოა, მისი ღირებულებითი მნიშვნელობა ეჭვქვეშ დადგეს, რამდენადაც ის მართლაც არ შეიცავს იმგვარ მითითებას, რაც ადრესატის მიერ ნების მიღებას დაადგენდა, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის დებულებებით მოპასუხეს არ უსარგებლია, თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მანვე განმარტა საზოგადოების მიერ კორესპოდენციის მიღების დადასტურების წესი (იხ. 09.12.2013წ. სხდომის ოქმი, 15:23:30 სთ; 17.03.2014წ. სხდომის ოქმი, 15:06:33 სთ, ასევე, მოწმე ი.ს-ის ჩვენება, 14.04.2014წ. სხდომის ოქმი, 14:28:51 სთ), რაც ამავე სახითაა ასახული წერილობით ახსნა განმარტებაში, კერძოდ,

მოპასუხე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შპს „კ-ა“ კორესპოდენციის მიღებას ახორციელებდა მარტივი კანცელარიის პრინციპით, წერილების ჩაბარება ხდებოდა კაზინოს ფოიეში, ხოლო გამგზავნის ან/და კურიერის მოთხოვნის შემთხვევაში, კაზინოს წარმომადგენელი ჩაბარების შესახებ ხელმოწერას აკეთებდა გამომგზავნის/კურიერის მიერ მითითებულ დოკუმენტზე და შესაბამისი დოკუმენტი რჩებოდა გამომგზავნ მხარესთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მონმე ი.ს-ის განმარტებაზე, თუ რა სახით ხდებოდა კორესპოდენციის ჩაბარება, თუმცა ამავე მონმემ დაადასტურა კორესპოდენციის იმგვარად მიღების შესაძლებლობაც, როდესაც მასზე რაიმე დადასტურება არ აღინიშნებოდა (იხ. 14.04.2014წ. სხდომის ოქმი, 14:28:42 სთ). აქვე მნიშვნელოვანია შეფასდეს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის შედაგება მოსარჩელის 2009 წლის 30 აგვისტოს წერილის თაობაზე. ეს უკანასკნელი ეჭვს გამოთქვამს დოკუმენტის დათარიღებასა და მოსარჩელის იმდროინდელი წარმომადგენლის – ი.ჯ-ის ჩვენებაზე, რომ წერილი მოსარჩელის კარნახით სწორედ მან შეადგინა და წარადგინა მოპასუხე საწარმოში, რადგანაც მისი მარწმუნებელი (მოსარჩელე) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფებოდა. რაც შეეხება თანხის გადარიცხვის ფაქტს, საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ ამ მტკიცებულების მიმართ კვალიფიციური შედაგება განახორციელა, კერძოდ, განმარტა, რომ შპს „ფ-ის“ ამონაწერში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია, მან მართლაც შეასრულა მსგავსი ტრანზაქცია, თუმცა არ ადასტურებს იმას, რომ ამ გადარიცხვასა და მოსარჩელის წერილს შორის არსებობს რაიმე ურთიერთკავშირი (იხ. შესაგებელი). საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ამ შედაგების სამართლებრივ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ გადარიცხვის რეალური საფუძვლის (მოსარჩელის მითითებისაგან განსხვავებული) დადასტურება მოპასუხის მტკიცების ვალდებულებას წარმოშობს, ამ მხრივ, მართალია, საქმეში წარმოდგენილია მოპასუხის მიერ აღძრული კონდიქციური სარჩელი, თუმცა მისი შესწავლით არ დასტურდება არც სარჩელის სასამართლოს წარმოებაში არსებობის და არც ამ დავის რაიმე ფორმით დასრულების (გადაწყვეტილების მიღების) ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს ასევე სრულყოფილ მსჯელობას განხორციელებული გადარიცხვების თაობაზე მოპასუხე საწარმოს ყოფილი დირექტორისა და შპს „ფ-ის“ დირექტორის ჩვენებები რამდენად ამართლებენ შპს „ფ-ის“ ანგარიშზე თანხის არა სადავო, არამედ სხვა, დამოუკიდებელი (თუნდაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე) სამართალურთიერთობის ფარგლებში გადარიცხვას. პალატა მხედველობაში იღებს მონმე ი. ს-ს

ჩვენებს, რომლის თანახმადაც მისთვის გადარიცხვის რეალური საფუძველი უცნობია, რამდენადაც დავალება მიიღო საწარმოს დამფუძნებლისგან, მანვე განმარტა, რომ თანხის გადარიცხვაში დანიშნულებად „სესხის დაფარვა“ საკუთარი ინიციატივით განახორციელა, თუმცა, სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, საგადასახადო მიზნებისათვის თუ რატომ იყო საჭირო განხორციელებული ტრანზაქციის დანიშნულებად „სესხის დაფარვის“ მითითება, აქვე მოწმე ადასტურებს, რომ არ აქვს პასუხი, გადარიცხვის განხორციელებისას დანიშნულებად რატომ მიუთითა სესხის დაფარვა (იხ. 14.04.2014წ. სხდომის ოქმი, 14:35:36 სთ; 14:38:02 სთ; 14:54:43 სთ). პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ გასაჩივრებული განჩინების კვლევით ნაწილში ასევე არ არის ასახული სასამართლოს დასკვნები მოსარჩელის იმ განმარტების თაობაზე, სადაც მხარე ადასტურებს შპს „ფ-ის“ ანგარიშზე განხორციელებულ გადარიცხვასა და სესხის სარგებლის ოდენობის კავშირს (მოსარჩელის მტკიცებით, სესხის ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკით გათვალისწინებული ოთხი თვის სარგებლის დაქვითული ოდენობა ემთხვევა განხორციელებული ტრანზაქციის ოდენობას).

1.7.2. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარდგენილ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ გაცემულ ინფორმაციას, ამ მტკიცებულებების თანახმად, ირკვევა შემდეგი: სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ერთიანი ელექტრონული ბაზის 13.12.2013 წლის მონაცემების მიხედვით, გ. მ-ის მიერ 2009 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 997 365 ლარს (13.12.2013წ. ცნობა), ამავე პასუხს ერთვის დანართი – „გაშიფვრა თვეების მიხედვით“, საიდანაც დასტურდება, რომ გ. მ-ის 2009 წელს შპს „კ-ასგან“, მიღებული აქვს შემოსავალი პროცენტის სახით 997 365 ლარის ოდენობით; დასახელებული მტკიცებულების საპირისპიროდ, მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა ასევე, „შემოსავლების სამსახურის“ მიერ 23.01.2014წ. გაცემული ცნობა რომელშიც მითითებულია, რომ 2009 წელს გადახდის წყაროსთან დაკავებული სამშემოსავლო გადასახადის ინფორმაციის წარდგენა ხდებოდა ჯამურად, წლის განმავლობაში გაცემული შრომითი ანაზღაურების მითითებით; მოსარჩელემ დამატებით წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ 05.02.2014წ. გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ 04.02.2014 წლის მდგომარეობით ფ/პ გ. მ-ის მიერ 2009 წელს პროცენტის სახით მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავალი შეადგენს 997 365 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადი შეადგენს 74 802.38 ლარს. სააპელაციო პალატამ მითითებული მტკიცებულებების გაზიარებაზე უარი საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე დამყარა და აღნიშნა, რომ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ცნობა

არ წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებას, ვინაიდან მისი შინა-არსიდან არ დგინდება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებლის მიღება, აღნიშნულის საპირისპიროდ კი, მიუთითა ზემოხსენებული დოკუმენტების დათქმაზე – „ხელფასის სახით“. საკასაციო პალატა კვლავ განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების დადების მტკიცების სპეციალურ სტანდარტს მატერიალური სამართლის ნორმა არ შეიცავს, რის გამოც, გამსესხებელმა სესხის გადაცემის ფაქტი შესაძლოა ნებისმიერი სარწმუნო მტკიცებულებით დაადასტუროს (იხ. წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტი), რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მითითებულია შემოსავლის „ხელფასის სახით“ მიღება მოპასუხისაგან, საკასაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელის მოპასუხე საზოგადოებაში დასაქმების ფაქტის სათანადო მტკიცებულებით დადასტურება სწორედ დამსაქმებელს – მოპასუხეს ეკისრებოდა (მაგ: წერილობითი შრომითი ხელშეკრულება, მისი არარსებობის პირობებში სხვა იმგვარი მტკიცებულება, რაც შრომის კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრულ გარემოებას დაადასტურებდა), რომელსაც ამ კუთხით ჯეროვანი მტკიცება არ განუხორციელებია, უფრო მეტიც, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც მხარეთა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობას დაამტკიცებდა და ლოგიკურ, დამაჯერებელ პასუხს გასცემდა იმ შეკითხვას, თუ რის საპროცენტო სარგებელს შეადგენდა გამსესხებლის მიერ მიღებული შესრულება (სკ-ის 361.1 მუხლი). საგულისხმოა სადავო პერიოდში მოპასუხე საწარმოს დირექტორის ჩვენება, რომელიც უარყოფს მოსარჩელისათვის პროცენტის სახით რაიმეს გადარიცხვას და ამ გადარიცხვას, ერთ შემთხვევაში, ბუღალტრულ შეცდომად, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მის მიერ სამსახურის დატოვების შემდგომ მოსარჩელესთან შესაძლო გარიგების დადებაზე მიუთითებს (იხ. 14.04.2014წ. სხდომის ოქმი, 14:32:51 სთ). საკასაციო პალატა ზემოხსენებული მტკიცებულებების შეფასებისას ყურადღებას იმ გარემოებაზეც გაამახვილებს, რომ საქმეში არსებული სესხის ხელშეკრულება, რომელზე ხელმონერასაც მოპასუხე არ უარყოფს, შეიცავს შემდეგ პირობას: „გადახდები: დანართი №1-ით გათვალისწინებული გადასახდელი სარგებელი მოცემულია საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, რომელიც დაიბეგრება გადახდის წყაროსთან“ (იხ. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.6. პუნქტი), თავის მხრივ, სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის განმარტებაზე, სადაც იგი აღნიშნავს საანგარიშო თვის ბოლო დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული აშშ დოლარის ლართან მიმართებაში დადგენილი კურსის სიზუსტით გადასახდელი სესხის სარგებლისა და სსიპ „შემოსავლებისა სამსა-

ხურის“ მიერ გადახდის წყაროსთან (მოპასუხე) დაბეგრული „საპროცენტო სარგებლის“ იდენტიფიკაციას (იხ. საქალაქო სასამართლოს 19.02.2014წ. სხდომის ოქმი, 17:38:39 სთ), გასაჩივრებული განჩინებით პასუხგაუცემელია მოსარჩელის ის განმარტებაც (რაც სააპელაციო საჩივრის საფუძველსაც წარმოადგენდა), რომელიც შეეხება სადავო პერიოდში მოქმედ საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 37-ე ნაწილის დათქმას სარგებლის დაბეგრვის ოდენობის თაობაზე.

1.8. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიებს მოპასუხის მიმართ ნაწარმოებ სხვა სამოქალაქო საქმის თაობაზე, რომლის ფაქტობრივი მხარე განსახილველი სამართალურთიერთობის მსგავსია, პალატა მას ვერ გაიზიარებს და მოდავე მხარეთა სხვადასხვაობის გამო მიიჩნევს, რომ იმ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იურიდიული ძალა წინამდებარე დავის მიმართ არ შეიძლება მიენიჭოს, არამედ დამოუკიდებელ შეფასებას ექვემდებარება, ხოლო სააპელაციო პალატამ ამ თვალსაზრისით მართებულად მიუთითა იმაზე, რომ სხვა პირთან სესხის ხელშეკრულების დადებისა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობის ფაქტი მოცემული დავის განხილვაში ვერ იქნება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე.

1.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომმა სასამართლომ, წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.7. პუნქტში მოხმობილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებით უნდა გამოარკვიოს, ხომ არ არსებობს იმ კანონისმიერი პრეზუმფციის (სკ-ის 361.1 მუხლი) დაშვების წინაპირობა, რომ მხარეთა შორის მართლაც წარმოშობილია სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობა. პალატა დამატებით განმარტავს, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის

მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). საკასაციო სამართალწარმოების ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, რომლის გადანყვეტის გარეშეც შეუძლებელია, შეფასდეს მოსარჩელის მოთხოვნები სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების, ასევე, მოპასუხის შედაგება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადანყვეტდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-303-288-2016

6 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ჭ-მ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის მიერ განეული მომსახურების ღირებულების – 9719 ლარის დაკისრება.

2. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2.1. 2013 წლის ნოემბრის თვიდან მოსარჩელე ახორციელებდა მოპასუხე კომპანიის იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურებას, მისი დამფუძნებლისა და დირექტორის, ნ. ბ-სა და მოპასუხე კომპანიის ბუღალტრის, მ. შ-ს მოთხოვნით, ზეპირი და წერილობითი გარიგებების საფუძველზე;

2.2. მოსარჩელემ, მოპასუხე მხარის თხოვნის საფუძველზე, შეისწავლა დებიტორ შპს „ა“-ის საქმე და მხარეები ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ, დებიტორისაგან ამოღებული თანხის 30%-ის ანაზღაურების (ჰონორარის) სანაცვლოდ, იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, მან მოამზადა განცხადება, რომელიც მოპასუხე კომპანიის ბუღალტერმა – მ.

შ-მ ჩააბარა თბილისის სააღსრულებო ბიუროში და, რომლითაც მოითხოვა დებიტორ შპს „ა“-დან დავალიანების – 203812 აშშ დოლარისა და 100 ლარის გადახდა;

2.3. 2014 წლის 26 იანვარს მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმება არსებითი პირობების უცვლელად გაფორმდა წერილობით, რომლის თანახმად, მოსარჩელის კომპანიას – შპს „პ-ს“ დავალა მოპასუხის დებიტორული დავალიანებების ამოღება, რის საწინააღმდეგოდ სამუშაოს შემსრულებელი მიიღებდა 30%-ს ყოველი შესრულებული დებიტორული ვალდებულებიდან;

2.4. მოპასუხე კომპანიის დირექტორმა ზეპირი თუ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული დავალებების უზრუნველსაყოფად მოსარჩელესა და ს. ს-ს მიანიჭა უფლებამოსილება მოპასუხე კომპანიის სახელით დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით;

2.5. მოპასუხე კომპანიამ, სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, დებიტორებიდან (შპს „ე.“, ბ. ზ-ი) ამოღებული თანხის 30% არაერთგზის გადარიცხა შპს „პ-ს“ საბანკო ანგარიშზე;

2.6. დებიტორ შპს „ა“-ის ქონების რეალიზაციიდან გადმორიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 32397,76 ლარი. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიუხედავად, მოპასუხე კომპანიის დირექტორმა ელ-ფოსტის მეშვეობით გადაცემული 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილით უარი განაცხადა შპს „ა“-ის ქონების რეალიზაციიდან მიღებული (საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით) თანხის შესაბამისი ანაზღაურების გადახდაზე, აღნიშნული შეთანხმების შესახებ წერილობითი დოკუმენტის არარსებობის გამო.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

3.1. მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურება იჯარის ფართის მოძიებასა და სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფით ხელშეკრულების შედგენაში;

3.2. 2014 წლის 26 იანვარს მოპასუხესა და შპს „პ-ს“ შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების განწესის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მოპასუხე კომპანიასა და შპს „ა“-ს შორის 2013 წლის 8 ოქტომბერს დადებული №4 შეთანხმების საფუძველზე დებიტორული დავალიანების ამოღების უზრუნველყოფას. მოპასუხემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებდა მოთხოვნის დათმობას მესამე პირებთან მიმართებაში მოპასუხის სასარგებლოდ, შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებაში დებიტორად უნდა ყოფილიყვნენ შპს „ა“-ს დებიტორები და არა – თავად შპს „ა“.

3.3. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დას-

ტურდება ის გარემოება, რომ სააღსრულებო წარმოების შედეგად ამოღებული თანხების გადარიცხვა განხორციელდა 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგად. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2013 წლის 29 ოქტომბერს დაიწყო გამარტივებული წარმოება დავალიანების გადახდევინების შესახებ 2013 წლის 11 სექტემბრის დავალიანების შემცირების შესახებ №3 შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 2013 წლის 5 დეკემბერს დაიწყო სააღსრულებო წარმოება (წარმომადგენელი – მ. შ.). ამასთან, თავად შპს „ა“-ის დირექტორმა 2013 წლის 16 დეკემბრის განცხადებით დააზუსტა თავისი ავტომობილების სია. შესაბამისად, შპს „ა“-დან დავალიანების თანხის დაფარვა განხორციელდა სააღსრულებო წარმოების შედეგად, რომელშიც შპს „პ-ს“ მონაწილეობა არ მიუღია;

3.4. 2014 წლის 26 იანვარს დადებული ხელშეკრულების მეორე მხარეს წარმომადგენს შპს „პ.“, ხოლო სარჩელი აღძრულია ფიზიკური პირის მიერ, რომელიც არასათანადო მოსარჩელეა.

4. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით დამატებით მოსარჩელედ მიუთითა შპს „პ.“ (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“) და განმარტა, რომ მას, როგორც აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორს, მოთხოვნის იგივე ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, როგორც ფიზიკურ პირს.

5. ამასთან, მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა თავდაპირველ სარჩელში მითითებულ 2014 წლის 20 ოქტომბრის ელექტრონულ წერილზე, რომელშიც მოპასუხე კომპანიის დირექტორი, მართალია, უარს აცხადებს შპს „ა“-ის ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის შესაბამისი ანაზღაურების გადახდაზე, თუმცა, ამავე წერილით გამოთქვამს მზადყოფნას იმავე მომსახურების შედეგად მიღებული საფასურის ნაწილის, კერძოდ, 5067 ლარის შესაბამისი 30%-ის (1520,28 ლარის) შპს „პ-ს“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვაზე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და მეორე მოსარჩელემ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელისა და მეორე მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელისა და მეორე მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელისა და

მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 719 ლარის გადახდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9.1. 2014 წლის 26 იანვარს მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის საგანსაც წარმოადგენდა 2013 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხესა და შპს „ა“-ს შორის დადებული „მოთხოვნის უფლების დათმობის (ცესია), დავალიანების გაუქმებულად აღიარების და დებიტორული დავალიანების შემოსულობებიდან მიღებული სარგებლის გადანაწილების შესახებ“ №4 შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული დებიტორული დავალიანებებიდან თანხის – 65 000 ლარის ამოღების უზრუნველყოფა;

9.2. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კლიენტი კომპანიას უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს (ჰონორარს) შემდეგი ფორმით: 2013 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხესა და შპს „ა“-ს შორის დადებული „მოთხოვნის უფლების დათმობის (ცესია), დავალიანების გაუქმებულად აღიარების და დებიტორული დავალიანების შემოსულობებიდან მიღებული სარგებლის გადანაწილების შესახებ“ №4 შეთანხმების საფუძველზე დებიტორული დავალიანებიდან თითოეული ამოღებული თანხის 30%-ს (ჰონორარი);

9.3. 2014 წლის 27 იანვარს მოპასუხე კომპანიის დირექტორმა ნ. ბ-მა მოსარჩელისა და ს. ს-ის სახელზე 2014 წლის პირველ მაისამდე გასცა რწმუნებულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელესა და ს. ს-ს მიენიჭათ უფლებამოსილება განეხორციელებინათ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მოპასუხე კომპანიის დებიტორული დავალიანების (თანხის) ამოღებასთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებით დაედოთ ან გაეუქმებინათ მესამე პირებთან ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები, ეწარმოებინათ მოლაპარაკებები, მიეღოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, აეღოთ სააღსრულებო ფურცელი, წარედგინათ აღსასრულებლად, მონაწილეობა მიეღოთ სააღსრულებო წარმოებაში, გამოეთხოვათ, წარედგინათ, მიეღოთ და ხელი მოეწერათ განცხადებებზე, ცნობებსა და ყველა საჭირო დოკუმენტაციაზე, წარმოედგინათ ინტერესები სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიციაში), აღსრულების ეროვნულ ბიუროში და/ან კერძო აღმას-

რულებელთან, სასამართლოს ყველა ინსტანციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეესრულებინათ ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნებოდა აღნიშნული დავალების შესრულებასთან;

9.4. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მოსარჩელე არის შპს „პ-ს“ 100%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი.

10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელე მონაწილეობდა მოპასუხის სასარგებლოდ შპს „ა“-დან თანხების ამოღების პროცედურებში და, ამასთან, საადვოკატო მომსახურების ღირებულება (ჰონორარი) განსაზღვრული იყო დებიტორული დავალიანებიდან თითოეული ამოღებული თანხის 30%-ით, ეკისრებოდა მოსარჩელე მხარეს.

11. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით უდავოდ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებისა და მინდობილობის წერილობით გაფორმებამდე, მოსარჩელე იცავდა მოპასუხე კომპანიის ინტერესებს, კერძოდ:

11.1. ფაქტების კონსტატაციის შესახებ აღსრულებიან ეროვნული ბიუროს 2014 წლის 25 ნოემბრის ოქმით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ №... სააღსრულებო საქმეში მოპასუხე კომპანიის დირექტორის, ნ. ბ-ს განცხადება შექმნილია მოსარჩელის პორტატიულ კომპიუტერში; შექმნის თარიღია: 12.12.2013 3:00AM, ხოლო აღნიშნული ფილის სახელწოდებაა: „განცხადება სააღსრულებო-ში ა-ს ნ-ს მიერ“;

11.2. ს. ს-ის განმარტებითი ბარათით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის ნოემბრის თვის პირველივე რიცხვებიდან, მოპასუხე კომპანიის (მისი დამფუძნებლისა და დირექტორის ნ. ბ-ს) მოთხოვნით, ს. ს-ი მოსარჩელესთან ერთად აწარმოებდა მის იურიდიულ-საკონსულტაციო მომსახურებას. თავდაპირველ ეტაპზე ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოპასუხეს უწევდნენ დახმარებას იჯარის ფართის მოძიებასა და სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფით ხელშეკრულებების შედგენაში (მაგ., მოიჯარე სააქციო საზოგადოება „ს.“). ამასთანავე, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მოპასუხე კომპანიის დებიტორების საქმის შესწავლა. მხოლოდ მათი ძალებით გახდა ცნობილი (მ.შ ნ. ბ-ს) დებიტორ შპს „ა“-ის მიმართ „N“-ის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული და იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ დაუსრულებელი (მიმდინარე) იძულებითი აღსრულების საქმისწარმოების შესახებ. სწორედ მათი მომსახურების ფარგლებში მოპასუხე კომპა-

ნიას გაენია რეკომენდაცია, დაუყოვნებლივ შეეტანა სათანადო განცხადება (და სხვა დოკუმენტური მასალა) აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ვინაიდან მხოლოდ იმის იმედით, რომ იძულებითი აღსრულება დაწყებული იყო არაუზრუნველყოფილი კრედიტორის „N“-ის მოთხოვნის საფუძველზე და არსებობდა „საქმეთა გაერთიანებით“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82^ე მუხლის საფუძველზე „თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად“ დაკმაყოფილების შესაძლებლობა, შესაბამისად, სწორედ დროულ მოქმედებებზე იყო დამოკიდებული ორი არაუზრუნველყოფილი კრედიტორის საქმეთა გაერთიანებით, მოთხოვნათა პირდაპირპროპორციულად კრედიტორთა დაკმაყოფილების შანსი. ამ შანსის დაკარგვის შემთხვევაში მოვალეს საკუთრებაში აღარ რჩებოდა არანაირი ქონება და, შესაბამისად, მოპასუხის მოთხოვნის უფლება რჩებოდა არარეალიზებული. მაღალი იურიდიული სტანდარტებით განეული მომსახურების მიღებას ვერ შეძლებდნენ იურიდიული განათლების არმქონე (ბ. შ., ამასთანავე, ქართულ ენაზე ვერ საუბრობენ) პირები, რომ არა ს. ს-ისა და მოსარჩელის სრულფასოვანი მომსახურება, რომლის სანაცვლოდაც (ზეპირი შეთანხმებითვე) უნდა მიეღოთ აუქციონზე რეალიზებული ქონების საფასურიდან კრედიტორისათვის – მოპასუხე კომპანიისთვის გადახდილი თანხის 30%. აღნიშნული პირობა აისახა მოგვიანებით შედგენილ წერილობით დოკუმენტში და განეული მომსახურების სანაცვლოდ მოპასუხე კომპანია იხდიდა შესაბამის საფასურს, ხოლო დებიტორ შპს „ა“-დან თანხის ამოღებასთან დაკავშირებით განეული მომსახურება რატომღაც არ მიიჩნია მომსახურებად, რაც, ს. ს-ის მოსაზრებით, ზეპირი ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის დარღვევაა;

11.3. შპს „ა“-ის დირექტორის ი. დ-ს განმარტებითი ბარათის მიხედვით, კომპანია „N“-ის სასარგებლოდ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2013 წლის ბოლოს დაიწყო მისი კომპანიის კუთვნილი ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული წარმოება. ამავ პერიოდში მოპასუხე კომპანია, როგორც შპს „ა“-ის კრედიტორი, ჩაერთო სააღსრულებო საქმისწარმოებაში. ამ საკითხების რეგულირებაში მათ სამართლებრივ დახმარებას უწევდა მოსარჩელე. შპს „ა“-ის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილი გახდა 2013 წლის ნოემბრის თვეში, ვინაიდან მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლები მასთან ამ პერიოდში აწარმოებდნენ ინტენსიურ მოლაპარაკებას დებიტორ/მოვალე შპს „ა“-ის კუთვნილი მოძრავი ქონების – ავტომობილების მოძიებაში. სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა მისი კომპანიისათვის ხელ-

საყრელი შედეგი, კერძოდ, „N“-ის ინიციატივით დაწყებული აუქციონის შედეგად დაკმაყოფილდა მისი კომპანიის არა ერთი, არამედ – ორი არაუზრუნველყოფილი კრედიტორი: მოპასუხე კომპანია და „N“. შესაბამისად, სწორედ მოსარჩელის მონაწილეობამ განაპირობა პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების შედარებით დაცვა-უზრუნველყოფა.

12. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით და ზემოაღნიშნული მტკიცებულებების, ასევე მხარეთა ელექტრონული მიმოწერების ურთიერთშეჯერებისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულების გაფორმებამდე და, ასევე, მინდობილობის წერილობით გაფორმებამდე, მოსარჩელე ახორციელებდა მოპასუხე კომპანიის ინტერესების დაცვას.

13. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 68-ე, 69-ე, 709-ე და 710-ე მუხლებზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორმა, ნ. ბ-მა, იმის გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ორი ავტომობილის (მიცუბიში პაჯერო იო ... და ფორდ ტრანზიტ 100 ...) აღწერის შესახებ აქტი შედგა მიმდინარე წლის 11 თებერვალს, 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილის „P.S“ ნაწილში გამოთქვა კეთილი ნება და მზადყოფნა, მომსახურების საფასურის სახით მოსარჩელისათვის გადაერიცხა ორივე ავტომობილის რეალიზაციის შედეგად სააღსრულებო ბიუროს მიერ გადმორიცხული თანხის 5 067 ლარის 30%, 1520.28 ლარის ოდენობით, რაზედაც მხარეებს შორის შედგებოდა აქტი 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიების არარსებობის შესახებ. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ აღნიშნული წერილით მოპასუხე კომპანიამ აღიარა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა.

14. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლებით და დაადგინა, რომ შპს „ა“-დან ამოღებულმა თანხამ შეადგინა 32 397,76 ლარი, რაც ჩაირიცხა მოპასუხე კომპანიის ანგარიშზე; ამასთან, მოპასუხე კომპანიას მოსარჩელისა და მეორე მოსარჩელის წინაშე ვალდებულება არა აქვს შესრულებული, კერძოდ, არ გადაუხდია შეთანხმებული ჰონორარი – დებიტორული დავალიანებიდან თითოეული ამოღებული თანხის 30%-ის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე კომპანიას მოსარჩელისა და მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა შპს „ა“-დან ამოღებული თანხის – 32397,76

ლარის 30%-ის – 9719 ლარის გადახდა.

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

16. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

16.1. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ორი მოსარჩელის სასარგებლოდ, თუმცა არ უმსჯელია, თუ რა მატერიალური ან პროცესუალურ-სამართლებრივი კავშირი არსებობდა მოსარჩელე მ. ჭ-ის მოთხოვნასა და მეორე მოსარჩელის მოთხოვნას შორის, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, ზემოაღნიშნულ ორ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას ჰქონდა თუ არა ერთი საერთო (სოლიდარული) საფუძველი;

16.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მეორე მოსარჩელემ იურიდიული მომსახურება გაუწია მოპასუხეს. თავდაპირველად სარჩელი აღძრა მოსარჩელემ, როგორც ფიზიკურმა პირმა, ხოლო შემდეგ დაზუსტებული სარჩელით საქმეში ჩაერთო მეორე მოსარჩელე, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ მსჯელობა წარმართა მოსარჩელის, როგორც ფიზიკური პირის მიერ განეული იურიდიული მომსახურების დავასტურების კონტექსტში და საუბარი არ ყოფილა მეორე მოსარჩელეზე, როგორც ცალკე სამართლის სუბიექტზე. ამასთან, მეორე მოსარჩელეს მიცემული ჰქონდა კონკრეტული დავალება, რომელიც კავშირში არ იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ სააღსრულებო დავასთან მოპასუხე კომპანიასა და შპს „ა“-ს შორის;

16.3. 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილის დასასრულს მოპასუხე კომპანიის დირექტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება წარმოადგენდა ერთგვარ პოზიციას და არავითარ შემთხვევაში – ვალის არსებობის აღიარებას. მოპასუხე კომპანიის წერილი მთლიანად გაჯერებულია ვალდებულების არსებობის ცალსახა უარყოფით.

16.4. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ იურიდიული მომსახურება გაუწია მოპასუხეს. აღნიშნულ დასკვნამდე სააპელაციო სასამართლო მივიდა მოსარჩელის კომპიუტერში არსებული ფაილისა და ს. ს-ისა და შპს „ა“-ის დირექტორის, ი. დ-ს, განმარტებითი ბარათების ანალიზის შედეგად. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის კომპიუტერში არსებული ფაილის შექმნის თარიღად მითითებულია 2013 წლის 12 დეკემბერი, მაშინ როდესაც მოპასუხე კომპანიამ შპს „ა“-ის მიმართ დავალიანების 203812 აშშ დოლარისა და

100 ლარის თაობაზე იძულებითი აღსრულება დაიწყო უფრო ადრე, 2013 წლის 4 დეკემბერს, ასევე, ამ წარმოების ფარგლებში შპს „ა“-ის კუთვნილ ავტომანქანებს ყადაღა დაედო 2013 წლის 6 დეკემბერს. ამასთან, შპს „ა“-ის მიმართ მოპასუხე კომპანიის მოთხოვნა 203812 აშშ დოლარის და 100 ლარის თაობაზე წარმოიშვა 2013 წლის 29 ნოემბრის დავალიანების გადახდევინების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს №... ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ეს ფაილი აღმოჩნდა მოსარჩელის კომპიუტერში, ვერ გამოდგება გარიგების არსებობის დამამტკიცებელ გარემოებად;

16.5. რაც შეეხება ს. ს-ისა და შპს „ა“-ის დირექტორის, ი. დ-ს, განმარტებით ბარათებს, კასატორმა აღნიშნა, რომ ორივე დასახელებული პირი არის სუბიექტური და მათი განმარტებები გაკეთებულია მოსარჩელის სასარგებლოდ შეგნებულად იმ მიზნით, რომ მოპასუხე კომპანიას დაკისრებოდა თანხა. კერძოდ, კასატორმა მიუთითა, რომ ს. ს-ი არის მოსარჩელის კოლეგა და, შესაბამისად, დაინტერესებული იყო საქმის შედეგით. რაც შეეხება ი. დ-ს, მოსარჩელე იყო შპს „ა“-ს ჰოლდინგური სანარმოს შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის იურისტი, რომელსაც, თავის მხრივ, ხელმძღვანელობდა ი. დ-ს მეუღლე. ამასთან, კასატორის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ მოსარჩელისთვის სასურველი პირობების განმარტებებს, რომლებიც სასამართლოშიც კი არ ყოფილან დაკითხული მოწმეებად. შესაბამისად, აღნიშნული განმარტებებით ვერ დადასტურდება გარიგების არსებობის ფაქტი.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საა-

პელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

21. საკასაციო პალატა, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ კასატორმა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

22. საკასაციო სასამართლოს შემონმების საგანია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელეს, როგორც ფიზიკური პირსა და, ასევე, როგორც შპს „პ-ს“ დირექტორსა, და მოპასუხეს შორის იურიდიული მომსახურების განვების თაობაზე ზეპირი ხელშეკრულების არსებობის ფაქტის დადგენის კანონიერება.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ანუ ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს (იხ. სუსგ №ას-1117-1074-2016, 2017 წლის 6 მარტი).

24. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მის უფლებამოსილებაში არ შედის ფაქტების დადგენა, არამედ იგი ამოწმებს მხოლოდ იმას, თუ რამდენად სწორად განახორციელა ეს პროცესი სააპელაციო სასამართლომ.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების წესი. კერძოდ, მოცემული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკი-

ცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს.

27. სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის როლი მტკიცების პროცესში შემოიფარგლება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრით, მხარეთა შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა-განკუთვანდობის შემოწმებითა და შეკრებილ მტკიცებულებათა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შესწავლანალიზით, სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა და იგი საფუძვლად დაედება მიღებულ გადაწყვეტილებას (სუსგ №ას-839-805-2016, 2017 წლის 6 მარტი).

28. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 26 იანვარს იურიდიული მომსახურების განწვეის თაობაზე ხელშეკრულების წერილობით გაფორმებამდე მოსარჩელე ახორციელებდა მოპასუხე კომპანიის ინტერესების დაცვას შპს „ა“-დან თანხების ამოღების პროცედურებში. სააპელაციო პალატამ ზეპირი ხელშეკრულების არსებობის ფაქტი დაადგინა იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეყრდნო:

28.1. ფაქტების კონსტატაციის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 25 ნოემბრის ოქმს, რომლიდანაც დასტურდება, რომ №... სააღსრულებო საქმეში მოპასუხე კომპანიის დირექტორის, ნ. ბ-ს განცხადება შექმნილია მოსარჩელის პორტატულ კომპიუტერში; შექმნის თარიღია: 12.12.2013 3:00AM, ხოლო აღნიშნული ფაილის სახელწოდებაა: „განცხადება სააღსრულებოში ა-ს ნ-ს მიერ“.

28.2. ს. ს-ის განმარტებით ბარათს (იხ. წინამდებარე განჩინების 11.2. პუნქტი);

28.3. შპს „ა“-ის დირექტორის ი. დ-ს განმარტებით ბარათს (იხ. წინამდებარე განჩინების 11.3. პუნქტი).

29. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების – ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმისა და შპს „ა“-ის დირექტორის ი. დ-ს განმარტებითი ბარათის, შესწავლის შედეგად უნდა დგინდებოდეს მხარეთა შორის კონკრეტული პირობებით სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, სხვაგვარად რომ ითქვას, აღნიშნული მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს არა მარტო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების თაობაზე, არამედ ისიც უნდა ირკვეოდეს, თუ რა არსებით პირობებზე შეთანხმდნენ მხარეები. მოცემული მტკიცებულებები კი არ არის საკმარისი მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების პირობების დასადაგენად, აღნიშნული მტკიცებულებები არ იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ ყოველი შესრულებული დებიტორული ვალდებულებიდან 30%-ის ანაზღაურების შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შედეგად მიიღწევა მოსარჩელისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგი – მოპასუხე კომპანიისათვის თანხის დაკისრება.

30. რაც შეეხება ს. ს-ის განმარტებით ბარათს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ – მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას (სუსგ №ას-151-147-2016, 2016 წლის 19 აპრილი). მოცემულ შემთხვევაში ს. ს-ის განმარტებითი ბარათი, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარესთან მისი დამოკიდებულება) გათვალისწინებით და სწორედ ამ გზით მიეღო გადაწყვეტილება სადავო ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა ს. ს-ის განმარტებას ვერ მიიჩნევს დამაჯერებლად და მიუკერძოებლად, გამომდინარე იქედან, რომ საქმის მასალებში არსებული ელექტრონული მიმოწერიდან დასტურდება, რომ მოსარჩელე მას მოიხსენიებს როგორც თავის „კომპანიონს“, რაც მიუთითებს მათ შორის ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაზე.

31. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მოპასუხე კომპანიის დირექტორის – ნ. ბ-ს 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილიც და არასწორად დაასკვნა, რომ აღნიშნული წერილით მოპასუხემ აღი-

არა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ წერილობითი მტკიცებულება უნდა იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი სრულყოფილად, მთლიანობაში, მისი ყველა ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიის დირექტორის წერილი მთლიანად აგებულია იმ დასაბუთებაზე, რომ მოვალე შპს „ა“-დან დავალიანების თანხის დაფარვა განხორციელდა სწორედ სააღსრულებო წარმოების შედეგად, რომელშიც შპს „პ-ს“ მონაწილეობა არ იკვეთებოდა, რის გამოც მოპასუხე კომპანიის დირექტორი მიიჩნევდა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული იყო ჯეროვნად. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული წერილით ვერ დასტურდება საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოება, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული პირობებით არსებობდა 2014 წლის 26 იანვარს ხელშეკრულების წერილობით დადებამდე.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია მტკიცებების საგანში შემავალი ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ მტკიცებულებებსა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ ფაქტებს შორის არ იკვეთება ურთიერთკავშირი.

33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშოვა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

35. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზე-

პირად ან წერილობითი ფორმით. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით.

36. ზემოაღნიშნულიდან ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხისთვის თანხის დაკისრების, როგორც იურიდიული შედეგის დადგომა, დამოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე: დაიდო თუ არა მხარეთა შორის ზეპირი ხელშეკრულება და რა პირობებით?

37. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

38. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა კონკრეტული პირობებით მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურება, რაც მან ვერ შეძლო სათანადო და სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით, კერძოდ, მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ 2014 წლის 26 იანვრის ხელშეკრულების გაფორმებამდე იგი ახორციელებდა მოპასუხე კომპანიის იურიდიულ მომსახურებას შპს „ა“-დან თანხების ამოღების პროცედურებში და, რომ აღნიშნული მომსახურების ღირებულება (ჰონორარი) განსაზღვრული იყო დებიტორული დავალიანებიდან თითოეული ამოღებული თანხის 30%-ით.

39. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

40. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებების არასათა-

ნადო შეფასების შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადანყვეტამდე, რაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის გადანყვეტილება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

44. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელესა და მეორე მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 485.95 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ა-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ჭ-ისა და შპს „პ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მ. ჭ-სა (პ/ნ: ...) და შპს „პ-ს“ (ს/კ: ...) შპს „ა-ს“ (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს შპს „ა-ს“ მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 485.95 ლარის გადახდა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

ბანჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-842-786-2017

20 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმდჯრომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი თავდაპირველ სარჩელში: თანხის დაკისრება
დავის საგანი შეგვებულ სარჩელში: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 17 მარტს მ. რ-ს (შემდეგში – იპოთეკარი, ქონების შემძენი, მოსარჩელე, მარწმუნებელი, საკუთრების მიმნდობი, კლიენტი, შეგვებულ სარჩელით მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) და ს. გ-ის (შემდეგში – ქონების მესაკუთრე, მსესხებელი) შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე იპოთეკარმა ქონების მესაკუთრეს ორი თვის ვადით 80 000 აშშ დოლარი ასესხა. სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტივირთა მესაკუთრის კუთვნილი ქონება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 623-ე-625-ე, 286-ე, 289-ე მუხლები).

2. 2012 წლის 13 იანვარს იპოთეკარსა და მსესხებელს შორის დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის საფუძველზე გაუქმდა 2011 წლის 17 მარტის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. იმავე დღეს

მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკარმა მსესხებლისგან შეიძინა 150 000 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონება. ქონების ღირებულებიდან 80 000 აშშ დოლარი მხარეებს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გაიქვითა, ხოლო დარჩენილი 70 000 აშშ დოლარი ქონების შემძენმა მესაკუთრეს გადასცა (იხ. ნასყიდობის ხელშეკრულება; სსკ-ის 477-ე მუხლი).

2.1. აღნიშნულ სამართალური თეორიაში ქონების შემძენის ინტერესებს წარმოადგენდა მ. კ-ი (შემდეგში – პირველი მოპასუხე, მინდობილი მესაკუთრე, რწმუნებული), რომელსაც ქონების მესაკუთრემ (იხ. პირველი პუნქტი), 2012 წლის 18 აპრილს, ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ბეს სახით 17 000 აშშ დოლარი გადაუხადა. ბეს ხელშეკრულება საჯარო რეესტრში იმავე დღეს დარეგისტრირდა (იხ.ტ. რწმუნებულება; ბეს გადახდის ხელშეკრულება: სსკ-ის 724-ე-725-ე, 421-ე-422-ე, 68-ე, 183-ე, 311-ე მუხლები).

2.2. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ქონების მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, სამართალდამცავმა ორგანომ ქონების შემძენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. იმავდროულად, ქონების მესაკუთრემ ქონების შემძენის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელიც აღძრა და წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში ასახული ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა იმ საფუძველით, რომ გარიგება მოტყუებით დაიდო.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქონების მესაკუთრეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო 2014 წლის 4 თებერვლის დადგენილებით, ქონების შემძენის (განსახილველი დავის მოსარჩელის) წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა უსაფუძვლობის გამო (იხ. სასამართლოს განჩინება; დადგენილება).

3. წინამდებარე განჩინების 2.2. და 2.3. ქვეპუნქტებში მოხსენიებულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი მოპასუხის რეკომენდაციით, ქონების შემძენის ინტერესებს გ. გ-ე (შემდეგში – მეორე მოპასუხე, ადვოკატი, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) იცავდა.

3.1. იურიდიული მომსახურების განწვეის თაობაზე 2013 წლის 12 მარტს დადებული ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ადვოკატისთვის გადასახდელი მომსახურების საფასური 10 000 ლარს შეადგენდა (იხ. ხელშეკრულება; სსკ-ის 709-ე-710-ე მუხლები).

4. სარჩელის საფუძველი:

4.1. ქონების შემძენმა 2014 წლის 10 დეკემბერს სარჩელი აღ-

ძრა პირველი და მეორე მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა: ამ უკანასკნელთათვის სოლიდარულად 79 000 აშშ დოლარის, ხოლო პირველი მოპასუხისთვის – 17 000 აშშ დოლარის დაკისრება;

4.1.1. მოსარჩელემ, ასევე მოითხოვა მასსა და მეორე მოპასუხეს (ადვოკატს) შორის 2013 წლის 12 მარტის ხელშეკრულებაში (იხ. 3.1. ქვეპუნქტი) ცვლილების შეტანა, შემდეგი სახით: „ა) ხელშეკრულების მეორე პუნქტში (ხელშეკრულების საგანი) დაემატოს: ადვოკატი უნეეს იურიდიულ მომსახურებას მოსარჩელეს მასზედ, რომ მესაკუთრემ გამოათავისუფლოს უძრავი ნივთი, მდებარე დაბა ურეკში, საკადასტრო კოდით 2...; მარწმუნებელს უნდა ჩაბარდეს მისი კუთვნილი უძრავი ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში. 2) ხელშეკრულების მეოთხე პუნქტს (ანაზღაურების წესი და პირობები) დაემატოს: თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს უძრავი ნივთის (მდებარე დაბა ურეკში, საკადასტრო კოდით 2...) მარწმუნებლისთვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის შემდეგ“.

4.2. მოსარჩელემ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა:

4.2.1. მას შემდეგ, რაც ქონების მესაკუთრის განცხადების საფუძველზე სამართალდამცავმა ორგანომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, პირველი მოპასუხის (მინდობილი მესაკუთრის; იხ. ამ განჩინების 2.1. ქვეპუნქტი) მეშვეობით მისთვის ცნობილი გახდა, რომ მეორე მოპასუხეს (ადვოკატს) საქმის დადებითად გადასაწყვეტად ესაჭიროებოდა გარკვეული რაოდენობის თანხა. მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს (მინდობილ მესაკუთრეს), სხვადასხვა დროს, მთლიანობაში, 79 000 (სამოცდაცხრამეტი ათასი) აშშ დოლარი გადასცა. მოსარჩელის რწმენით, ეს თანხა განკუთვნილი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის სასამართლოში გასანევი ხარჯებისათვის, იურიდიული მომსახურებისთვის, მტკიცებულებების მოპოვებისა და ა.შ;

4.2.2. 2014 წლის 4 თებერვლის დადგენილებით მოსარჩელის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, თუმცა, მოსარჩელის განმარტებით, მას მიაჩნია, რომ მის მიერ გადახდილი 79 000 აშშ დოლარი არ დახარჯულა საქმესთან დაკავშირებული საპროცესო და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ პირველმა და მეორე მოპასუხებმა მოსარჩელის კუთვნილი 79 000 დოლარი პირადი მიზნებისათვის ერთად განკარგეს;

4.3. გარდა ამისა, მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2012 წლის 12 აპრილს დადებული ბეს ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1. ქვეპუნქტი) პირველმა მოპასუხემ ქონების მესაკუთრისგან მიიღო მოსარჩელისთვის (საკუთრების მიმნდობი-

სათვის) განკუთვნილი 17 000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელისათვის მინდობილ მესაკუთრეს არ გადაუცია. შესაბამისად, მოსარჩელემ 17 000 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისთვის დაკისრება მოითხოვა (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

5. პირველი მოპასუხის (მინდობილი მესაკუთრის) შესაგებელი

5.1. პირველმა მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს მისთვის 79 000 დოლარი არ გადაუცია. რაც შეეხებოდა ბეს ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ 17 000 აშშ დოლარს, აღნიშნული თანხა მან მოწმეთა თანდასწრებით 2012 წლის 18 აპრილს გადასცა მოსარჩელეს. პირველი მოპასუხის განმარტებით, ეს გარემოება თავადვე დაადასტურა მოსარჩელემ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხვის დროს. პირველმა მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ვინაიდან მოსარჩელეს ესაჭიროებოდა ადვოკატის მომსახურება ქონების მესაკუთრესთან მიმდინარე დავაში, მან დააკავშირა მეორე მოპასუხესთან (ადვოკატთან), თუმცა, მისთვის უცნობია მხარეთა შეთანხმება იურიდიული მომსახურებისათვის ჰონორარის ოდენობაზე და ისიც, გადახდილია თუ არა მომსახურების ხარჯები (იხ. პირველი მოპასუხის შესაგებელი).

6. მეორე მოპასუხის (ადვოკატის) შესაგებელი კლიენტის სარჩელზე და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ წარდგენილი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

6.1. მეორე მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე არ ცნო;

6.2. ადვოკატმა 2015 წლის 28 მაისს შეგებებული სარჩელი აღძრა ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ და, წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში ასახულ გარემოებებზე მითითებით, თავდაპირველი მოსარჩელისთვის შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ 10 000 (ათი ათასი) ლარის დაკისრება მოითხოვა (იხ. შეგებებული სარჩელი).

7. შეგებებული სარჩელის მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) შესაგებელი

7.1. შეგებებული სარჩელი არ ცნო მოპასუხემ და განმარტა, რომ იგი პირადად არასოდეს შეხვედრია ადვოკატს (შეგებებულ მოსარჩელეს), ვერ იხსენებს, რა ვითარებაში მოაწერა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას ხელი და გამოთქვა ეჭვი ხელმოწერის ნამდვილობის შესახებ. მან, ასევე, სადავოდ მიიჩნია ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულება, რადგანაც ქონების მესაკუთრესთან დღემდე მიმდინარეობს დავა რაიონულ სასამართლოში. გარდა ამისა, შეგებებული

სარჩელის მოპასუხემ მიუთითა, რომ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გადახდის ვალდებულება ბათილი იყო, რადგან ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული იურიდიული მომსახურების საგანი და ადვოკატის მიერ შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულება (იხ. შეგებებული სარჩელით მოპასუხის შესაგებელი).

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით:

8.1.1. სასარჩელო მოთხოვნა პირველი და მეორე მოპასუხეებისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად 79 000 აშშ დოლარის, ხოლო პირველი მოპასუხისთვის – 17 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა;

8.1.2. ადვოკატის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მის კლიენტს 10 000 (ათი ათასი) ლარის გადახდა დაეკისრა.

8.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, 976-ე მუხლები, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლები.

8.3. წინამდებარე განჩინების 4.1.1. ქვეპუნქტში ასახულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

8.3.1. სსკ-ის 976-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: „ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოორიცხულია მოთხოვნის წარდგენა“. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კრედიტორად გამოდის პირი, რომლის ხარჯზეც სხვამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძინა ან დაზოგა ქონება. მოვალე კი ის პირია, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა ქონება და შესაბამისად, უსაფუძვლოდ გამდიდრდა;

8.3.2. სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ფულადი ვალდებულების შესრულებას, სადავოობისას, ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად წარდგენილი უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ მიუთით-

თებენ თანხის გადახდის ფაქტზე. მაგალითად, როგორცაა თანხის მიმღების ხელწერილი, თანხის გადარიცხვის ამსახველი დოკუმენტი და სხვა. ფულადი ვალდებულების სპეციფიკისა და სამოქალაქო ბრუნვის თავისებურების გათვალისწინებით, ყოველი მხარე, ურთიერთობის არსიდან გამომდინარე, თავადვე აგებს პასუხს იმ სამოქალაქო რისკის თაობაზე, რომელიც გარკვეული მოქმედების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების მოუპოვებლობას შეიძლება მოჰყვეს შედეგად. ამ მიზნით მხარეს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, მიუთითოს ნებისმიერ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რაც, მისი აზრით, ადასტურებს მისი მოთხოვნის კანონიერებას. საქმის განხილვასა და მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებაში კი სასამართლოს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, განსაზღვროს მტკიცებულებათა შესაბამისობა-განკუთვნადობის საკითხი, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტით გამოარკვიოს, რამდენად მართებულად და დასაბუთებულად აყენებს მხარე ამა თუ იმ მოთხოვნას. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა ახსნა-განმარტება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულებებია და მათ შორის წინააღმდეგობის არსებობისას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს. მოწმეთა ჩვენებების, სალომბარდე ხელშეკრულებებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სასამართლომ არ მიიჩნია დადასტურებულად მოსარჩელის მიერ პირველი და მეორე მოპასუხეებისთვის 79 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი;

8.3.3. სასამართლომ დადგენილად არ ჩათვალა ის გარემოება, რომ 2012 წლის 18 აპრილის ბეს ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული 17 000 აშშ დოლარი მოსარჩელეს პირველი მოპასუხისგან არ მიუღია. სასამართლოს განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა პირველი მოპასუხის (მინდობილი მესაკუთრის) მიერ მოსარჩელის ხარჯზე გარკვეული ქონებრივი სარგებლის მიღება და შესაბამისად, მისი უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი, რაც ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

8.3.4. კლიენტის მიერ ადვოკატის წინააღმდეგ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე – 2013 წლის 12 მარტის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე – სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად: „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომ-

ლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. კანონმდებელი განამტკიცებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და შესაძლებლობას ანიჭებს მხარეებს, თავისი შეხედულებით განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი და მისი შესრულების მექანიზმი. ხელშეკრულება მიიჩნევა მხარეთა ნების დეკლარაციად და ასახავს ხელშემკვრელი მხარეების მიერ წინასწარ შეთანხმებულ პირობებს. მხარეთა შეთანხმების შედეგად მიღებულ დოკუმენტში პირობების/დათქმების დაზუსტება შესაძლებელია ამავე მხარეების შეთანხმების გზით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა 2013 წლის 12 მარტის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოკლებული იყო ლეგიტიმურ საფუძველს.

8.3.5. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებაზე, რომელიც მოსარჩელემ (კლიენტმა) აუდიო – ჩანაწერის სახით წარადგინა და განმარტა, რომ ფარული ჩანაწერის გზით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადანყვეტილებას დაუდოს საფუძველად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში დაუშვებელია, რომ ფარულ ჩანაწერს გადანყვეტილება დაეფუძნოს მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩანაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ პირველი მოპასუხე მართალია, არ უარყოფდა წარდგენილ ფარულ აუდიო ჩანაწერში თავის მონაწილეობას, თუმცა, ჩანაწერი არ შეიცავდა მხარეთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ფარული აუდიო ჩანაწერი ვერ იქნებოდა გამოყენებული, როგორც მხარეთა შორის სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

8.4. ადვოკატის შეგვებულ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად საქალაქო სასამართლომ მიუთითა:

8.4.1. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება“, ხოლო 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება გარდა იმ შემ-

თხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“.

8.4.2. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ 2013 წლის 12 მარტს, მხარეთა შორის დაიდო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: ადვოკატს (შეგებებულ მოსარჩელეს) უნდა გაენია იურიდიული მომსახურება მოსარჩელისთვის (კლიენტისათვის) სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე. იურიდიული მომსახურების საფასურის სახით კლიენტს უნდა გადაეხადა 10 000 ლარი (იხ. ხელშეკრულების 4.1. პუნქტი). სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში, თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. სწორედ, აღნიშნულ პრინციპზე მიუთითებს სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ძირითად კრიტერიუმებს, კერძოდ, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (ადვოკატის კლიენტს) შესასრულებელი აქვს 2013 წლის 12 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ადვოკატისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდაზე, რაც შეგებებული სარჩელის დასაბუთებულობაზე მიუთითებდა, რის გამოც იგი დააკმაყოფილა სასამართლომ.

9. მოსარჩელის (ადვოკატის კლიენტის) სააპელაციო საჩივარი

9.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ (შეგებებული სარჩელის მოპასუხემ).

9.2. აპელანტმა მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება და მის წინააღმდეგ ადვოკატის მიერ აღძრული შეგებებული სარჩელის უარყოფა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

9.2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხებისთვის 79 000 დოლარის გადაცემის ფაქტი არ დასტურდება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა ახსნა-განმარტება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულებებია და მათ შორის წინააღმდეგობის არსებობისას, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს. აპელანტის აზრით, მან სარჩელის დასასაბუთებლად სასამართლოს წარუდგინა ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, როგორიცაა აუდიოჩანაწერი, თუმცა, სასამართლომ აღნიშნული დაუშვებელ მტკიცებულებდ ცნო და სამართლებრივად არ შეაფასა. სააპელაციო სასამართლომ

ყურადღება უნდა მიაქციოს პირველი მოპასუხის შესაგებელს, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ფარული მიყურადება-მოსმენა მოსამართლის ნებართვას საჭიროებს. ამდენად, პირველი მოპასუხე კი არ უარყოფს იმ ფარული ჩანაწერის შინაარსს, არამედ მიუთითებს მოსაზრებას, რომ ჩანაწერს ესაჭიროება მოსამართლის ბრძანება. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა, თუ რატომ არ მიიჩნია პირველი მოპასუხის შესაგებელი მოსარჩელისთვის სასარგებლო მტკიცებულებად;

9.2.2. სასამართლომ არასწორად გამოიყენა მოწმის სახით დაკითხულ პირთა განმარტებები და არ მიაქცია ყურადღება, რომ მოწმეები პირველი მოპასუხის ახლო ნათესავები არიან, ამიტომ, მათი ჩვენებები არასარწმუნოა. საქმეზე არ არის წარდგენილი არც ერთი წერილობითი მტკიცებულება, მაშინ, როდესაც სადავო გარემოებების დადასტურება მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებითაა შესაძლებელი;

9.2.3. სასამართლომ არ გამოიკვლია კლიენტის მიერ ადვოკატთან (მეორე მოპასუხესთან) გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შინაარსი, რომლის სადავო პუნქტები ბუნდოვანი იყო, არ იკვეთებოდა, კონკრეტულად რა სახის მომსახურება უნდა გაენია ადვოკატს; სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ხელშეკრულებაში კალმით შესრულებული ჩანაწერების საეჭვოობას, მაშინ როდესაც თავდაპირველი მოსარჩელე განმარტავდა, რომ არ ახსოვდა, როგორ და როდის მოაწერა ხელი ხელშეკრულებას (იხ. სააპელაციო საჩივარი).

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები:

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ქონების შემძენის სააპელაციო საჩივარი პირველი და მეორე მოპასუხეებისთვის სოლიდარულად 79 000 აშშ დოლარის დაკისრებისა და, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ცვილებების შეტანის ნაწილში, ბაჟის გადაუხდელობის მოტივით, დარჩა განუხილველი; განჩინება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

10.2. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო პრეტენზიები განიხილა მხოლოდ 17 000 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის უარყოფისა და ადვოკატის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

10.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 მაისის განჩინებით, თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად

დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება. სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აღწერილია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში და მათი სამართლებრივი შეფასება (იხ. 8.3.-8.4. ქვეპუნქტები).

10.4 სააპელაციო სასამართლომ განმარტა:

10.4.1. დადგენილია, რომ 2012 წლის 18 აპრილის ბეს ხელშეკრულების საფუძველზე პირველ მოპასუხეს, როგორც ქონების შემძენის წარმომადგენელს, ქონების მესაკუთრემ გადასცა 17 000 აშშ დოლარი (იხ. ამ განჩინების 2.1. ქვეპუნქტი).

10.4.2. სსკ-ის 724-ე მუხლით განსაზღვრულია საკუთრების მიმნდობის ცნება. კერძოდ, საკუთრების მიმნდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მიმნდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. საკუთრების მიმნდობი საკუთარი ფასეულობის განკარგვისათვის გამოხატავს რა კეთილი ნდობის რისკს, სამართლებრივ ურთიერთობაში შედის პირთან, რომელიც ხდება მიმნდობილი მესაკუთრე. საკუთრების მიმნდობა წარმოადგენს არაპირდაპირ წარმომადგენლობას, რადგან მიმნდობილი მესაკუთრე მართავს მიმნდობილ საკუთრებას საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით, მაგრამ თავისი სახელით. თუ მიმნდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმნდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულსხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი (სსკ-ის 725-ე მუხლი). სსკ-ის 729-ე მუხლი უშვებს საკუთრების მიმნდობის მიმართ დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესების გამოყენებას. სსკ-ის 715-ე მუხლის თანახმად, „1. რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მიმნდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მიმნდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. 2. თუ რწმუნებული თავისთვის იყენებს ფულს, რომელიც მას უნდა დაუბრუნებინა მარწმუნებლისათვის ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ, რწმუნებული ვალდებულია დააბრუნოს ფული პროცენტთან ერთად“. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე დავობდა იმაზე, რომ ბეს სახით მიღებული თანხა წარმომადგენელს მისთვის არ გადაუცია, რაც ზემოხსენებული მუხლის საფუძველზე მას ანიჭებდა უფლებას, მოეთხოვა ბეს თანხა.

10.4.3. განსახილველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთის განაწილების

თანმიმდევრობაზე იმსჯელა და განმარტა, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ბუნებიდან და მინდობილი მესაკუთრის ვალდებულებებიდან გამომდინარე, მინდობილი საკუთრების ნებისმიერი განკარგვით მიღებული შემოსავლის მინდობილი მესაკუთრისათვის დაბრუნების მტკიცების ტვირთი ამ უკანასკნელის მხარეს იხრება. ამასთან, საპროცესო სამართალში დადგენილი პრინციპის თანახმად, მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა, რომელიც მოპასუხის მიერ უნდა გაქარწყლდეს იმავე ძალის მტკიცებულებით. სასამართლოს დასკვნით, მტკიცებულებათა შეფასების სწორედ ამგვარი პროცესუალური და მატერიალური პრინციპების შესაბამისად უნდა დადგენილიყო ეს სადავო ფაქტი.

10.4.4. ამ თვალსაზრისით საპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2013 წლის 18 მაისის საგამოძიებო დაკითხვის ოქმზე, სადაც მოსარჩელე მიუთითებდა, რომ არ იყო წინააღმდეგი, რომ ქონების მესაკუთრეს მისთვის გადაეხადა 150 000 აშშ დოლარს გამოკლებული 17 000 აშშ დოლარი; 2014 წლის 7 ნოემბრის მონმის დაკითხვის ოქმში კი მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილი გახდა ბეს ხელშეკრულების შესახებ, თუმცა, ხელშეკრულების დადების დრო და შინაარსი უცნობი იყო. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხული ქონების მესაკუთრის განმარტებას, რომ ბეს ხელშეკრულება თანხის გადაცემის დღესვე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, მოგვიანებით კი მოსარჩელემ მას დაუდასტურა 17 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი და განუმარტა, რომ მიღებულ თანხას ჩაუთვლიდა მომავალში გადასახდელ თანხაში. მონმებმა მ. კ-ემ და დ. შ-ამ, ასევე, დაადასტურეს, რომ პირადად დაესწრნენ მოსარჩელისთვის (საკუთრების მიმდობისათვის) 17 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს.

10.4.5. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში მტკიცებულების სახით წადგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერზე და განმარტა: უდავოა, რომ 2012 წლის 18 აპრილს დადებული ბეს ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, მაგრამ მოსარჩელე არაფერს ამბობდა, აღნიშნული ხელშეკრულების სარეგისტრაციო განცხადება პირადად მან წარადგინა თუ პირველმა მოპასუხემ (მინდობილმა მესაკუთრემ), რომელიც ამ საქმეში მისი წარმომადგენელი იყო. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის 18 აპრილის ბეს ხელშეკრულების დადების შემდეგ, მოსარჩელესა და ქონების მესაკუთრეს შორის მიმდინარეობდა დავები, სადაც ფიგურირებდა სადავო უძრავი ქონება, შესაბამისად, მოსარჩელისთვის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ

მონაცემებთან წვდომის საჭიროება იქნებოდა. მოსარჩელის მიერ უძრავ ქონებაზე რეესტრის მონაცემებთან წვდომა ამყარებდა იმ პრეზუმფციას, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო ბეს ხელშეკრულების თაობაზე, თუნდაც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, და მან მიიღო ბეს თანხა – 17 000 აშშ დოლარი.

10.4.6. ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც მონმეთა ჩვენებები, ისე საქმეში არსებული სხვა დოკუმენტური მასალა, ერთობლიობაში ქმნიდა მყარი პრეზუმფციის საფუძველს, რომ პირველმა მოპასუხემ (მინდობილმა მესაკუთრემ) მოსარჩელეს (საკუთრების მიმნდობს) გადასცა 17 000 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების წარდგენით დაედგინებინა ბეს ხელშეკრულების საფუძველზე აღებული 17 000 აშშ დოლარის მისთვის გადაუცემლობის ფაქტი.

10.5. ადვოკატის (მეორე მოპასუხის) მიერ განეული იურიდიული მომსახურებისათვის ყოფილი კლიენტისათვის (შეგებებული მოსარჩელისათვის) ანაზღაურების დაკისრების თაობაზე წარდგენილი სააპელაციო პრეტენზიებზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი იყო 2013 წლის 12 მარტს მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება, რომლის საფუძველზე მოსარჩელის ინტერესებს იცავდა მეორე მოპასუხე.

10.5.1. აპელანტი მიუთითებდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების შინაარსზე, რომელიც მისი აზრით, ბუნდოვანი იყო და ქვემდგომ სასამართლოს არ შეუფასებია ხელშეკრულებაში კალმით შესრულებული ჩანაწერები, ასევე, არც ის, რომ მოსარჩელეს არ ახსოვდა, როგორ და როდის მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, ამიტომ, მიაჩნდა, რომ მისი ხელმოწერა გაყალბებული იყო.

10.5.2. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული სააპელაციო პრეტენზია ვერ აქარწყლებდა 2013 წლის 12 მარტის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტისათვის დაკისრებულ ვალდებულებას, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსარჩელეს ცალკე სარჩელით საცილოდ არ გაუხდია ხელშეკრულების იურიდიული ძალა და არც ერთი მტკიცებულებით არ დაუმტკიცებია, რომ ადვოკატისთვის ჰონორარი გადახდილი ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რომ ადვოკატის მიერ განეული იურიდიული მომსახურება ანაზღაურებულიყო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.

10.6. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპე-

ლანტის პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო, რაც სააპელაციო საჩივრის უარყოფას დაედო საფუძვლად (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

11. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

11.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მეორე მოპასუხის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი).

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის

განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ენიინალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

16. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

18. კასატორი სადავოდ ხდის საქმეში არსებულ პრაქტიკულად ყველა მტკიცებულებას, რომელთა ერთობლივი შეფასების შედეგად ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება. კასატორის ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს, ქვემდგომი სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელის მიერ მიცემული ჩვენებისა და მისი შინაარსის სამოქალაქო საქმეში მტკიცებულებად გამოყენების (დაშვების) მართებულობა.

18.1. ამ მოსაზრების საპირისპიროდ საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 105-ე მუხლზე, რომლის თანახმად სასამართლო სათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმისწარმოების ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულებები (მათ შორის მხარეთა, მონშეთა განმარტებები) ერთობლივად შეაფასა და მხოლოდ ამ კონტექსტში, იმსჯელა სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე წარდგენილ ცალკეულ მტკიცებულებაზე; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოების დროს მოპოვებული მტკიცებულებების გარეშე, საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მისი განმარტებები არ იძლევა საკმარის საფუძველს, რომ განსახილველ სამართალური ერთობას სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება მიეცეს. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 102-ე მუხლზე მიუთითებს, რომლის თანახმადაც „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონშეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“ და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ყველა ის მტკიცებულება და ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საჭიროა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობის შესამოწმებლად.

18.2. სსსკ-ის 103-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია: „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ“. მოხმობილი ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ საპროცესო სამართალწარმოების ფარგლებში, მხარეს, საკუთარი მოთხოვნის ან შესაგებლის დადასტურების მიზნით, შეუძლია, მიუთითოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებაზე. ამ კონტექსტში წარადგინა პირველმა მოპასუხემ სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელის მიერ მიცემული ჩვენებები, თუმცა, ისინი არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულებები, უნი-

ნარესად, ორივე მოპასუხემ შეასრულა საკუთარი სამოქალაქო-როცესუალური ვალდებულება, როდესაც სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით წარადგინეს წერილობითი შესაგებელი, სადაც ამომწურავად და თანმიმდევრობით უარყვეს მათ წინააღმდეგ თავდაპირველი მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების 202-ე პუნქტი სამოქალაქო საქმეზე №ას-664-635-2016), ასევე, წარადგინეს ზეპირი განმარტებები და სხვა მტკიცებულებები, ამდენად, არ არსებობს კასატორის პრეტენზიის გაზიარების საფუძველი.

19. კასატორის შედავებას წარმოდგენს იმ თვალსაზრისითაც, რომ რწმუნებულის (მინდობილი მესაკუთრის) მიერ მარწმუნებლისთვის (საკუთრების მიმდობისათვის) ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის გადაცემა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტით შეიძლება დადასტურდეს, ხოლო მოწმეები, რომლებმაც სადავო ფაქტი დაადასტურეს და რომელთა ჩვენებებსაც დაეყრდნო სასამართლო, სანდო არაა, რადგან ისინი პირველი მოპასუხის ოჯახის წევრები არიან. კასატორი მიუთითებს, რომ მისთვის სასარგებლო ყველაზე მყარ მტკიცებულებას აუდიო ჩანაწერი წარმოადგენს, რომლის შინაარსიც პირველმა მოპასუხემ დაადასტურა, თუმცა, სასამართლომ ეს გარემოება არ გაითვალისწინა.

19.1. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზებს და განმარტავს:

19.1.1. დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ რწმუნებულის მიერ შესრულებულ ვალდებულებათა დადასტურება მხოლოდ წერილობითი დოკუმენტითაა შესაძლებელი და მიუთითებს, რომ სსკ-ის 724-ე-729-ე მუხლებით (საკუთრების მინდობა) მოწესრიგებულ სამართალურთიერთობაში წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობა საკუთრივ მხოლოდ გარიგების დადებას (მისი ნამდვილობის დადასტურებას) უკავშირდება. რაც შეეხება გარიგების ფარგლებში შესრულებული ქმედების/ქმედებათა ნამდვილობას, მათთვის კანონი წერილობითი ფორმის დაცვას სავალდებულოდ არ მიიჩნევს. იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 729-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 715-ე მუხლზე მიუთითებს: „რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით“. ამ ვალდებულების განხორციელებისთვის კანონი არ ანებს სავალდებულო ფორმას, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ მხარეები არ იმყოფებოდნენ რა საკანონმდებლო ბოქვის (სავალდებულო ფორმის დაცვის) პირობებში, ნების ავტონომიიდან გამომდინარე ქმედების დადასტურება მათ ნებისმიერი ფორმით შეეძლოთ, რაც საკუთრების მინდობის ხელშეკრულების სავალდებულო წერილობითი სახით გაფორმების (სსკ-ის 727-ე მუხლი) შემდეგ, მინდობილი მესაკუთრის მიერ დავალების შესრულების თაობაზე (რაც ზეპირი შეთანხმების ფარგლებშიც დასაშვებია – სსკ-ის 709-ე-710-ე მუხლები) გარკვეული ქმედებებით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული კი იმგვარ რისკსაც გულისხმობს, რაც სამოქალაქო ბრუნვისთვისაა დამახასიათებელი. ამ რისკის მატარებელ სუბიექტს განსახილველ შემთხვევაში მინდობილი მესაკუთრე წარმოადგენს, რომელიც მტკიცების კუთვნილი ტვირთის შესატყვისად, სხვადასხვა მტკიცებულებებით ეცადა მის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნის გაბათილებას. მართალია, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები განყენებულად არ წარმოადგენენ უდავო მტკიცებულებებს, მაგრამ სასამართლომ მათი ერთობლივად გაანალიზების შედეგად, გონივრული და ობიექტური განსჯის შედეგად, პირველი მოპასუხის სასარგებლო სამართლებრივი შეფასება მისცა, ამასთან, იმ პირობებში, როცა თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნას მხოლოდ მისი ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტება ედო საფუძვლად, ხოლო მის საპირწონედ პირველმა მოპასუხემ რამდენიმე სახის მტკიცებულება წარადგინა. აღნიშნულ კონტექსტში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველმა მოპასუხემ მტკიცების ტვირთის რეალიზება იმგვარი ფაქტობრივი საფუძვლებითა და უპირატესობით შეძლო, რომელიც სასამართლოსათვის დასაშვებ და განკუთვნად მტკიცებულებათა ერთობლიობითა და შინაგანი რწმენის შესაქმნელად საკმარისი აღმოჩნდა სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობასა და დაუსაბუთებლობაში დასარწმუნებლად.

19.1.2. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას ფარული აუდიო ჩანაწერის, როგორც სამართლებრივად უვარგის მტკიცებულებად შეფასების შესახებ, აღნიშნულზე სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად იმსჯელა (იხ. ამ განჩინების 8.3.5 ქვეპუნქტი), რასაც სავსებით იზიარებს საკასაციო პალატა და დამატებით განმარტავს, აღნიშნული ჩანაწერის მტკიცებულების სახით წარდგენა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის პრინციპს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს სასამართლო დასაშვებ მტკიცებულებათა წრეს ვერ მიაკუთვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამაზე მეორე მხარის თანხმობა არსებობს. მეორე მხარეს კი მოცემულ საქმეში ასეთი თან-

ხმოზა არ წარუდგენია. პირიქით, ის მიუთითებდა პროცესუალური მონინაალმდგვის მიერ წარდგენილ ფარულ აუდიოჩანანერზე, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე.

19.1.3. ფარული ჩანანერის მტკიცებულების სახით დაშვების ლეგიტიმურ საფუძველს, რომელიც მეორე მხარის თანხმობას არ ითვალისწინებს, მხოლოდ ის გარემოება შეიძლება წარმოადგენდეს, თუ ჩანანერი თვითდახმარების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებაა. ამასთან, ეს გარემოება იმდენად პატივსადაები უნდა იყოს, რომ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე (პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა) უფრო მაღლა უნდა იდგეს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა იმგვარი ფაქტობრივი მოცემულობა, რომელიც პირად ცხოვრებაში ჩარევას პატივსადაები მიზეზით მართლზომიერების ქრილში გადაიყვანდა. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს როგორც ეროვნული სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციიდან „Right to Privacy“ (1998), სადაც განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“ (იხ. სუსგ: №ას-1155-1101-2014, 04.05.2015წ; № ას-1337-1375-2014, 17.07.2015წ; №ას1054-994-2015 (ბ), 22.01.2016წ; №ას-290-276-2016, 25.05.2016წ; №ას-238-226-2016, 03.06.2016წ; №ას-896-862-2016, 05.01.2017წ.)

19.1.4. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში (იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 34, 238 (246 f); უშუალო წყარო: ი. კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 181 3 ევროპის საბჭოს ასამბლეის №1165 რეზოლუცია Right to Privacy (1998) <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta98/ERES1165.ht>). შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მარ-

თლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გა-რანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ყოველივე ზემოაღ-ნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურე-ბის მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარე-ვა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლე-ბის შეზღუდვა გამართლებული არ არის. ამგვარი დასკვნა, პირ-ველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მო-ვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თა-ნასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპო-ვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველ-ყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულის-ხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექ-ნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარ-მოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტი-მაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობა-ზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირე-ბულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია“ (იხ. სუსგ №ას-1155-1101-2014, 04.05.2015წ.);

20. მეორე მოპასუხის (ადვოკატის) სასარგებლოდ დაკმაყოფი-ლებული შეგებებული სარჩელის თაობაზე კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია ხელშეკრულებაზე კალმით შეს-რულებული ხელმოწერის საეჭვოობა და თავად მომსახურების ხელ-შეკრულების გარკვეული პუნქტების ბუნდოვანება; ასევე, არ იმ-სჯელა დაკისრებული ჰონორარის ოდენობის გონივრულობაზე და კანონთან შესაბამისობაზე და ადვოკატის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვან შესრულებაზე.

20.1. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, კასატორის პრეტენზია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერის საეჭვოობაზე (ხელმოწერის გაყალბებაზე), დაუსა-ბუთებელია და არაა დამყარებული სათანადო მტკიცებულებით. ამ გარემოების დადასტურებას კასატორი მხოლოდ ზეპირი ახსნა-გან-

მარტებით ცდილობს და არ გამომდინარეობს უფრო სარწმუნო მტკიცებულებიდან მაშინ, როდესაც მოსარჩელეს შეეძლო რელევანტური მტკიცებულების (მაგალითად, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის) წარდგენა სასამართლოსათვის, თუმცა, მას ამგვარი ქმედება არ განუხორციელებია და არ წარუდგენია სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულება. საგულისხმოა, რომ ადვოკატის კლიენტს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს) ხელშეკრულებაზე შესრულებული ხელმოწერა თავდაპირველად სადავოდ არ გაუხდია. პირიქით, ის ცნობდა კიდევ დოკუმენტის ნამდვილობას და, მის მიერ ინიცირებული სასარჩელო დავის ფარგლებში, მხოლოდ გარკვეული პუნქტების კორექტირებას (ჰონორარის გადახდის თარიღისა და გადახდის წინაპირობების შეცვლას) ითხოვდა. ხელმოწერის საექვობაზე კასატორი მხოლოდ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის საპასუხო შესაგებელში მიანიშნებს, თუმცა, იმის დასადასტურებლად, რომ ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა, როგორც უკვე აღინიშნა, დამაჯერებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

20.2. რაც შეეხება თავად ხელშეკრულების გარკვეული პუნქტების შინაარსს, სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სადავო პუნქტებთან მიმართებაში და დამატებით აღნიშნავს: უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების კლიენტის მიერ სადავოდ გამხდარი პუნქტები არ შეიცავენ იმგვარ დათქმებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს და ბათილ გარიგებათა რიგს მიეკუთვნებიან (სსკ-ის 54-ე მუხლი), რაც გაუმართლებლად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა თავდაპირველ მოსარჩელეს (ადვოკატის კლიენტს). ამ უკანასკნელის სასარჩელო მოთხოვნა, თავისი შინაარსით გარიგებაში იმ ხასიათის ცვლილებების შეტანას გულისხმობს, რომლის დავალდებულებაც, სასამართლოს, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე (სსკ-ის 319-ე, 327-ე მუხლები), არ შეუძლია. აღნიშნული მხოლოდ მხარეთა დამატებითი შეთანხმების საგანი უნდა იყოს.

20.3. რაც შეეხება ჰონორარის კანონიერებისა და ოდენობის მართლზომიერებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორისთვის შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურებისთვის თანხის დაკისრება გამომდინარეობს, როგორც იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებიდან (იხ. ხელშეკრულების 4.1. პუნქტი), ასევე სსკ-ის დავალების (709-ე-710-ე მუხლები) მარეგულირებელი ნორმებიდანაც. საქმის მასალებით დასადასტურებელია ყველა იმ სამართლებრივი წინამძღვრის (ფაქტობ-

რივი გარემოებების) არსებობა, რაც სსკ-ის 709-ე-710-ე მუხლებითაა დადგენილი: „დავლების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე... მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. განსახილველ შემთხვევაში გასამრჯელოს გადახდაც და ოდენობაც ხელშეკრულებითაა დადგენილი, ხოლო საადვოკატო მომსახურების განწევას მოსარჩელე არ უარყოფს (იხ. შეგებებული სარჩელის შესაგებელი), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გარემოებებს თავდაპირველი მოსარჩელე სადავო გარემოებათა წრეს არ მიაკუთვნებდა. უფრო მეტიც, მისი თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში და ადვოკატის შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავია, რადგან, სარჩელით მოთხოვნილი იყო უკვე არსებული ხელშეკრულების ცალკეულ პუნქტებში ცვლილების შეტანა ადვოკატის მომსახურების საფასურის (გასამრჯელოს) გადახდის თარიღისა და წესის თაობაზე, ხოლო შესაგებელში კლიენტმა „ვერ გაიხსენა, თუ როდის და როგორ მოახერხა ხელი ხელშეკრულებას“ (იხ. ამ განჩინების 41.2; 5.1; 7.1 ქვეპუნქტები) ამდენად, აღნიშნული საკასაციო პრეტენზია არაკვალიფიციურ შედავებად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე მიუთითებს.

20.4. კასატორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) ვერ უზრუნველყო თავისი ვალდებულებების (საადვოკატო საქმიანობის) ჯეროვნად შესრულება, მსგავსად საკასაციო საჩივრის სხვა საფუძვლებისა, დაუსაბუთებელია. კასატორის მიერ საქმეში წარდგენილი რივი მტკიცებულებებისა სწორედ იმას ადასტურებს, რომ ადვოკატს კლიენტის (შეგებებული სარჩელის მოპასუხის) სასარგებლოდ განხორციელებული აქვს გარკვეული ქმედებები, რასაც კლიენტისათვის სამართლებრივად სასარგებლო და მისაღები შედეგები მოჰყვა (იხ. 2014 წლის 4 თებერვლის დადგენილება; წინამდებარე განჩინების 2.3. პუნქტი).

21. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს კასატორს არ წარუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედავება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს ცნობილი დასაშვებად საკასაციო განაცხადი.

22. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სამართლიანობის, კანონიერებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპების, დავის

განხილვისას მხარეთა ინტერესებს შორის თანაზომიერი ბალანსის დაცვის გათვალისწინებით, დასაბუთებულია და კანონიერი, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო განაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

23. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. რ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. მ. რ-ს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2543.32 ლარის (საგადახდო დავალება ..., გადახდის თარიღი 2017 წლის 19 ივლისი) 70% – 1780.32 ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

ბაღაწყვატილება საქართველოს სახელით

№ას-684-655-2016

30 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ხ-მა (შემდგომში „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-ის (შემდგომში „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს 0,3%-დან 0,001%-მდე შემცირება და ნოტარიუს დ. ო-ის მიერ 2012 წლის 4 მაისს გაცემულ №... სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა იმგვარად, რომ სესხის ძირითადი თანხა შემცირდეს 3402 აშშ დოლარამდე, ხოლო პირგასამტეხლო – 0,3%-დან 0,001%-მდე.

2. მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 3 თებერვალს მასსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხისაგან 3 თვის ვადით ისესხა 15 000 აშშ დოლარი, ყოველთვიურად 5% სარგებლით. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა პირველი თვის სარგებელი 750 აშშ დოლარი.

3. მოსარჩელემ მიუთითა, რომ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვირთა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

4. 2011 წლის 11 თებერვალს ცვლილება შევიდა 2011 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებაში და სესხის ძირითადი თანხა განისაზღვრა 17 500 აშშ დოლარით. შესაბამისად, გაიზარდა ყოველთვიური სარგებლის ოდენობა 875 აშშ დოლარამდე. მსესხებელმა ახალი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხადა სარგებელში სხვაობა – 125 აშშ დოლარი.

5. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან დარჩენილი 2 თვის სარგებე-

ლი გადაიხადა 2011 წლის 11 მარტსა და 2011 წლის 11 აპრილს, რა-ზეც მოპასუხემ 2014 წლის 18 ივლისს გასცა ხელწერილი.

6. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედების ვა-და სათანადო წესით არ გაგრძელებულა და მოსარჩელემ მოპასუ-ხეს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადაუხადა 14 350 აშშ დოლარი.

7. მოსარჩელემ მიუთითა ნოტარიუს დ. ო-ის მიერ 2012 წლის 4 მაისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე, რომლის მიხედვით, მოპასუხე ითხოვს მოსარჩელისაგან სესხის ძირითად თანხას – 17500 აშშ დოლარს, პირგასამტეხლოს ვადაგადაცილებაზე – 4725 აშშ დოლარს, ასევე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებულ პირგასამტეხლოს აღსრულებამდე – 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. მოსარჩელემ მიუთითა, რომ პირგასამტეხლოს განაკვეთის 0,001%-მდე შემცირების შემთხვევაში 2011 წლის 11 მაისიდან დღემდე პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხა შეადგენს 252 აშშ დოლარს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ხელშეკრულე-ბის ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხიდან 252 აშშ დოლარი უნდა ჩაითვალოს პირგასამტეხლოს თანხაში, ხოლო დარჩენილი 14 098 აშშ დოლარი უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას და სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული დავალიანება უნდა შემ-ცირდეს 3 402 აშშ დოლარამდე.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შო-რის არსებული ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა სამი თვის ვადით, ვინაიდან იმავე ხელშეკრულების თანახმად, პროცენ-ტის გადახდა გაგრძელდებოდა ვალდებულების სრულად შესრუ-ლებაამდე.

10. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მხარეებს შორის არსებობდა დავა კონკრეტულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებასა და სააღსრუ-ლებო ფურცელთან დაკავშირებით, თუმცა სარჩელი არ დაკმაყო-ფილდა და გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. შესაბა-მისად, მხარემ დაკარგა ამ ნაწილში დავის უფლება.

11. მოპასუხის განმარტებით, პირგასამტეხლოს შემცირება 0,001%-მდე არ გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებული სა-ხელშეკრულებო ურთიერთობიდან და ეწინააღმდეგება ერთგვა-როვან სასამართლო პრაქტიკას.

12. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწი-ლობრივ. ნოტარიუს დ. ო-ის მიერ 2012 წლის 4 მაისს გაცემულ №... სააღსრულებო ფურცელში მითითებული პირგასამტეხლო 0,3%-დან შემცირდა 0,03%-მდე; მოსარჩელის მიერ გადასახდელი სეს-

ხის ძირითადი თანხა შემცირდა 17 128 აშშ დოლარამდე.

13. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მაისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით მიუთითა შემდეგი:

16. 2011 წლის 3 თებერვალს მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მოსარჩელემ მოპასუხისაგან მიიღო 15000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა სამი თვით, სარგებელის ოდენობა შეადგენდა ყოველთვიურად 5%-ს – 750 აშშ დოლარს. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს სესხის თანხის მიღებისთანავე წინასწარ გადაუხადა პირველი თვის საპროცენტო სარგებელი, შემდგომი გადახდის თარიღებად განისაზღვრა 3 აპრილი და 3 მაისი. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიგვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ბ... ქ. №...-ში (ს/კ ...). 2011 წლის 11 თებერვალს მხარეთა შეთანხმებით ცვლილება შევიდა 2011 წლის 3 თებერვლის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებაში, კერძოდ, სესხის ძირითადი თანხა განისაზღვრა 17500 აშშ დოლარით, სარგებელი – 875 აშშ დოლარით, სარგებლის თანხის სხვაობა – 125 აშშ დოლარი მოსარჩელემ გადაიხადა სესხის თანხის მიღებისთანავე.

17. 2012 წლის 4 მაისს ნოტარიუსმა დ. ო-ემ გასცა №... სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც განისაზღვრა მოვალის – მოსარჩელის ფულადი ვალდებულების მოცულობა კრედიტორის – მოპასუხის მიმართ. კერძოდ, 2011 წლის 8 ივლისის მდგომარეობით შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 22 225 აშშ დოლარით, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა იყო 17500 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე – 4 725 აშშ დოლარი, აგრეთვე, დამატებით სანოტარო აქტის აღსრულებამდე (იპოთეკის საგნის რეალიზაციამდე) სესხის ძირითად თანხასა და პროცენტის თანხაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო – 0,3% ყოველ დღეზე (რაც გაგრძელდება ამ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების დაწყების დღემდე).

18. სასამართლომ, სააღსრულებო ფურცლის შინაარსის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მისი გაცემის დროისათვის მოსარჩე-

ლეს სარგებელთან დაკავშირებით დავალიანება არ გააჩნდა.

19. სალაროს შემოსავლის ორდერების თანახმად, სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდგომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა 12 475 აშშ დოლარი, რომელიც მთლიანად ჩაითვალა პირგასამტეხლოს თანხაში. კერძო აღმასრულებლის, რ. ს-ის მიერ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ წინადადების გაგზავნისას მოვალეს – მოსარჩელეს განემარტა, რომ მას მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის, 17 500 აშშ დოლარისა და 8 თვის სარგებლის თანხის გადახდა (თვეში 875 აშშ დოლარი) 7000 აშშ დოლარის ოდენობით. მოვალეს განემარტა, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში მოხდებოდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია. აღნიშნული პერიოდიდან (2014 წლის 9 ოქტომბერი) შეწყდა მოსარჩელეზე პირგასამტეხლოს დაკისრება.

20. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში განთავსებულ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა მოპასუხის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით და, რომლის დავის საგანს წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული დავალიანების გაუქმება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით მოპასუხისათვის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება. მითითებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2011 წლის 3 თებერვალს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელეს გადასახდელი აქვს რვა თვის სარგებელი 7000 აშშ დოლარი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სესხი არ იყო 3-თვიანი და მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა გადაეხადა მხოლოდ 3 თვის სარგებელი.

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასარკვევად, ერთი მხრივ, სახეზე იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სესხი გაიცა 3 კალენდარული თვის ვადით, ხოლო, მეორე მხრივ, – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მიღებული იმავე მხარეთა შორის ნაწარმოებ დავაზე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული დავალიანების გაუქმებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მოთხოვნით. სააპელაციო პალატამ მი-

უთითა, რომ ამ გადაწყვეტილებით ერთმნიშვნელოვნად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა, რომ სესხი არ იყო 3-თვიანი და, რომ მხოლოდ 3 თვის სარგებელი უნდა გადაეხადა მოსარჩელეს მოპასუხისათვის.

23. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 8 თვემდე. სწორედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ სესხი იყო 3 თვის ვადით დადებული და, რომ მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა გადაეხადა მხოლოდ სამი თვის სარგებელი.

24. სააპელაციო პალატამ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე და, იმავე მხარეთა შორის არსებულ და გადაწყვეტილ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სესხის ხელშეკრულება დაიდო არა 3, არამედ – 8 თვის ვადით.

25. პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება პირგასამტეხლოს ოდენობის 0,3%-დან 0,03%-მდე შემცირების თაობაზე.

26. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველ ნაწილზე და დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიშვა 2011 წლის 3 თებერვალს სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების, ასევე აღნიშნულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე. ამასთან, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები მოსარჩელეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შეუსრულებია.

27. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2012 წლის 4 მაისისათვის (სააღსრულებო ფურცლის გაცემის დროს) მოვალეზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 4725 აშშ დოლარს და მისი დარიცხვა გრძელდებოდა 2014 წლის 9 ოქტომბრამდე, ანუ კიდევ 888 დღე, რაც დღეში 52,5 დოლარის გათვალისწინებით შეადგენდა 46 305 აშშ დოლარს, ჯამში

კი – 51 030 აშშ დოლარს. მოპასუხის განმარტებით, მან პირგასამტეხლოს ანგარიშში ჩათვალა მხოლოდ 12 475 აშშ დოლარი.

28. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გათვალისწინებით და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით, დადგენილად მიიჩნია, რომ სესხის ძირითადი და გადაუხდელი თანხა შეადგენდა 17 500 აშშ დოლარს; 2012 წლის 4 მაისს, სააღსრულებო ფურცლის გაცემის დროს, მოსარჩელეს სარგებლის დავალიანება საერთოდ არ გააჩნდა. შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრა მხოლოდ სესხის ძირითადი თანხის და მისი დაუბრუნებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს თანხით; აღნიშნულის შემდეგ მოსარჩელემ გადაიხადა 14350 აშშ დოლარი; რაც შეეხება პირგასამტეხლოს, აღნიშნული თანხიდან 12475 აშშ დოლარი ჩაითვალა პირგასამტეხლოს ანგარიშში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა კანონშესაბამისად შემცირდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 0,03%-მდე და არ არსებობდა მითითებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

29. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება, რომლითაც პირგასამტეხლო 51030 აშშ დოლარი შეამცირა 0,03%-მდე, რაც თანხობრივად შეადგენდა 5103 აშშ დოლარს.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდგომ, მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა 12 475 აშშ დოლარი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მას უნდა დაკლებოდა პირგასამტეხლო – 5103 აშშ დოლარი, 8 თვის სარგებელი – 7000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 372 აშშ დოლარი კი უნდა გამოკლებოდა სესხის ძირითად თანხას – 17 500 აშშ დოლარს, რის შემდეგაც მოსარჩელეს საბოლოოდ გადასახდელი დარჩებოდა 17 128 აშშ დოლარი.

31. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე, 417-ე მუხლებით და უდავოდ მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლო გამოითვლებოდა გადასახდელი პროცენტიდან, რომელიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა გადაუხდელი პროცენტის 0,3%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8, 115-ე მუხლებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შეთანხმებული (შემდგომში კი დაკისრებული) პირგასამტეხლო სამართლიანი და გონივრული უნდა იყოს და კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ემყარებოდეს.

32. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონშესაბამისად, გონივრულად და სამართლიანად იქნა შემცირებული პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი და განისაზღვრა მისი ოდენობა გადაუხდელი თანხის 0,03%-ით.

33. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

34. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და მოსარჩელეს დააკისრა დამატებითი თანხის – 8 თვის სარგებლის 7000 აშშ დოლარის გადახდა, ისე რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული დავალიანების შემცირება, სადაც 8 თვის სარგებელი საერთოდ არ არის ნახსენები და არც მოპასუხე მხარეს აღუძრავს შეგებებული სარჩელი. გამომდინარე იქედან, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სარგებლის დარიცხვა ვერ მოხდება, თუ მხარეებმა სათანადო წესით ცვლილება არ შეიტანეს ხელშეკრულებაში, კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული 7000 აშშ დოლარიც უნდა ჩაითვალოს სესხის ძირითად თანხაში.

35. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა 8 თვის სარგებლის გადახდა, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში 8 თვის სარგებელი ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, შემდეგი ფორმულირებით: 2014 წლის 9 ოქტომბერს კერძო აღმასრულებელმა რ. ს-ემ მოვალე მ. ხ-ს გაუფზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ და განუმარტა, რომ მ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ძირი თანხის 17 500 აშშ დოლარისა და სარგებლის 8 თვის თანხის (თვეში 875 აშშ დოლარი) სულ 7000 აშშ დოლარის გადახდა“, სხვა გრაფაში ან სხვა კონტექსტში 8 თვის სარგებელი არსად ფიქსირდება და ვერც დაფიქსირდებოდა, რადგან სადავო იყო ნოტარიუს დ. ო-ის მიერ 2012 წლის 4 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცელი და არა – კერძო აღმასრულებელ რ. ს-ის წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. კასატორის განცხადებით, არცერთ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ მოსარჩელეს 8 თვის სარგებლის გადახდა ეკისრებოდა.

36. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს. კერძოდ, 4.13 პუნქტში აღნიშნულია, რომ „მხარეთა შორის არსებული

სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 8 თვემდე“, ასევე, 4.15 პუნ-
ქტში კონკრეტულად არის მითითებული, რომ „სესხი, რომელიც და-
იდო მხარეთა შორის, იყო არა 3 თვის ვადით, არამედ 8 თვის ვადით
დადებული“ ანუ, რადგან ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 3 თე-
ბერვალს, მასზე სარგებლის დარიცხვა უნდა შეწყვეტილიყო 8 თვის
შემდეგ – 2011 წლის 3 ოქტომბერს.

37. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული 8 თვის სარ-
გებლის გადახდა დააკისრა მოსარჩელეს, ამასთან, მიუთითა, რომ
სააღსრულებო ფურცლის გაცემის დროს მოსარჩელეს მოპასუხის
მიმართ სარგებელთან დაკავშირებით დავალიანება არ გააჩნდა და
სწორედ ამის გამო არ იყო მითითებული სარგებელი სააღსრულებო
ფურცელში, მაშინ როდესაც სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2012
წლის 4 მაისს, მაგრამ სასამართლოს მიერ დაკისრებული 8 თვის
სარგებელი არის 2011 წლის თებერვლიდან ამავე წლის ოქტომბრამ-
დე დარიცხული სარგებელი.

38. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე
უსამართლოდ შეამცირა პირგასამტეხლო მხოლოდ 0,03%-მდე,
რადგან კრედიტორის მხრიდან განზრახ ხდებოდა დროის გაჭია-
ნურება სესხის ძირითად თანხაზე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამ-
ტეხლოს დარიცხვის მიზნით და მისი ოდენობა უნდა შემცირდეს
0,001%-მდე.

39. კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს
დასკვნას, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო გამოითვლებოდა
გადასახდელი პროცენტის 0,3%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ
დღეზე. თუ პირგასამტეხლო ანგარიშდებოდა გადასახდელი 8 თვის
სარგებლიდან – 7000 აშშ დოლარიდან, მაშინ, მისი მოსაზრებით,
პირგასამტეხლოს ოდენობა 51300 აშშ დოლარი ვერ იქნებოდა.

40. საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო
სასამართლოს განჩინებაში არაფერია ნათქვამი მოპასუხის ხელ-
წერილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ყოველი თვის
5 რიცხვში იხდიდა სარგებელს 875 აშშ დოლარის ოდენობით. აღ-
ნიშნული ხელწერილი გაცემულია 2014 წლის ივლისის თვეში, ხო-
ლო სააღსრულებო ფურცელი კერძო აღმასრულებელს წარდგენი-
ლი აქვს 2014 წლის ოქტომბრის თვეში. კასატორმა აღნიშნა, რომ,
თუ კრედიტორი ადასტურებდა 18 ივლისამდე სარგებლის სრულად
გადახდას, 8 თვის სარგებლის დარიცხვა ვერ მოხდებოდა, რადგან
2014 წლის ივლისიდან 2014 წლის ოქტომბრამდე 8 თვე საერთოდ
არ არის.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2016 წლის 25 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკა-
საციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

43. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მაისის განჩინების ის ნაწილი, რომლითაც უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის 17 128 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

44. საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისთვის 2011 წლის 3 თებერვალს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 8 თვის სარგებლის – 7000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების, აგრეთვე, პირგასამტეხლოს შემცირების კანონიერება 0,3%-დან 0,03%-მდე, ნაცვლად 0,001%-სა. საკასაციო სასამართლო კასატორის თითოეულ პრეტენზიას განიხილავს ცალ-ცალკე.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

46. საკასაციო პალატა თვლის, რომ სარგებლის დაკისრების ნაწილში კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

47. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განჩინება ამ ნაწილში იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული,

რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

48. ზემოაღნიშნულ საკითხზე განჩინების მიღებისას, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში განთავსებული, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, იმავე მხარეებს შორის ნაწარმოებ დავაზე და მიუთითა აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2011 წლის 3 თებერვალს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს გადასახდელი აქვს რვა თვის სარგებელი 7000 აშშ დოლარი, სახელდობრ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლის თანახმად, სესხი არ იყო 3-თვიანი და მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა გადაეხადა მხოლოდ 3 თვის სარგებელი. ასეთი დასაბუთებითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 8 თვემდე.

49. საკასაციო სასამართლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად, მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად, რომ სესხის ხელშეკრულების ვადა არ იყო 3-თვიანი და, მაშასადამე, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 8 თვემდე.

50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ,

ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემონიშნების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს (იხ. სუსგ №ას-824-790-2016, 2016 წლის 23 დეკემბერი).

51. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს (იხ. სუსგ №ას-341-326-2016, 21 ოქტომბერი, 2016 წელი).

52. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიმართავს 2015 წლის 17 მარტის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლის დავის საგანს წარმოადგენდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული დავალიანების გაუქმება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით მოპასუხისათვის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება.

53. კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელე განმარტავდა, რომ მას სრულად ჰქონდა გადახდილი სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი, ხოლო 2011 წლის 3 მაისიდან – ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორისათვის გადახდილი თანხამ შეადგინა 13825 აშშ დოლარი. მოპასუხის განმარტებით კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ასევე პირგასამტეხლო, შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გაცემით შეწყდა პროცენტის დარიცხვა, მაგრამ გაგრძელდა პირგასამტეხლოს დაკისრება. მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა აკლდებოდა არა ძირ თანხას, არამედ – პირ-

გასამტეხლოს.

54. მოცემულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები ჯეროვნად არ შესრულებულა მოსარჩელის მიერ, რის გამოც არ არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა 2011 წლის 3 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 21-ე მუხლზე, რომლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულება წყდება: ა) მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებით; ბ) აუქციონზე იპოთეკის საგნის რეალიზაციის ან იპოთეკარის საკუთრებაში მისი გადასვლის შედეგად; გ) მხარეთა შეთანხმებით; დ) ამ ხელშეკრულებით და/ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 30-ე მუხლზე, რომლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და სანოტარო წესით დადასტურებისთანავე და იგი ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე.

55. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ხელშეკრულება სათანადო წესით არ გაგრძელებულა და ხელშეკრულების ვადა გავიდა 2011 წლის 3 მაისს.

56. საქალაქო სასამართლომ მოცემული მსჯელობა განავითარა და აღნიშნა, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის გადარიცხულმა თანხებმა შეადგინა 12475 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ 2011 წლის 3 მაისიდან მოპასუხისთვის 32375 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი არ დასტურდებოდა, ხოლო საქმეში არსებული 2014 წლის 18 ივლისით დათარიღებული მოპასუხის ხელწერილი ასეთ მტკიცებულებად ვერ მიიჩნეოდა, რადგან მასში არ იყო მითითებული, თუ რა პერიოდზე იყო საუბარი. საქალაქო სასამართლომ გამოთქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, მოპასუხე მიუთითებდა სააღსრულებო ფურცლის ამონერამდე პერიოდზე, რადგან სააღსრულებო ფურცლის მიხედვით სარგებელთან დაკავშირებით დავალიანება არ არსებობდა, მოსარჩელეს გააჩნდა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს დავალიანება. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელწერილი სწორედ ამ გარემოებას ადასტურებდა უტყუარად. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება, რომ სესხი იყო სამი თვის ვადით და მოსარჩელეს მოპასუხისთვის ხელშეკრულების თანახმად უნდა გადაეხადა მხოლოდ სამი თვის სარგებელი. აღნიშნული დასკვნის შემდგომ საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ფულადი გზავნილები უნდა

ჩათვლილიყო პირგასამტეხლოდ ვადაგადაცილებებისთვის და არა – ძირითად თანხად. საბოლოოდ, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება არ დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, შესაბამისად, არ არსებობდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული დავალიანების გაუქმების საფუძველი.

57. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს არც უმსჯელია და არც დაუდგენია, თუ რამდენი თვის სარგებელი უნდა გადაეხადა მოსარჩელეს. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ მოსარჩელეს მხოლოდ სამი თვის სარგებელი არ ჰქონდა გადასახდელი, რადგან ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს დარიცხვას.

58. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომლის თანახმადაც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2011 წლის 3 თებერვალს დადებული სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს გადასახდელი აქვს რვა თვის სარგებელი 7000 აშშ დოლარი და, შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 8 თვემდე.

59. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე 2012 წლის 4 მაისს ნოტარიუს დ. ო-ის მიერ გაცემულ №... სააღსრულებო ფურცელზე, რომლითაც განისაზღვრა მოვალის – მოსარჩელის ფულადი ვალდებულების მოცულობა კრედიტორის – მოპასუხის მიმართ. კერძოდ, 2011 წლის 8 ივლისის მდგომარეობით შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 22 225 აშშ დოლარით, საიდანაც სესხის ძირითადი თანხა იყო 17500 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე – 4 725 აშშ დოლარი, აგრეთვე, დამატებით სანოტარო აქტის აღსრულებამდე (იპოთეკის საგნის რეალიზაციამდე) სესხის ძირითადი თანხასა და პროცენტის თანხაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო – 0,3% ყოველ დღეზე (რაც გაგრძელდება ამ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებო წარმოების დაწყების დღემდე).

60. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დასტურდება, რომ მოსარ-

ჩელეს 2011 წლის 8 ივლისის მდგომარეობით სესხზე სარგებელი არ ერიცხებოდა, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არ უნდა დაეკისროს სესხზე 8 თვის სარგებლის სა-
ნით 7000 აშშ დოლარის გადახდა.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნა-
წილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა
მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების სა-
ფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადან-
ყვეტილება იქნა გამოტანილი.

62. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-
მართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილითა და 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი
წესი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შე-
სული გადანყვეტილებით პრეიუდიციული წესით დადგენილად მი-
იჩნია ისეთი ფაქტები, რომლებიც რეალურად არ ყოფილა დადგე-
ნილი აღნიშნულ საქმეზე, შესაბამისად, სასამართლომ ყოველმხრი-
ვად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ
შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რასაც შე-
დეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსა-
ფუძველობის თაობაზე.

63. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-
მართლოს გადანყვეტილება მოსარჩელისთვის რვა თვის სარგებ-
ლის – 7000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მოკლებულია და-
საბუთებას და უნდა გაუქმდეს.

64. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ
ხდის, აგრეთვე, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის
შემცირების ფარგლებს, კერძოდ, მიაჩნია, რომ სასამართლოს მი-
ერ პირგასამტეხლოს 0,3%-იდან 0,03%-მდე შემცირება არ არის
საკმარისი და ითხოვს მის დამატებით შემცირებას 0,001%-მდე.

65. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კო-
დექსის 417-ე-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგა-
სამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრუ-
ლების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის სა-
შუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავ-
შირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან.
პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა
ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება, ამ ვალდე-
ბულების შესრულებამდე. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის
თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედვე-
ლობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემო-
ებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების,

მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ №ას-536-512-2016, 4 ოქტომბერი, 2016 წელი).

66. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიძიძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება (იხ. სუსგ №ას-536-512-2016, 4 ოქტომბერი, 2016 წელი).

67. სასამართლოს სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლება აქვს დაიყვანოს პირგასამტეხლო თანაზომიერების ფარგლებამდე.

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება (იხ. სუსგ №ას-833-799-2016; 2016 წლის 2 ნოემბერი).

69. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას პირგასამტეხლოს 0,03%-მდე შემცირების ნაწილში და მიუთითებს, რომ, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოვალის მიერ არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანი თანაზომიერია პირგასამტეხლოს ოდენობასთან, შესაბამისად, არ არსებობს მისი დამატებით შემცირების საფუძველი.

70. საკასაციო სასამართლო მოსარჩელის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ მისივე განმარტებით პირგასამტეხლოს 0,001%-მდე შემცირების შემთხვევაში მას დაეკისრება 252 აშშ დოლარის გადახდა, რაც 17500 აშშ დოლარის სესხის დაბრუნების ვადის დარ-

ღვევასთან მიმართებით არ შეიძლება ჩაითვალოს თანაზომიერად.

71. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად(იხ. სუსგ №ას-1158-1104-2014, 2015 წლის 6 მაისი).

72. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ნიშნულამდე პირგასამტეხლოს შემცირებით პირგასამტეხლო დაკარგავს თავის ძირითად პრევენციულ და ზიანის მაკომპენსირებელ ფუნქციას. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

73. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-671-637-2015, 2015 წლის 14 აგვისტო; №ას-466-448-2016, 2016 წლის 7 სექტემბერი).

74. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

75. საკასაციო პალატამ მოცემული გადაწყვეტილების წინა პუნქტებით დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკისრა მოსარჩელეს რვა თვის სარგებელი – 7000 აშშ დოლარი.

76. საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ

ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

77. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების 4.5, 4.23 და 4.24 პუნქტებზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებაა, რომ საალსრულებო ფურცლის გაცემის შემდგომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადაუხადა 12475 აშშ დოლარი და, ამასთან, შემცირებული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 5103 აშშ დოლარს.

78. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გადახდილ 12475 აშშ დოლარს უნდა დააკლდეს პირგასამტეხლო 5103 აშშ დოლარი და დარჩენილი 7372 აშშ დოლარი უნდა გამოაკლდეს სესხის ძირ თანხას – 17500 აშშ დოლარს, რის შემდეგაც საბოლოოდ მოსარჩელეს გადასახდელი დარჩება სესხის ძირითადი თანხა – 10128 აშშ დოლარი.

79. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

80. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე საკასაციო საჩივრით ასაჩივრებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტს, რომლითაც უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხის 17128 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე.

81. ვინაიდან მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მას მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებული სესხის ძირითადი თანხა შეუმცირდა 10128 აშშ დოლარამდე, შესაბა-

მისად, მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2883,92 ლარის გადახდა (მოსარჩელეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად შეუმცირდა სესხის ძირითადი თანხა 7372 აშშ დოლარით. მას სარჩელით მოთხოვნილი ჰქონდა სესხის ძირითადი თანხის 14098 აშშ დოლარით (3402 აშშ დოლარამდე) შემცირება. შესაბამისად, დაკმაყოფილდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის 52% და მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5546 ლარის 52%-ის – 2883,92 ლარის გადახდა).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მაისის განჩინების ის ნაწილი, რომლითაც უცვლელი დარჩა ქუთაისის სამოქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების მე-2 (მ. ხ-ის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა შემცირდეს 17 128 აშშ დოლარამდე) და მე-3 (მ. ლ-ეს მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ გადახდილი ბაჟის ნაწილი – 497.61 ლარი) პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მ. ხ-ის მიერ გადასახდელი სესხის ძირითადი თანხა შემცირდეს 10128 აშშ დოლარამდე;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
6. მ. ლ-ეს (პ/ნ: ...) მ. ხ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს მ. ხ-ის მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5546 ლარის 52% – 2883,92 ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მიერით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-685-656-2016

19 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მ. ზ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან საჩივრის ავტორი) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა დაედო ვ. მ-ის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი ან განმცხადებელი) უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ქობულეთში პ-ის ქ. №18-ში, დაუზუსტებელი ფართობი – 6260.00 კვ.მ. შენობა – ნაგებობის ჩამონათვალი №1-1000 კვმ (უძრავი ქონების ს/კ: 2..), ასევე, ყადაღა დაედო მოპასუხის 30%-იან წილს შპს „E“-ში (შემდეგში: პირველი სანარმო) და 50%-იან წილს შპს „G“-ში (შემდეგში: მეორე სანარმო) – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ 198.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; (იხ. განჩინება) დასახელებული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 709-ე, 710-ე მუხლების საფუძველზე, დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის, გასამრჯელოს სახით, თანხის დაკისრებაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მოპასუხეს დაეკისრა 355 372.8 (სამას ორმოცდათხუთმეტი ათას სამას სამოცდათორმეტი ლარისა და ოთხმოცი თეთრის) გადახდა (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელემ, ისე, მოპასუხემ. მოსარ-

ჩელემ მოითხოვა სარჩელის უარყოფილ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ანუ მოპასუხისათვის დამატებით 239 596 (ორას ოცდაცხრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის დაკისრება. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადანყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს უარი ეთქვა სააპელაციო პრეტენზიაზე, შედეგად, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილება სარჩელის უარყოფილ ნაწილში და, ამ ნაწილში მიღებული ახალი გადანყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დამატებით 239 596 ლარის გადახდა დაეკისრა; ასევე – სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ანაზღაურება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადანყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს (სსსკ-ის 412-ე მუხლი)

6. მოპასუხემ, 2015 წლის 1 დეკემბერს, განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოძრავ და უძრავ ნივთებზე სარჩელის უზრუნველყოფის (ყადაღის) გაუქმება და უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლა მოითხოვა (სსსკ-ის 196-ე მუხლი).

7. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ქონება შემოთავაზებული იყო, თუმცა, არ იყო დასაბუთებული, თუ რა განსაკუთრებული ზიანი ადგებოდა განმცხადებელს უკვე არსებული უზრუნველყოფის ღონისძიებით, ან რა უარყოფითი შედეგები იყო მოსალოდნელი მომავალში ამ ღონისძიების არსებობით.

8. მოპასუხის წარმომადგენელმა, 2016 წლის 27 აპრილს, განმეორებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) გაუქმება და უძრავ ნივთზე უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა.

8.1. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა გამართლებულია და გადანყვეტილების აღსრულების შეფერხებას და შეუძლებლობას არ გამოიწვევს;

8.2. განმცხადებელმა (მოპასუხემ) მისი კანონიერი ინტერესების შელახვისა და უსაფუძვლოდ, განუზომლად დიდი მატერიალური ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, მოითხოვა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების იმგვარად შეცვლა, რომ უძრავ და მოძრავ ქონებაზე დადებული ყადაღა შეცვლილიყო უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით. კერძოდ, მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: გათავისუფლდეს ყადაღისაგან მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და მოპასუხის 30%-იანი და 50%-იანი წილები, შესაბამისად, პირველ და მეორე სანარმოებში (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი). აღნიშნული ღონისძიების ნაცვლად, განმცხადებელმა მოითხოვა, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, გამოყენებულიყო გასხვისების და სანივთო უფლებით დატვირთვის აკრძალვა მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე. განცხადებლის განმარტებით, უზრუნველყოფის საგნად შეთავაზებული უძრავი ქონების ღირებულება ბევრად აღემატება დავის საგნის ღირებულებას. კერძოდ, მოპასუხის უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 663 250 (ექვსას სამოცდასამი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს, ხოლო დავის საგნის ღირებულება კი – 594 968 (ხუთას ოთხმოცდაოთხმეტი ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარს, ანუ უზრუნველყოფის საგნის ღირებულება 68 282 (სამოცდარვა ათას ორას ოთხმოცდაორი) ლარით აღემატება დავის საგნის ღირებულებას;

8.3. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, მოპასუხემ განცხადებას დაურთო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ფ/პ გ. ჯ-ს 19.04.2016 წ. აუდიტორული დასკვნა უძრავი ქონების შეფასების შესახებ, რომლის თანახმად: უძრავი ქონების 100%-იანი წილიდან 10%-ის ღირებულება შეადგენს 663 250 (ექვსას სამოცდასამი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით მოპასუხის განცხადება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა უძრავ ქონებას, ასევე, ყადაღა მოეხსნა მოპასუხის 30%-იან წილს პირველ სანარმოში და 50%-იან წილს მეორე სანარმოში. მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და ყოველგვარი სანივთო უფლებით დატვირთვა.

10. სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია უზრუნველყოფის სახით, გასხვისებისა და სანივთო უფლებით დატ-

ვირთვის აკრძალვის გამოყენება მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე, რომლის ღირებულებაც შეადგენს 663 250 ლარს, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დავის საგნის ღირებულება შეადგენს 594 968 ლარს, ხოლო უზრუნველყოფის საგნის ღირებულება კი, 68 282 ლარით აღემატება დავის საგნის ღირებულებას.

11. სააპელაციო სასამართლოს აზრით, მოპასუხის წარმომადგენლის განცხადება კანონშესაბამისია, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით საფრთხე არ დაემუქრება მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებას. ამგვარი ცვლილებით მხარეთა თანასწორობის პრინციპი იქნება დაცული. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის 01.12.2015წ. შუამდგომლობაში (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები არ შეიცავდნენ საკმარის დასაბუთებას წარდგენილი განცხადების დასაკმაყოფილებლად.

12. მოსარჩელემ საჩივარი წარადგინა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განჩინებაზე (იხ. მე-9 პუნქტი) შემდეგი დასაბუთებით:

12.1. გასაჩივრებული განჩინება მოპასუხის ორ ქონებასთან დაკავშირებით, შინაარსობრივად წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას და არა მის შეცვლას, რითაც მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა გადაწყვეტილების აღსრულებას. სსსკ-ის 196-ე მუხლი მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მხარე სასამართლოს სთავაზობს მეორე მხარის დაცვისათვის იმის ტოლფასოვან გარანტიებს, რაც სასამართლომ გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებისას;

12.2. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა (მოპასუხემ) სამ სხვადასხვა ქონებაზე – უძრავ ნივთზე და ორ არამატერიალურ ქონებაზე, ყადაღისაგან გათავისუფლების სანაცვლოდ, მონინააღმდეგე მხარეს შესთავაზა, მხოლოდ უძრავი ნივთის გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის გამოყენება, ე.ი. სამი ქონებიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა ორ ქონებაზე, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა მოითხოვა მხოლოდ ერთი ქონების ნაწილში, შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს, სარჩელის უზრუნველსაყოფად, არათუ ტოლფასოვანი ქონება შესთავაზა, არამედ შეფარვით მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმება;

12.3. სსსკ-ის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე საჩივრის წარდგენა დასაშვებია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინების მხარის მიერ ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში. მოპასუხემ ამ შე-

საძლებლობით ისარგებლა, მან ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებისათვის დადგინდეს ვადაში მიმართა (იხ. მე-6 პუნქტი) და ამ საჩივართან დაკავშირებით იმსჯელეს ზემდგომმა სასამართლოებმა. შესაბამისად, მხარემ ამონურა მის ქონებასთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა;

12.4. ორ ქონებაზე გამოყენებული ყადაღის გაუქმების სანაცვლოდ, მოპასუხეს სასამართლოსათვის არაფერი შეუთავაზებია, შესაბამისად, ამ ნაწილში უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა დაუშვებელია. სასამართლომ კი არ შეცვალა უზრუნველყოფის ღონისძიება, არამედ გააუქმა ის, რისი განხორციელების სამართლებრივი შესაძლებლობა არ ჰქონდა;

12.5. მოპასუხის იგივე შინაარსის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილეს. 2015 წლის 1 დეკემბერს, მოპასუხემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის მოთხოვნით (იხ. მე-6 პუნქტი); ერთადერთი, რაც მოპასუხის 01.12.2015 წ. და 27.04.2016წ. განცხადებებს (იხ. ამ განჩინების მე-6 და მე-8 პუნქტები) ერთმანეთისაგან განასხვავებს, მოპასუხის მოთხოვნაა. 01.12.2015წ. განცხადებით მოპასუხე ითხოვდა სამი ქონებიდან ყადაღის გაუქმებას ორ ქონებაზე და ერთი ქონებიდან 20%-ზე, ხოლო სანაცვლოდ, გასხვისების აკრძალვის გამოყენებას პირველ საწარმოში მოპასუხის 30%-იანი წილიდან 10%-იან წილზე, ხოლო 27.04.2016წ. განცხადებით, მოპასუხემ მოითხოვა სამი ქონებიდან ყადაღის გაუქმება ორ ქონებაზე, ხოლო სანაცვლოდ – უძრავ ნივთზე გასხვისების აკრძალვა. დანარჩენ ნაწილში ორივე განცხადება ერთნაირადაა დასაბუთებული. ამ ანალოგიური შინაარსის განცხადებებთან დაკავშირებით ორი განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ – 01.12.2015წ. განცხადება უარყოფილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ხოლო მეორე განცხადება – 27.04.2016წ. დააკმაყოფილა იმავე სააპელაციო სასამართლომ.

12.6. სააპელაციო სასამართლო უთითებს: „იმხანად განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები არ შეიცავდნენ საკმარის დასაბუთებას წარმოდგენილი განცხადების დასაკმაყოფილებლად“. მოსარჩელის მტკიცებით, როგორც იმხანად (ე.ი. 01.12.2015წ.), ასევე 27.04.2016წ. წარდგინდეს განცხადებაში მითითებული გარემოებები იდენტური იყო. რაც შეეხება მტკიცებულებებს, 1 დეკემბრის განცხადებას ერთვოდა აუდიტორის დასკვნა წილის შეფასებაზე, ხოლო 27 აპრილის განცხადებას – აუ-

დიტორის დასკვნა უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების შეფასების თაობაზე. მოპასუხეს (განმცხადებელს) არ მიუთითებია რაიმე ახალ ფაქტზე და არც განსხვავებული მტკიცებულება წარუდგენია, რაც სასამართლოს განსხვავებული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მისცემდა. შესაბამისად, უსაფუძველოა სასამართლოს მიერ ერთი და იგივე საკითხზე ორი განსხვავებული გადანყვეტილების მიღება;

12.7. სააპელაციო სასამართლომ, 2016 წლის 30 მაისის განჩინების დასაბუთებისას, აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა 594 968 ლარს, ხოლო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება 663 250 ლარია, რაც 68 282 ლარით აღემატება დავის საგნის ღირებულებას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ამ უძრავი ნივთით სარჩელის უზრუნველყოფა, მოპასუხის და მოსარჩელის ინტერესების თანაფარდობის გათვალისწინებით, ადექვატური იქნებოდა;

12.8. აუდიტორის დასკვნის დადგენილებით ნაწილში მითითებულია, რომ ობიექტის ღირებულება სულ შეადგენს 663 250 ლარს, ზღვრული ცდომილება არ აღემატება აღნიშნული თანხის 8-10%-ს, თავად აუდიტორის დასკვნის მიხედვითაც კი, უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება შეიძლება იყოს 8-10%-ით მეტი ან ნაკლები მის მიერვე მითითებულ ღირებულებაზე – 663 250 ლარზე. შესაბამისად, საესკების საფუძვლიანია იმის ვარაუდი, რომ ამ ქონების ღირებულება იყოს 10%-ით ნაკლები აუდიტორის მიერ მითითებულ ღირებულებაზე. რაც 66 325 ლარს შეადგენს, შესაბამისად, არც ის ღირებულებითი ზედმეტობა არსებობს, რაც სასამართლომ საფუძვლად დაუდო მსჯელობას განჩინების მიღების დროს;

12.9. ფულადი მოთხოვნის არსებობის პირობებში, სარეალიზაციო ქონების ღირებულება ფულად მოთხოვნას უნდა აღემატებოდეს, რადგან აუქციონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქონების გასხვისება აუქციონზე დაბალ ფასში ხდება, თავდაპირველად, უძრავი ქონების 75%-ში, შემდეგ – 50%-ში, ხოლო ბოლოს ნულოვანი შეთავაზების პირობებში.

12.10. აუდიტორის მიერ გაკეთებული დაშვების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის საგნის ღირებულება და სასარჩელო მოთხოვნა ტოლფარდოვანია, შესაბამისად, საბოლოოდ, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქონება პირველ აუქციონზე შეიძლება 447 693 ლარად გასხვისდეს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადანყვეტილების აღსრულების მოლოდინს.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის განჩინებით, მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

14. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. საამისოდ, მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა, კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე, გადანყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

15. სსსკ-ის 196.1 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს.

16. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით შეძლო, დაედასტურებინა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით, სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, სარჩელი უზრუნველყოფის გარეშე არ დარჩებოდა. მოსარჩელეს კი, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და იმის დასადასტურებლად, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოიწვევს გადანყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, არ წარუდგენია მტკიცებულებები, გარდა ზეპირი განმარტებისა. ეს განმარტება კი ძირითადად ემყარება ვარაუდებს, რომ შემცირდება ქონების ღირებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მოსარჩელის საჩივრისა და მოპასუხის განცხადების, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მოპასუხის განცხადებას უარი უნდა ეთქვას შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსსკ-ის 197¹-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით, 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სა-

კასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

18. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, ყადაღა დაედო მოპასუხის უძრავ ქონებას და მის სახელზე რიცხულ 30%-იან წილს პირველ სანარმოში და 50%-იან წილს მეორე სანარმოში (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი).

19. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განჩინებით მოპასუხის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა მოპასუხის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებას, ასევე – მოპასუხის 30%-იან წილს პირველ სანარმოში და 50%-იან წილს მეორე სანარმოში. მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და ყოველგვარი სანივთო უფლებით დატვირთვა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი).

20. საჩივრის ფარგლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის კანონიერება.

21. სსსკ-ის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, რაც საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაიშვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა, ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. მითითებული ნორმის მესამე ნაწილით განსაზღვრულია, რომ „ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე“.

22. სამართალწარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკმაყოფილდება მისი სა-

მართლებრივი ინტერესი. გადანყვეტილების აღსრულების გზაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომელიც გადანყვეტილების აღსრულებას პერსპექტიულს ხდის, სამართალწარმოების პროცესში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებაა, რომელთა მეშვეობით გარანტირებული და უზრუნველყოფილია დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულება ან თავიდანაა აცილებული აღსრულების გაძნელება (სსსკ-ის 191-ე მუხლი).

23. ამავე დროს, მოდავე მხარეთა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით, კანონმდებელი უშვებს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, ბუნებრივია, იმ პირობით, რომ მოსარჩელეს დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულების პრობლემა არ შეექმნება. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხემ მოითხოვა რა ყადაღის გაუქმება უძრავ და მოძრავ ქონებაზე და უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, კერძოდ, ყადაღის ნაცვლად გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის გამოყენება მხოლოდ უძრავ ქონებაზე (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი), შეამცირა სასამართლოს მიერ ყადაღის დადებით უზრუნველყოფილი ქონების ოდენობა.

24. სააპელაციო სასამართლომ, მოპასუხის განცხადების დაკმაყოფილებით შეცვალა უზრუნველყოფის სახე და ახალი უზრუნველყოფა დაადგინა მხოლოდ უძრავი ქონების მიმართ, ხოლო არამატერიალურ ქონებაზე უზრუნველყოფა ადრინდელი სახით კი არ დატოვა, არამედ გააუქმა, რითაც რეალურად შეამცირა საგარანტიო ქონების მოცულობა და ღირებულება.

25. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინების 10-11 პუნქტებში და იზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტებს, რომ თვით მოპასუხის მიერვე წარდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, ქონების შეფასებისას 10%-იანი ცდომილების დაშვების შემთხვევაში, უძრავი ნივთისა და უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულება თითქმის იდენტურია, ხოლო აუქციონზე მისი შესაძლო რეალიზაციის შემთხვევაში, აუქციონის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება (იხ. წინამდებარე განჩინების 12.6-12.10 ქვეპუნქტები).

26. სსსკ-ის 196-ე მუხლის მიზანი, მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით, მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება და მისი უსაფრთხოების დაცვაა. ამიტომ, რომ უზრუნველყოფის საშუალების შეცვლა მხარეთა პროცესუალური შესაძლებლობაა, რაც

სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს.

27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ არ იყო დასაბუთებული, თუ რა განსაკუთრებული ზიანი ადგებოდა განმცხადებელს უკვე არსებული უზრუნველყოფის ღონისძიებით, ან რა უარყოფითი შედეგებია მოსალოდნელი მომავალში ამ ღონისძიების არსებობით.

28. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის საჩივრის მოტივაციას, რომ მოპასუხის 2015 წლის 1 დეკემბრისა და 2016 წლის 27 აპრილის განცხადებებს შორის სხვაობა მხოლოდ მოთხოვნის შინაარსშია, რაც იმაში გამოიხატება, რომ პირველ შემთხვევაში, მოპასუხე ყადაღის ნაცვლად უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლას ითხოვდა პირველი სანარმოს 30%-იანი წილის 10%-ზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, უძრავ ნივთზე, დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობათა დასაბუთება იდენტურია.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლოს მსჯელობა, რომ 2015 წლის დეკემბერში წარდგენილ შუამდგომლობაში მოპასუხეს შესაბამისი დასაბუთება არ ჰქონდა წარდგენილი, რაც მისი უარყოფის საფუძველი გახდა, ხოლო იმავე დასაბუთების არარსებობის პირობებში, 2016 წლის აპრილში წარდგენილი, პრაქტიკულად იგივე შინაარსის შუამდგომლობა დააკმაყოფილა სასამართლომ.

30. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ მხოლოდ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის შეცვლით დანარჩენ ქონებაზე (სანარმოს წილებზე) გააუქმა კანონიერ ძალაში შესული განჩინებით არსებული ყადაღა, რისი პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი, სსსკ-ის 196-ე მუხლის ფარგლებში არ გააჩნდა.

31. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით, „მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა

გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინალმდგე მხარის კანონიერ ინტერესებს“ (იხ. სუსგ №ას-1165-1095-2015, 25.11.2015წ.; №ას-454-438-2016, 19.07.2016წ.).

32. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოებას და დაარწმუნებდა საკასაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის მიზანშეწონილობაში.

33. აღსანიშნავია, რომ შეცვლილ გარემოებებზე არ მიუთითებია და უზრუნველყოფის შეცვლის მიზანშეწონილობაზე არ უმსჯელია არც სააპელაციო სასამართლოს. მითითება იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული უძრავი ნივთის ღირებულება გარკვეულად აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, არაა საკმარისი უზრუნველყოფის შეცვლისა და მოსარჩელის ინტერესის გარანტირებულად უზრუნველყოფის დასაბუთების თვალსაზრისით, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როცა სააპელაციო სასამართლომ ერთხელ უკვე არ დააკმაყოფილა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და შეცვლის თაობაზე მოპასუხის პრაქტიკულად ანალოგიური შუამდგომლობა.

34. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ მოპასუხეს აქვს სსსკ-ის 196.3 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებით უზრუნველყოს თავისი ინტერესი.

35. ზემოხსენებული მოტივაციით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ, ასევე ამ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც მოსარჩელის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ზ-ის საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მაისის განჩინება და არ დაკმაყოფილდეს ვ. მ-ის განცხადება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-956-921-2016

2 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. მ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ან საწარმოს 39%-ის მფლობელი პარტნიორი) სარჩელი და, მის სასარგებლოდ, შპს „რ-ს“ – ს/კ 2.. (შემდეგში: მოპასუხე, საჩივრის ავტორი ან საწარმო) დაეკისრა, 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე, სესხის ზეპირი ხელშეკრულების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 623-ე, 625-ე მუხლები) საფუძველზე, გადაცემული თანხის – 643 163 (ექვსას ორმოცდასამი ათას ას სამოცდასამი) აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 436 558 (ოთხას ოცდათექვსმეტი ათას ხუთას ორმოცდათვრამეტი) აშშ დოლარი და სესხის პროცენტი – 205 625 (ორას ხუთი ათას ექვსას ოცდახუთი) აშშ დოლარი; საწარმოს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, ასევე, მიუღებელი შემოსავლის (სსკ-ის 411-ე მუხლი)

ასანაზღაურებლად სესხის ძირითადი თანხის – 436 558 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 39 290 (ოცდაცხრამეტი ათას ორას ოთხმოცდაათი) აშშ დოლარის გადახდა. მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად, ასევე, წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5 090.12 (ხუთი ათას ოთხმოცდაათი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის – 10 000 (ათი ათასი) ლარის ანაზღაურება.

2. საქალაქო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4 517.64 (ოთხი ათას ხუთასჩვიდმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული – 10 000 (ათი ათასი) ლარის გადახდა.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

4. სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე, მოსარჩელემ 2016 წლის 20 სექტემბერს წარადგინა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რომლითაც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა.

5. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ფაქტობრივ და სამართლებრივ წინაპირობებად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

5.1. საწარმოს 39%-ის მფლობელი პარტნიორია მოსარჩელე, საწარმოს სხვა პარტნიორთა მიერ არათუ თანხმობის მიღება, არამედ მისი ინფორმირებაც კი არ მომხდარა, რომ მოპასუხემ შპს „რთან“ 2016 წლის 15 იანვარს, გააფორმა საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდების ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულების 7.1 მუხლის თანახმად, „ქონების“ ნასყიდობის ფასია 7 000 000 (შვიდი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. მოსარჩელე დასაბუთებულ ვარაუდს გამოთქვამს, რომ მოპასუხის აღნიშნული ქმედება განხორციელებულია მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების თავიდან აცილების მიზნით, ვინაიდან 15.01.2016წ. ხელშეკრულებაში მითითებული უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისებით, საწარმომ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება, რაც შეუძლებელს გახდის, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას;

5.2. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, არამედ მოპასუხის ნებაზე. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული

ლი ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორცაა იძულებითი აღსრულება;

5.3. გადანყევტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტი სათვალის, თუკი არ იარსებებს მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალება, გადანყევტილება დარჩება აღუსრულებელი. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 191-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხე საწარმოს ფულად სახსრებს 2 305 362 (ორი მილიონ სამას ხუთი ათას სამას სამოცდაორი) ლარის ფარგლებში შემდეგ საბანკო ანგარიშებზე: „თ-ი“ – ბანკის კოდი: ..., ანგარიშის ნომერი: .../GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/EUR;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G-/EUR;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/GEL;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G-/EUR;

7. ამავე განჩინებით დადგინდა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება, რა მიზნითაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

8. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი არის 2 305 362 ლარის დაკისრება, ამგვარი სასარჩელო მოთხოვნის პირობებში კი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადანყევტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება.

9. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ამ განჩინების მე-5 პუნ-

ქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და, სსსკ-ის 191-ე მუხლზე მითითებით, იმჯგელა, თუ რატომ გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გადანყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოინვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული საპროცესო ნორმის მიზანია, გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა, ხოლო სასამართლოს დასარწმუნებლად, საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

10. საბანკო ანგარიშების დაყადალების თაობაზე სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ისე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მენარმე სუბიექტისა თუ ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადებით, შეიძლება ხელი შეეშალოს მოვალის, როგორც მენარმე სუბიექტისა თუ ამხანაგობის გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. ამდენად, იურიდიული პირის პირად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე, მენარმე სუბიექტისა თუ ამხანაგობის სამენარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად, მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ველარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით ველარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, ანგარიშზე ყადაღის დადება დაუშვებელია;

11. სასამართლოს მსჯელობით, მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მენარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, თუმცა, რაღა თქმა უნ-

და, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე; ამ გარემოებათა განალიზების შედეგად, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის საჩივარი და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა დაყადაღებულიყო მოპასუხის საბანკო ანგარიშები სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად – 2 305 362 ლარის ფარგლებში (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი; ასევე, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.09.2016წ. განჩინება).

12. სააპელაციო სასამართლოს 20.09.2016წ. განჩინებაზე საჩივარი (თანდართული დოკუმენტაციით) შეიტანა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება სსსკ-ის 194-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებისა და 197-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით.

13. მოპასუხემ საჩივარში მიუთითა:

13.1. მოსარჩელე 2012 წლის 30 მაისიდან არის სანარმოს 39% წილის მესაკუთრე, სანარმოს წილის შექენის შემდეგ, მან დაიწყო დასრულებელი პროცესები სანარმოსა და მის სხვა მესაკუთრეთა წინააღმდეგ სხვადასხვა მოთხოვნით, ერთ-ერთი მორიგი დავა, თანხის დაკისრების თაობაზე, ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია;

13.2. მოპასუხე წარმატებული და მომგებიანი სანარმო იყო, რომელიც 2006 წლიდან, ქ. რუსთავში, მისსავე კუთვნილ ქარხანაში აწარმოებდა სხვადასხვა ტიპის ფეროშენადნობ პროდუქციასა და ექსპორტს არაერთ ქვეყანაში. 2012 წლიდან მოსარჩელემ სანარმოსა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ წამოიწყო რამდენიმე სასამართლო პროცესი, გენერალურ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი, რამაც სანარმოს მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. სწორედ ზემოხსენებული მდგომარეობის გამო, ერთ-ერთმა დამფინანსებელმა – „თ-მა“ (შემდეგში: ბანკი) სარისკოდ ჩათვალა სანარმოს პროექტების დაფინანსება, რამაც, საბოლოოდ, სავალალო შედეგი გამოიწვია და 2012 წლიდან 2015-ის ჩათვლით, სანარმოს ზარალმა შეადგინა 20 799 000 (ოცი მილიონ შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი;

13.3. აღნიშნულ პირობებში სანარმო ვერ ახერხებდა დადგენილი გრაფიკით შეესრულებინა ბანკის წინაშე უკვე არსებული ვალდებულებები, რის გამოც, ამ უკანასკნელმა, არაერთხელ გააფრთხილა (20.10.2015, 17.11.2015წ.) მოპასუხე, რომ სიტუაციის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, გამოიყენებდა სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებული ქონების რეალიზების უფლებას სესხების დასაფარად. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სანარ-

მო იძულებული გახდა, 15.01.2016წ. მის საკუთრებაში არსებული ფეროშენადნობი ქარხანა, მათ შორის, მასთან დაკავშირებული ყველა მოძრავი, უძრავი ქონება და ლიცენზიები მიეყიდა შპს „რ“-თვის 7 000 000 (შვიდი მილიონი) აშშ დოლარად (აქტივების საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 8 279 000 ლარს ანუ 3 413 458 აშშ დოლარს). აღნიშნული თანხა სრულად იქნა მიმართული ბანკიდან აღებული სესხების დასაფარად. აღსანიშნავია ისიც, რომ რეალიზაცია მოხდა იმაზე ძვირად ვიდრე ეს შეაფასა დამოუკიდებელმა საშემფასებლო კომპანიამ – 6 094 700 (ექვსი მილიონ ოთხმოცდაათოთხმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარი. აღნიშნული ქმედება აისახა 2016 წლის 14 მარტს „პ-ის“ მიერ მომზადებულ აუდიტის დასკვნაში (შემდეგი: აუდიტის დასკვნა);

13.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელეს შეცდომაში შეჰყავს სასამართლო, როდესაც უთითებს, რომ გადაწყვეტილება საწარმოს აქტივების რეალიზაციის შესახებ მიღებულია მის 39% წილის მფლობელ პარტნიორთან შეთანხმების გარეშე, რომელიც, თითქოსდა, არ იყო ინფორმირებული და მას ეს ინფორმაცია მიენოდა 2016 წლის 31 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარებამდე, როდესაც ჩაიბარა 13.3. ქვეპუნქტში დასახელებული დასკვნა. აღნიშნული დასკვნის ინგლისური ვერსია მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა 2016 წლის 15 მარტს, ხოლო ქართული თარგმანი კი – 29 მარტს, ხოლო რაც შეეხება აქტივების გასხვისების საკითხს, იგი არ საჭიროებდა პარტნიორების თანხმობას და განხორციელებულია ყველა წესის დაცვით;

13.5. საჩივრის ავტორი იმასაც უთითებს, რომ 2012 წლის აგვისტოდან საწარმოს 39% წილის პარტნიორი პირადად არ ესწრება პარტნიორთა კრებებს, მის ნაცვლად მონაწილეობს წარმომადგენელი, რომელიც მხოლოდ აფიქსირებს კრებაზე გამოცხადებას და ტოვებს კრებას საკითხების განხილვამდე, ამის შემდეგ კი, ასაჩივრებს პარტნიორთა კრების ოქმს და, რა თქმა უნდა, აგებს სასამართლო დავას. სწორედ ასე მოიქცა მოსარჩელის წარმომადგენელი ბოლო პარტნიორთა კრების ჩატარებისას;

13.6. საწარმოს, 2016 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, დასაფარი აქვს ბანკის კრედიტი – 3 409 582.37 (სამი მილიონ ოთხას-ცხრა ათას ხუთას ოთხმოცდაორი აშშ დოლარი და ოცდაჩვიდმეტი ცენტრი) აშშ დოლარი, რის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკითა და გირავნობითაა დატვირთული მოპასუხის დარჩენილი ქონება სრულად;

13.7. საწარმოს საქმიანობა არ შეუწყვეტია, რაშიც მას ეხმარება წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და შესაბამის

ბაზრებზე მაღალი ცნობადობა. ამ პერიოდში კომპანიამ რეალიზაცია გაუყეთა 5 394 367 ლარის სილიკონმანგანუმს, 2 248 581 ლარის მანგანუმის კონცენტრატს, 6 043 487 ლარის კოქსს და 1 681 451 ლარზე მეტ სხვადასხვა ნედლეულს და, 2016 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით, სანარმომ პირველად მოახერხა მოგებაზე გასვლა. აღნიშნული პერიოდის ოპერატიულმა საოპერაციო მოგებამ შეადგინა 404 119 ლარი. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, ზემოხსენებულ პერიოდში, მოპასუხემ 1 700 000 ლარით შეამცირა კრედიტორული დავალიანება, რაც ადასტურებს მისი მენეჯმენტის უპირობო განზრახვას, გაისტუმროს ყველა ვალდებულება ისე, რომ სანარმოს ფუნქციონირებას არ შეექმნას საფრთხე;

13.8. რეალობას არ შეესაბამება მოსარჩელის ვარაუდი, რომ „ქონების გასხვისებით, სანარმომ ფაქტიურად შეწყვიტა ფუნქციონირება“. სანარმოს 39% წილის პარტნიორმა ჯერ კიდევ მარტში გაიგო სანარმოს გასხვისების შესახებ, თუმცა, რატომღაც სექტემბერში გადაწყვიტა, მიემართა სასამართლოსთვის და შეცდომაში შეეყვანა იგი, რამაც გამოიწვია სანარმოს ანგარიშების დაყადაღება;

13.9. სსსკ-ის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მაშინ ექნებოდა საფუძველი, თუ ის სათანადოდ დაასაბუთებდა ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განმცხადებელმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, ასევე, ვერც შუამდგომლობაში მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ აუცილებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და მის გარეშე შეუძლებელი გახდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;

13.10. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, გარდა მოთხოვნის საფუძვლიანობისა, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, თუ რა რისკები არსებობს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებითი აღსრულებისათვის დაბრკოლების შესაქმნელად;

13.11. მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა განესაზღვრა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ადეკვატურობა, აუცილებლობა და გადაუდებელი ხასიათი, რაც ორივე მხარის ინტერესების თანაზომიერი დაცვის პრინციპით უნდა განხორციელებულიყო; უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის გამოყენებისას, მისი დაცვის გარანტიები საკმაოდ არაეფექტურია, განმცხადებლის დაცვის მექანიზმებთან შედარებით.

სასამართლოს არ უნდა დაექმაცოფილებინა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყაღალა არ უნდა დაედო სანარმოს საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე. ფაქტობრივად, ამით სანარმოს საქმიანობა პარალიზებულია, რადგან სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფინანსური ოპერაციების ჩატარება, დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო თვიური სახელფასო ფონდი შეადგენს 32 250 (ოცდათორმეტი ათას ორასორმოცდაათი) ლარს. გარდა აღნიშნულისა, სანარმო ბანკში ყოველთვიურად ფარავს სესხს, საშუალოდ, 71 092 (სამოცდათერთმეტი ათას ოთხმოცდათორმეტი) ლარს, მას ასევე სხვადასხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აქვს; ზემოხსენებულ პირობებში კი, როცა ფაქტობრივად სრულად არის დაყაღალებული მოპასუხის საბანკო ანგარიშები და ფულადი სახსრები, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, იფუნქციონიროს, რაც თავისთავად სანარმოს დახურვის სანინდარია;

13.12. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინება ენინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-735-691-2012, 05.07.2012 წ.).

14. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო იმავე წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და, საქმის მასალებთან ერთად, გადმოგზავნა უზენაეს სასამართლოს.

15. სააპელაციო სასამართლომ 06.10.2016წ. განჩინებაში აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განპირობებული უნდა იყოს იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადანაცვლებების გამოტანის შესაძლებლობას. უფლების დროებითი შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

16. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ასაბუთებდა ამ განჩინებით.

ნების 5.1. ქვეპუნქტში მითითებული გარემოებით, რითაც საწარმომ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება;

17. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხესა და სხვა საწარმოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში (იხ. ამ განჩინების 5.1. ქვეპუნქტი) ქონება განმარტებულია შემდეგნაირად: „ქონება“ ნიშნავს მოპასუხის, როგორც საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის – ფეროშენადნობთა ქარხნის (რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობას, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება და საქმიანობის სახე არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე) ყველა აქტივს (ყველა მოძრავ და უძრავ ქონებას, მათ შორის, უძრავ ქონებას (შენობა-ნაგებობებს, მიწის ნაკვეთებს, მათ არსებით შემადგენელ ნაწილებს და საკუთვნილებს), ასევე, მოძრავ ქონებას, ტექნიკას, მონყობილობებს, ლიცენზიებსა და ნებართვებს), რომელიც გამყიდველს ეკუთვნის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის და/ან გადაცემის დღისათვის და რომელთა სრული ჩამონათვალიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ „ა“-ში.

18. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი იზიარებს პოზიციას, საბანკო ანგარიშების გამონაკლის და უკიდურეს შემთხვევებში დაყადლების თაობაზე, როდესაც აშკარაა, რომ აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება.

19. წინამდებარე განჩინების 10-11, მე-17 პუნქტებში განვითარებული მსჯელობის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის წარდგენის ეტაპზე, სწორედ საჩივრის ავტორს (მოპასუხეს) ეკისრებოდა ვალდებულება, ემტკიცებინა, რომ მას სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნია და რომ ანგარიშზე ყადაღის დადება მისი უფლებების დაუშვებელი ხელყოფაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე დატოვება, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ანგარიშის დაყადაღება მიზანშეწონილი არ არის, სამართლებრივ მოტივაციას მოკლებულია.

20. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა: იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საწარმომ გაასხვისა ქონება, ასეთ ვითარებაში დგება მენარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე, ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის 2 305

362 ლარის ფარგლებში, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უფლებების ჯეროვანი დაცვის მიზნით, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად, მოთხოვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო.

21. გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატურობაზე საჩივრის ავტორის მითითების პასუხად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს განუმარტა, რომ თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით, ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებით, საწარმოს ადგება ზიანი და აღნიშნული ზიანი მტკიცებულებით დასტურდება, ასეთ ვითარებაში, სსსკ შესაბამის საპროცესო-სამართლებრივ ბერკეტებს ითვალისწინებს, მათ შორისაა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლება და ა.შ. ამდენად, თუ საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, მოპასუხეს შეუძლია, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად, შესთავაზოს სასამართლოს სხვა საშუალება და მოითხოვოს ყადაღის შეცვლა სხვა, მისთვის მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით, რომელიც, ერთი მხრივ, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება და, მეორე მხრივ, მოსარჩელეს სასამართლო გადანაცვტილების აღსრულების რეალურ ბერკეტებს შეუქმნის, მაგ., უფლებრივად დაუტვირთავი ქონების შეთავაზება, თანხის დეპოზიტზე განთავსება და ა.შ..

22. მოსარჩელემ 2016 წლის 26 სექტემბერს ისევ მიმართა სააპელაციო სასამართლოს განცხადებით (თანდართული დოკუმენტაციით) და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა, ხოლო ამჯერად შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება:

22.1. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი (იხ. ამ განჩინების 6-7 პუნქტები) მოსარჩელემ ჩააბარა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, აღსრულების მიზნით, ხოლო ამავე წლის 23 სექტემბერს, ბიუროს მიმართა წერილით, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია, მოპასუხე საწარმოს დაყადაღებულ საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა თუ არა სააღსრულებო ფურცელში ნაშთად მითითებული თანხა. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე, მოსარჩელეს უარი ეთქვა, მოთხოვნილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამო;

22.2. მოპასუხე საწარმომ დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივი გაასხვისა და მის ბალანსზე არსებული ჰიდროელექტროსადგური, რომლის საბალანსო ღირებულება 14 709

000 ლარს შეადგენს, გადასცა შპს „რ-ს“ (შემდეგში: შვილობილი საწარმო). ამჯერადაც, დასახელებული გარემოებების შესახებ, ინფორმაცია არ ჰქონდა საწარმოს 39% მფლობელ პარტნიორს;

22.3. მოპასუხესა და საქართველოს მთავრობას შორის 2009 წლის 27 ივლისს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰოდროელექტროსადგურების კასკადის: „ლ-ი 1“, „ლ-ი 2“ და „ლ-ი 3“ პროექტების განსახორციელებლად. მოპასუხის 2012-13 წლების აუდირებული ანგარიშის შესაბამისად, 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით, „ლ-ი 2“ პროექტის განსახორციელებლად, საწარმომ 2010-12 წლებში გახარჯა 14 709 000 ლარი. აღნიშნული აქტივების სხვა საზოგადოებაზე გადატანის მიზნით, მოპასუხე საწარმომ შეიძინა წინამდებარე განჩინების 22.2. ქვეპუნქტში მითითებული შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100%, რის შემდეგაც მომზადდა ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომლის თანახმადაც, მოპასუხე საწარმომ, თითქოსდა სახსრების არქონის მოტივით, სახელმწიფოს დაუბრუნდა „ლ-ი 1“ და „ლ-ი 3“ პროექტები, ხოლო „ლ-ი 2“ პროექტი, შემდგომი განხორციელების მიზნით, გადასცა შვილობილ საწარმოს;

22.4. აღნიშნული მემორანდუმი მოიწონა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს მთავრობამ, ამ უკანასკნელის 29.01.2015წ. №83 განკარგულებით, იმავე წლის 3 თებერვალს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, ხოლო 30.06.2016წ. მემორანდუმში შეტანილი ცვლილებით, მშენებლობის დასრულების პერიოდად განისაზღვრა 2018 წლის სექტემბერი;

22.5. ყველა ზემოხსენებული გარემოება უცნობი იყო საწარმოს 39% წილის მფლობელი პარტნიორისათვის, ამასთან, საწარმო ყველა გაფორმებულ მემორანდუმში თუ ხელშეკრულებაში აფიქსირებს, რომ არც ერთი სასამართლო დავა საზოგადოების წინააღმდეგ არ მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც 2012 წლიდან დაწყებულია დავა საწარმოსთან სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ, საწარმოს დაეკისრა 700 000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის გადახდა;

22.6. მითითებული გარემოებები, მოსარჩელეს წარმოუქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ საწარმო აპირებს მიზერულ ფასად გაასხვისოს საკუთარი წილი შვილობილ საწარმოში, რაც შეუძლებელს გახდის, საწარმოს 39% მფლობელი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას;

22.7. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ საწარმოს აეკრძალოს შვილობილ სა-

წარმოში (ს/კ 4) სანქსდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება, დატვირთვა (დაგირავება); ასევე, აღნიშნული დავის დასრულებამდე, მოპასუხეს აეკრძალოს მის ბალანსზე არსებული შემდეგი უძრავი ქონების გასხვისება: 1) ამბროლაურის რაიონში, სოფელი ურავი; დაზუსტებული ფართობი 9 207 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, განაშენიანების ფართი 1 092 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 878.40 კვ.მ; ს/კ 8; 2) იმავე სოფელში დაზუსტებული ფართობი 13 037 კვ.მ; ს/კ 8; 3) იმავე სოფელში დაზუსტებული ფართობი 4 939 კვ.მ; ს/კ 8; 4) იმავე სოფელში არსებული მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ლ-ი 2“ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. 5) 18 კილომეტრი სიგრძის 110 კილოვატიანი გადამცემი ხაზი (რომელიც ჰიდროელექტროსადგურ „ლ-ი 2“-ს აკავშირებს ელექტროსისტემის ქსელთან). 6) მინის ნაკვეთები, რომელიც დაკავშირებულია გადამცემ ხაზთან: ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8; ს/კ 8 (თითოეული ნაკვეთის ფართობი შეადგენს 18 კვ.მ-ს).

23. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მოპასუხე საწარმოს აეკრძალა შეილობილი საწარმოს სანქსდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება და დატვირთვა (დაგირავება), ხოლო დავის დასრულებამდე, შეილობილი საწარმოს ბალანსზე არსებული უძრავი ქონების (იხ. ამ განჩინების 22.7 ქვეპუნქტი) გასხვისების აკრძალვის თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

24. სააპელაციო სასამართლომ 26.09.2016წ. განჩინებაში მიუთითა წინამდებარე განჩინების 22.3-22.6 ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებზე და, სსსკ-ის 191-ე მუხლის დანაწესზე დაყრდნობით, იმსჯელა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ, რათა დავის საგანი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი (მათ შორის კეთილსინდისიერი მესამე პირების მართლზომიერი ქმედებისაგან) ქმედებისაგან იყოს დაცული. უზრუნველყოფის ობიექტი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სხვა პირის მატერიალური და/ან არამატერიალური სიკეთე, როგორც ეს გამომდინარეობს სსსკ-ის 191-ე მუხლიდან, რომელიც 198-ე მუხლისაგან დამოუკიდებლად არ უნდა განიმარტოს.

25. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ მოსარჩელე, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვდა, უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის გავრცელებას ისეთი პირის ქონებაზე, რომელიც განსახილველი დავის მხარე არ იყო,

რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის დეფინიციას, რომ მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე შესაძლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

26. სააპელაციო სასამართლომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხე სანარმო შვილობილი სანარმოს 100% წილის მესაკუთრეა, გაიზიარა მოსარჩელის მოტივაცია, რომ თუკი სანარმო მიზერულ ფასად გაასხვისებდა მის საკუთრებაში არსებულ წილს შვილობილ სანარმოში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება. აქედან გამომდინარე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, მოპასუხეს უნდა აკრძალვოდა შვილობილი სანარმოს საწესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება და დატვირთვა (დაგირავება).

27. ამავე განჩინებით დადგინდა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება და გაიცა სააღსრულებო ფურცელი (იხ. 26.09.2016წ. განჩინება და სააღსრულებო ფურცელი).

28. სააპელაციო სასამართლოს 26.09.2016წ. განჩინებაზე საჩივარი (თანდართული დოკუმენტაციით) წარადგინა მოპასუხემ, რომელმაც იმავე გარემოებებზე მიუთითა, რაც წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტშია აღწერილი და დამატებით განმარტა:

28.1. შვილობილი სანარმო დაფუძნებულია 2010 წლიდან და მის 30% წილის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოპასუხე სანარმო. შვილობილი სანარმოს დაფუძნებიდან 5 თვეში მოპასუხემ შეიძინა დარჩენილი 70% წილიც და გახდა 100% წილის მესაკუთრე. მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხემ შვილობილი სანარმოს 100% წილი შეიძინა აქტივების გადატანის მიზნით, არ შეეფერება სიმართლეს და ამას ადასტურებს სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებიც, ამასთან, მოსარჩელე იმ პერიოდში არც კი იყო მოპასუხე სანარმოს პარტნიორი და არანაირი მოლოდინი არ არსებობდა, რომ სანარმოს შეექმნებოდა ფინანსური პრობლემები;

28.2. საქართველოს მთავრობასთან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე მემორანდუმი გაფორმებულია ჯერ კიდევ 2009 წელს (იხ. ამ განჩინების 22.3 ქვეპუნქტი). რაჭაში, მდინარე ლუხუნზე, მოპასუხეს შესრულებული ჰქონდა „ლ-ი 2“ პროექტის სამუშაოთა 40%, როდესაც საფინანსო ინსტიტუტებისაგან წამოვიდა მოთხოვნა, რომ ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო ფეროშენადნობი წარმოება და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამიტომ მოპასუხემ, 2015 წლის 20 აგვისტოს, მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის აქტივები, რომელთა ღირებულება შეადგენს 9 800 000 (ცხრა მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარს, შეიტანა შვილობილი სანარმოს კაპიტალში;

28.3. მოსარჩელემ, როგორც სანარმოს 39% წილის პარტნიორმა, 2012 წლიდან დაიწყო „ფართომასშტაბიანი რეიდერული კამპანია“, რამაც მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოიწვია, რადგან დამფინანსებელმა ბანკმა სარისკოდ ჩათვალა სანარმოს პროექტების დაფინანსება, რის დასტურადაც მოპასუხე საჩივარზე თანდართულ ბანკის წერილზე უთითებს. ამას დაერთო ბაზარზე არსებული კრიზისული ვითარება, რამაც ერთობლიობაში მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოპასუხე;

28.4. სანარმომ დაიწყო მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც შედგა შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან „ლ-ი 2“-ის პროექტზე (იხ. ამ განჩინების 22.3 ქვეპუნქტი);

28.5. მოპასუხე აწარმოებდა მოლაპარაკებას სს „ს-თან“ (შემდეგში: ფონდი), შედეგად, ეს უკანასკნელი თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს „ლ-ი 2“-ის მშენებლობაში და შვილობილი სანარმოს კაპიტალში შეიტანოს 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარი, რომლის შემდეგაც, კანონით დადგენილი წესით, ფონდი გახდება სანარმოს არაუმეტეს 49% წილის მფლობელი და მოპასუხეს 9 წლის განმავლობაში ექნება წილის გამოსყიდვის უფლება. მოპასუხემ ბანკი და საფინანსო ინსტიტუტი E... დაითანხმა, დამატებითი მიზნობრივი სესხის – 14 200 000 (თოთხმეტი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარის გაცემაზე ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად. მიმდინარეობს არაერთი მოლაპარაკება დასახელებული პროექტის განსახორციელებლად;

28.6. სანარმოს აღნიშნული აქტივობები არის მისი 39% წილის მესაკუთრის უკმაყოფილების მიზეზი, რომელსაც დასახული აქვს სანარმოს საქმიანობის შეჩერება და გაკოტრება, სწორედ ამას ისახავს მოსარჩელის მიმართვა სასამართლოსათვის და მოპასუხისათვის შვილობილი სანარმოს 100% წილის გასხვისების და დატვირთვის (დაგირავების) აკრძალვის მოთხოვნა. სასამართლომ სანარმოს საბანკო ანგარიშების დაყადაღების შემდეგ, 6 დღეში, შვილობილი სანარმოს 100% წილიც დააყადაღა. უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოუსწორებელი ზიანი ადგება, როგორც მოპასუხეს, ისე მის შვილობილ სანარმოს. დაგეგმილი პროექტების განუხორციელებლობა, გამოიწვევს ბანკის მიერ სანარმოსათვის მიზნობრივი კრედიტის გაუცემლობას, რასაც შედეგად მოჰყვება იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის საფრთხე სანარმოს სესხის დაფარვის მიზნით. შესაძლოა, ისეთ ფასად მოხდეს ქონების რეალიზაცია, რომ მხოლოდ სესხი დაიფაროს, რადგან მშენებარე პროექტის ღირებულების ძირითად ნაწილს შეადგენს განუხლები სამშენებლო სამუშაოები, რომელიც არ გამოირჩევა მაღალი ლიკვიდურობით და ღირებულია მხოლოდ მშენებლობის

დასრულების შემთხვევაში, მოპასუხე სანარმოსათვის მოსალოდნელი ზარალი არის 6 594 247.07 (9 860 247.07 – 3 266 000) აშშ დოლარი. ასევე, მოსალოდნელია უკვე გაფორმებული მემორანდუმისა და სხვა შეთანხმებების დარღვევის გამო, შესაბამისი ჯარიმების დაკისრებაც. საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ჯარიმების დარიცხვა თანხის დაფარვის გრაფიკის დარღვევის გამო, რასაც დაემატება სანარმოს ის მიუღებელი ყოველწლიური შემოსავალი, რომელიც შვილობილ სანარმოს უნდა მიეღო ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ;

28.7. მოპასუხემ საკუთარი განცხადების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ფაქტები ვერ ადასტურებენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას და იმ გარემოებას, რომ მის გარეშე, შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულება. სასამართლოს, გარდა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობისა, უნდა შეემონებინა, თუ რა რისკები არსებობს, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებითი აღსრულებისათვის. ამასთან, 20.09.2016წ. განჩინებით ერთხელ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით, როდესაც დაყადებულია სანარმოს ყველა საბანკო ანგარიში, რატომ გახდა საჭირო კიდევ დამატებითი ღონისძიების გამოყენება 26.09.2016წ. განჩინებით.

28.8. სანარმოს მიაჩნია, რომ 39% წილის პარტნიორის მიზანია არა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, არამედ მოპასუხისათვის, როგორც მენარმე სუბიექტისათვის, საქმიანობის ხელშეშლა;

28.9. მოპასუხე იმაზეც უთითებს, რომ მოსარჩელემ მეორედ ისე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომ სასამართლოსათვის არც კი შეუთავაზებია შესაბამისი გარანტია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით შესაძლო ზარალის საკომპენსაციოდ (სსსკ-ის 199-ე და 57-ე მუხლები), თავის მხრივ, არც სასამართლომ შეასრულა ვალდებულება, შეეხსენებინა მხარისათვის ამის შესახებ და მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უარი ეთქვა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს 20.09.2016წ. და 26.09.2016წ. განჩინებებით შეჩერებულია ორი სანარმოს (მოპასუხე და მისი შვილობილი) საქმიანობა;

28.10. გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომლის მიზანია, ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვა ნებისმიერი საპროცესო მოქმედების გან-

ხორციელების დროს. ასეთ ვითარებაში, მოპასუხის უფლებები უპირობოდაა შეზღუდული და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით დაცულია არა დავის საგანი, არამედ მთელი სიმკაცრითაა დასჯილი მოპასუხე. ეს უკანასკნელი ითხოვს 26.09.2016წ. განჩინების გაუქმებას.

29. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი და 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, საქმის მასალებთან ერთად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

30. საკასაციო სასამართლოში 2016 წლის 12 ოქტომბერს დარეგისტრირდა, სააპელაციო სასამართლოს ამავე წლის 20 და 26 სექტემბრის განჩინებებზე მოპასუხის მიერ შეტანილი საჩივრების უარყოფის გამო, იმავე წლის 6 ოქტომბრის განჩინებებით სააპელაციო სასამართლოდან ზემდგომ ინსტანციაში გადმოგზავნილი საქმე (2 ტომად).

31. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, 2016 წლის 21 ოქტომბერს, განცხადებით მომართა მოპასუხის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვა, იმ მოტივით, რომ საწარმო და მისი შვილობილი კომპანია გაკოტრების პირას არიან მისული.

32. მხარეებს 2016 წლის 24 ოქტომბერს ეცნობათ, საჩივრების განხილვის თარიღი – 2 ნოემბერი და საკასაციო პალატის კოლეგიური შემადგენლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინებების დასაბუთებულობის, მოპასუხის საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლა და ერთობლიობაში გაანალიზება, საშუალებას აძლევს გამოიტანოს დასკვნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებაზე წარდგენილი საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს ნაწილობრივ ამავე განჩინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, გამოყენებული ყადაღა. უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შენარჩუნებული უნდა იქნეს საწარმოს (მოპასუხის) საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე 700 000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ფარგლებში ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ საბანკო ანგარიშებზე; სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმებაზე წარდგენილი საჩივარი, ასევე, უნდა დაკმაყოფილდეს; საკასაციო სასამართლოს

მიერ მიღებული განჩინების არგუმენტაცია მოპასუხის ერთი საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ხოლო მეორის სრულად დაკმაყოფილების შესახებ ქვემოთ პუნქტებშია ასახული.

33. სსსკ-ის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავ კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

34. სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ამ ღონისძიების მართებულობის ფარგლებში დადგენილ რამდენიმე გარემოებაზე და შეაფასებს სააპელაციო სასამართლოს 20.09.2016წ. და 26.09.2016წ. განჩინებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფა.

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა, სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) და მოპასუხის საჩივრების სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მოსარჩელეს წარმატება მიღწეული აქვს ნაწილობრივ, მისი დაკმაყოფილებული მოთხოვნის სახით. სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის ანუ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების და სადავო ნაწილის – დაუკმაყოფილებელი სარჩელის უზრუნველყოფა მოსარჩელემ სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე მოითხოვა.

36. სსსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას მყარი რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. „აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმი-

ერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად“ – იხ. სუსგ №ას-1165-1095-2015, 25.11.2015წ.

37. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინების მსჯელობასა და დასკვნებზე და აღნიშნავს, რომ მენარმე სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს სასამართლო, რადგან იმთავითვე პრეზუმირებულია, რომ ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, სამენარმეო თავისუფლების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშების დაყადაღებისას, იზღუდება ისეთ ქმედებებში, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი ფუნქციონირებისათვის, (მაგალითისათვის, საკუთარ თანამშრომლებთან, სხვა კონტრაპუნტებთან არსებული ვალდებულებები და ა.შ.). საბანკო ანგარიშების დაყადაღებით, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ფულადი სახსრების განკარგვა, რაც მენარმეობის ხელისშემშლელი გარემოებაა.

38. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციაზე: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღწეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონინალმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ნორმის დებულება წარმოადგენს მოპასუხის ინტერესების დაცვას და მიმართულია იმისკენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში, სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხის უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიაღწეს ზიანი. აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექმნება ვარაუდი შე-

საძლო ზიანის დადგომაზე. ზიანის დადგომის აღბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება“ – სუსგ №ას-832-884-2011, 13.06.2011წ.

39. სამენარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებისას, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების დროს, სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც საქმის წარმოების ამ ეტაპზე მიმართა მოსარჩელემ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, 20.09.2016წ. განჩინებაში არ უმსჯელია იმავდროულად მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე (სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც უნდა მოეთხოვა პირისათვის, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაში ასეთი მსჯელობა და დასკვნები არაა ასახული. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დადგენილია სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, რომელმაც უნდა შეაფასოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობის საკითხი, ცხადია, ამ საპროცესო სამართლებრივი ეტაპის მიხედვით, არა საქმის არსებითი განხილვის, არამედ მოსარჩელის მოთხოვნის წარმატების შემთხვევაში, მისი აღსრულების შესაძლებლობის დაცვის ფარგლებში. სსსკ-ის 199-ე მუხლი თითქოსდა იმპერატიულად არ ადგენს სასამართლოს ამგვარ ვალდებულებას, მაგრამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს სასამართლოს მეტად სპეციფიკური დისკრეციული უფლებამოსილება, კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს იმპერატიულ ელემენტსაც, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, იმავდროულად უზრუნველყოფა მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. კანონმდებლის აღნიშნული ნება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილში ფორმულირებულია ზედმინევენითი სიზუსტით და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის გადაწყვეტას, ხოლო თუ ასეთი ღონისძიების გამოყენებას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, კანონ-

მდებელი „და“ კავშირებითი სიტყვით ვალდებულებას ადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ „იმავედროულად“ უნდა მოსთხოვოს მოსარჩელეს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა, როგორც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესის დამაბალანსებელი საპროცესო სამართლებრივი საშუალება. აღნიშნული დანაწესი ერთგვარ სამართლებრივ ნონასწორობას ადგენს, ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესის დაცვასა და, მეორე მხრივ, მოპასუხის შეზღუდულ უფლებას შორის.

40. საკასაციო სასამართლოს, ცხადია, არ გამორჩენია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომელიც ამ განჩინების 21-ე პუნქტშია ასახული, თუმცა, აღნიშნავს, რომ მითითებული მსჯელობა წინააღმდეგობრივია და არ გამომდინარეობს სსსკ-ის 199-ე მუხლის შინაარსიდან, რადგან დასახელებული ნორმით დადგენილი დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასების შემდეგ, თუკი, მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია ასეთი ღონისძიების გამოყენება, იმავედროულად, სასამართლო კონტროლის ფარგლებში, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით, იმსჯელოს შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფაზეც. საქართველოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სასამართლომ, დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს მის ხელთ არსებული ყველა საპროცესო-სამართლებრივი საშუალების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა სუსგ №ას-759-718-2015 (28.07.2015), სადაც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკისრა მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მოსარჩელეს ვადაც კი განუსაზღვრა სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განსათავსებლად, ხოლო აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება (სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

41. წინამდებარე განჩინების 39-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, როდესაც სამენარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშებისათვის ყადაღის დადება, მაღალი ალბათობით ქმნის პრეზუმფციას, რომ მოხდება მისი საქმიანობის პარალიზება, სასამართლო კონტროლის ფარგლებში, უზრუნველყოფის ღონისძიების თანმდევი,

მხარეთათვის თანაბარი რისკების გათვალისწინებით, სასამართლოებმა, რომლებიც გადაწყვეტენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, უნდა იმსჯელონ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების დამაბალანსებელი ბერკეტის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, მოპასუხის საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

42. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსაგან. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს არ მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნით, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ამ კონტექსტში განავითაროს მსჯელობა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, გამოეყენებინა სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით დადგენილი შესაძლებლობა, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი სწორედ ამ ეტაპზე იქნა განხილული.

43. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის 2016 წლის 20 სექტემბრის განცხადებით (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) პრაქტიკულად, მოთხოვნილია სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სსსკ-ის 271-ე მუხლი) და იმავდროულად, სარჩელის უარყოფილი ნაწილის (რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა) უზრუნველყოფა (სსსკ-ის 191-ე, 198-ე მუხლები).

44. „საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 271-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად... დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავედროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებ-

ლის ნება – უზრუნველყოფილი იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედევე გვევლინება“ (იხ. სუსგ №ას-69-63-2015, 19.03.2015).

45. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე დაკმაყოფილებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად შენარჩუნებული უნდა იქნეს ადეკვატური და პროპორციული უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც გამოიხატება საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის – 700 000 აშშ დოლარის ფარგლებში მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახით – ყადაღის შენარჩუნებით.

46. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის მიხედვით, მოპასუხეს აეკრძალა შვილობილი საწარმოს 100% წილის განკარგვა (გასხვისება, დატირთვა, დაგირავება), თუმცა, აღნიშნული ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებულობა არა-დამაჯერებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

46.1. მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს განმეორებით მიმართა განცხადებით (იხ. ამ განჩინების 22.1 ქვეპუნქტი) და ხელმეორედ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა შემდეგი სახით: საწარმოს აეკრძალოს შვილობილ საწარმოში (ს/კ 4) სანესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება, დატირთვა (დაგირავება); ასევე, აღნიშნული დავის დასრულებამდე, მოპასუხეს აეკრძალოს მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების გასხვისება (იხ. 22.7 ქვეპუნქტი). მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის გარე-

მოება, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი (იხ. ამ განჩინების 6-7 პუნქტები) მოსარჩელემ ჩააბარა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, აღსრულების მიზნით, ხოლო ამავე წლის 23 სექტემბერს, ბიუროს მიმართა წერილით და მოითხოვა ინფორმაცია, თუ რა თანხა ფიქსირდება და მოპასუხე სანარმოს დაყადაღებულ საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე, მოსარჩელეს უარი ეთქვა, მოთხოვნილი ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამო;

46.2. ამ განჩინების 22.3-22.4 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები, მოსარჩელეს აღუძრავს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოპასუხე აპირებს მიზერულ ფასად გაასხვისოს საკუთარი წილი შვილობილ სანარმოში, რაც შეუძლებელს გახდის, სანარმოს 39% მფლობელი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას;

47. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და 26.09.2016წ. განჩინებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა, მოპასუხე სანარმოს აეკრძალა შვილობილი სანარმოს სანესადგებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება და დატვირთვა (დაგირავება), იხ. ამ განჩინების 23-26 პუნქტები.

48. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომელიც წინამდებარე განჩინების 26-ე პუნქტშია მითითებული და აღნიშნავს, რომ მას არ გამოუკვლევია მოსარჩელის მიერ მეორედ წარდგენილი განცხადების დასაბუთებულობა, ისე დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, ამასთან, თავად მოსარჩელის მიერ 22.3-22.4 ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც დადასტურებულია მოპასუხის საჩივარში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებებით (იხ. ამ განჩინების 28.2, 28.4, 28.5 ქვეპუნქტები) მხოლოდ იმის ვარაუდის საფუძველს ქმნის, რომ მოპასუხე სანარმოს არაერთი ვალდებულება აქვს აღებული კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად და მოსარჩელის მოტივაცია, რომ თუკი სანარმო მიზერულ ფასად გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ წილს შვილობილ სანარმოში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ალოგიკურია, რადგან სანარმოს მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა დიდი ფინანსური რისკისა და კონკრეტული სანქციების დაკისრების წინაშე დააყენებს მოპასუხეს, ამდენად, მის მიერ შვილობილი სანარმოს გასხვისების ვარაუდი დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

49. „კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს, მართალია, მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი, ამასთან, მიუხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული, თავად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური. აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა კი სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოქმედებები პირდაპირ უკავშირდება რა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს და მხარეთა მატერიალურ უფლებებს, მასთან დაკავშირებული რისკი მომეტებულია, რის გამოც სასამართლოსგან საკითხის მაქსიმალურად სწრაფი და სწორი გადაწყვეტისთვის სპეციფიკური და განსაკუთრებული საკანონმდებლო დანაწესებია გათვალისწინებული“ – იხ. სუსგ №ას-1185-1114-2012, 13.11.2012წ., ასევე, იხ. სუსგ №ას-1227-1156-2012, 08.11.2012წ.

50. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვება რეალურ საფრთხეს წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირებისათვის, განსახორციელებელი პროექტებისათვის.

51. ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების შედეგად, საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და შედეგად, 700 000 აშშ დოლარის გარდა, სხვა ნაწილში უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება და მის საფუძველზე იმავე დღეს გაცემული სააღსრულებო ფურცელი საქმეზე №2ბ/4132-15, ასევე, გაუქმდეს, დასახელებულ განჩინების გაუქმების მოთხოვნით შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინება.

52. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის სა-

აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინება და მის საფუძველზე იმავე დღეს გაცემული საალსრულებო ფურცელი საქმეზე №2ბ/4132-15 უნდა გაუქმდეს, ასევე, უნდა გაუქმდეს დასახელებულ განჩინების გაუქმების მოთხოვნით შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „რ-ის“ საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დაყადაღდა შპს „რ-ის“ ფულადი სახსრები 2 305 362 ლარის ფარგლებში, გაუქმდეს ნაწილობრივ და

2.1. ამავე განჩინებით უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღა დარჩეს შპს „რ-ის“ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე 700 000 აშშ დოლარის ფარგლებში შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:

„თ-ი“ -ბანკის კოდი: ..., ანგარიშის ნომერი: G/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/EUR;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/GEL;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

ბანკი „რ-ა“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G/GEL;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G/USD;

„ვ“ ბანკი ანგარიშის ნომერი: G/EUR;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/GEL;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/USD;

„თ-ი“ ანგარიშის ნომერი: G/EUR;

2.2. დანარჩენ თანხაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებით დადებული, ყადაღა მოეხსნას შპს „რ-ის“ 2.1. პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს;

3. შპს „რ-ის“ საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს სრულად;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც შპს „რ-ს“ აეკრძალა შპს „რ-ში“ სანესდებო კაპიტალის 100 % წილის გასხვისება, დატვირთვა (დაგირავება) და ზ. მ-ის შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;

5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-914-876-2014

19 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ქირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების
ბათილად ცნობა, იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ა...მა“ (შემდეგში მოსარჩელემ) შპს „რ-ის“ (შემდეგში მოპასუხის) მიმართ და მოითხოვა ქირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარება.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით:

- მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
- გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
- სარჩელი დაკმაყოფილდა;
- ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2012 წლის 20 აპრილს გაფორმებული ქირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულება, 2012 წლის 24 აპრილის იპოთეკის ხელშეკრულება, 2013 წლის 20 აპრილის ქირავნობის ხელშეკრულება, 2006 წლის

1 მაისის, 2008 წლის 14 თებერვლის, 2009 წლის 29 სექტემბრისა და 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულებები;

– კანონიერად იქნა აღიარებული მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 1 ივლისის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება.

5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) 387-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონიშნულმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

6. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2014 წლის 24 აპრილს დანიშნულ სხდომაზე მონიშნულმდეგე მხარე (მოპასუხე) არ გამოცხადდა, რომელიც, მართალია, კანონით დადგენილი წესით მონვეული იყო საქმის განხილვაში, მაგრამ გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

7. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დამტკიცებულად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში და სარჩელში მითითებული შემდეგი გარემოებები:

– 2004 წლის 21 აპრილს მოსარჩელესა და შპს „რმკ-ს“ (ამჟამად, „რ-ი“) შორის დაიდო ხელშეკრულება „ერთობლივი საქმიანობის შესახებ“, რომელიც, შეუსრულებლობის გამო, ამ უკანასკნელმა 2004 წლის 6 აპრილის იჯარის ხელშეკრულებით შეცვალა. 2005 წლის 1 ივლისს კომბინატის გაკოტრების მმართველთან გაფორმდა გრძელვადიანი ხელშეკრულება 10 წლის ვადით, ამ ვადაში საიჯარო ქონების გამოსყიდვის უფლებით;

– ქარხანა სრულად ააშენა შპს „ა...მა“, ხოლო ტერიტორია, რომელზეც ქარხანა მდებარეობდა, სს „რმკ-ს“ საკუთრებას წარმოადგენდა;

– კომბინატის უფლებამონაცვლე მეიჯარემ – სს „რმკ-მ“ – ახალი პირობები წამოაყენა, რომლებიც 2005 წლის 1 ივლისის იჯარის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობდა. მეიჯარემ, როგორც ტერიტორიის მფლობელმა, მოსარჩელე აიძულა, ახალ, კაბალურ საიჯარო პირობებს დათანხმებოდა. იმის გამო, რომ მის კუთვნილ ტერიტორიაზე შპს „ა...ის“ სახსრებითა და ინვესტირებით აშენებულ-დამონტაჟებულ ქარხანაში მოხვედრა შეუძლებელი იყო მეიჯარის მეტალურგიული ქარხნის, საერთო გამშვები პუნქტისა და დაცვის

გავლის გარეშე, მეიჯარემ ძალადობრივი მეთოდებით (რაც გამოიხატა სამეწარმეო საქმიანობაში ხელშეშლის, საწარმომდე მისასვლელი გზის დაკეტვის, საწარმოს დალუქვის მუქარაში) აპელანტი აიძულა, ხელი მოეწერა მისი საქმიანობისათვის შეუთავსებელ ხელშეკრულებებზე, სადაც ქონების გამოსყიდვის უფლება აღარ ფიგურირებდა და საიჯარო თანხა გაზრდილი იყო. აპელანტმა სადავო ხელშეკრულებები გააფორმა მონინალმდეგე მხარის მუქარის, განხორციელებული ინვესტიციით შექმნილი ქონების, ასევე, სხვა მატერიალური აქტივების ფაქტობრივად ჩამორთმევისა და საწარმოს განადგურების რეალური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

8. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან დამტკიცებულად იქნა მიჩნეული მოპასუხის მხრიდან სადავო ხელშეკრულებების დადებისას მოსარჩელის მიმართ იძულება (მუქარა), ეს გარემოება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 50-ე, 52-ე, 85-ე-86-ე მუხლების საფუძველზე იურიდიულად ამართლებდა სარჩელის მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, არსებობდა სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

9. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ. საჩივრის საფუძველები:

- მოპასუხის წარმომადგენელი დროულად გამოცხადდა სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი ჰქონდა;

- მოპასუხეს არ მიეცა შესაძლებლობა, სხდომის ჩატარების დრო სასამართლოს ვებ-გვერდზე გადაემონებინა, რადგან მოცემული საქმე ჩამონათვალში შეტანილი არ იყო, გარდა ამისა, ცნობა სხდომის ჩატარების დროის შესახებ არც სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე არ იყო შეტანილი;

- სასამართლის თანაშემწეს მოპასუხისათვის არ განუმარტავს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ;

- სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე აპელანტს ეცნობა 2014 წლის 22 აპრილს, თუმცა 2 დღე არ იყო გონივრული ვადა სასამართლოში გამოცხადებისა და მომზადებისათვის;

- სასამართლო სხდომა გადადებული იყო მხარეთა მორიგების მიზნით, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეწონილი იყო;

- აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო, ამიტომ სასამართლოს სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოეტანა;

- აპელანტმა (მოსარჩელემ) მოთხოვნა გაზარდა, კერძოდ, მან

მოითხოვა 2011 წლის 1 ნოემბრისა და 2013 წლის 20 აპრილის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, რაც მანამდე არ განუცხადებია, შესაბამისად, სასამართლოს გაზრდილი მოთხოვნა არ უნდა დაეკმაყოფილებინა;

– სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო 2009 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულება, რომელიც საქმეში არ მოიპოვება. აპელანტმა სასამართლოს წარუდგინა 2013 წლის 22 ნოემბრის აუდიტორული დასკვნა, თუმცა მის მიღებაზე შუამდგომლობა არ დაუყენებია, ხსენებული დასკვნა არც მონინალმდევე მხარეს ჩაბარებია და არც სააპელაციო სასამართლოს უმსჯელია მითითებული მტკიცებულების მიღების საკითხზე, რაც სსსკ-ის 380-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევაა;

– მოპასუხემ მოსარჩელესთან გააგრძელა ის სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომელიც მას დახვდა საიჯარო ქონების შეძენის შემდეგ. ამ თვალსაზრისით, მხედველობაში იყო მისაღები 2011 წლის 1 ნოემბრის ხელშეკრულება. შესაბამისად, მოპასუხე ვერანაირად ვერ იქნებოდა მოსარჩელე ორგანიზაციის წინამორბედი კონტრაგენტების ქმედებებზე პასუხისმგებელი პირი (საუბარია აპელანტის მტკიცებაზე იძულების თაობაზე). ამასთან, გაურკვეველი იყო, შპს „რემკ-ის“ ვინაობა და, ასევე ის, თუ რა კავშირი ჰქონდა მას შპს „რ-თან“. ამდენად, იმ საიჯარო ხელშეკრულებების ბათილობის მოთხოვნის ნაწილში, რომლის მხარესაც მოპასუხე არ წარმოადგენდა, ეს უკანასკნელი პასუხს ვერ აგებდა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ, 2014 წლის 22 აპრილის სატელეფონო შეტყობინების აუდიო ჩანაწერით დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომის თარიღის და დროის თაობაზე შეტყობინება სასამართლოს მოხელემ მკაფიოდ და გარკვევით ჩამოაყალიბა. აღნიშნული გარემოება იმითაც დასტურდებოდა, რომ მოპასუხის წარმომადგენელს სატელეფონო შეტყობინების განხორციელებისას საწინააღმდეგოზე არ მიუთითებია, ანუ პრეტენზია, რომ მისთვის ცნობილი იყო სხდომის დაწყების სხვა დრო, კერძოდ 13:30 საათი, ჩანაწერის მიხედვით არ დგინდებოდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული გარემოებები დაუსაბუთებელს ხდიდა საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი სასამართლოში დროულად გამოცხადდა. ამასთან, საჩივრის ზეპირი განხილვისას, საჩივრის ავტორის სხდომის თაობაზე შეტყობინების ფაქტი სადავოდ აღარ გაუხდია.

12. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმასთან დაკავშირებითაც, რომ სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 70.2 მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ მას არ მისცა გონივრული ვადა სასამართლოში გამოცხადებისა და მომზადებისათვის, ასევე, არ განუმარტა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მუხლის შინაარსი მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა, კერძოდ, განსახილველ საქმეზე პირველი სხდომა გაიმართა 25.03.2014 წელს, თუმცა ამ სხდომაზე საქმის მოსმენა არ დაწყებულა (მხარეებს მორიგებისთვის მიეცათ დრო) და იგი გადაიდო 22.04.2014 წელს. აღნიშნულის თაობაზე მხარეებს ჩამოერთვათ ხელწერილი, შესაბამისად, ისინი ინფორმირებული იყვნენ გამოუცხადებლობის შედეგებზე და საკმარისი დროც ჰქონდათ მომზადებისა და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისათვის. 22.04.2014 წლის სხდომა გადაიდო 2 დღით 24.04.2014 წელს, რის შესახებაც მხარეებს, ასევე, დადგენილი წესით ეცნობათ.

13. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, მათი დადასტურებულად ცნობის შემთხვევაში, იურიდიულად ამართლებდნენ აპელანტის მოთხოვნას საჩივლის დაკმაყოფილების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არ შეისწავლა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ პროცესუალურ სანქციას პირის მიმართ, რომელიც განსაზღვრულ ვადაში არასათანადოდ ახორციელებს სასამართლო დავალებას. ასეთ დროს (ივარაუდება შესაგებლის შეუტანლობა ან მოპასუხის გამოუცხადებლობა), სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს სარჩელში მითითებული და დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო, სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ აფასებს ფაქტობრივ გარემოებებსა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

14. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივარში მითითებული გარემოება, რომ სასამართლო გასცდა საჩივლის მოთხოვნის ფარგლებს და იმჯელა სააპელაციო საჩივრით გაზრდილ მოთხოვნაზე. საქმეზე დადგინდა, რომ ყველა მოთხოვნა, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, მოსარჩელემ დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც დასტურდებოდა თავად რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების 1.4 პუნქტით, სადაც მითითებული იყო საჩივ-

ლის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, თუ პროცესუალურად რამდენად სწორად გაიზარდა მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას გამოსაკვლევი გარემოებების ნუსხას არ მიეკუთვნებოდა და გავლენას ვერ იქონიებდა სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხზე.

15. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა მოპასუხემ. საკასაციო საჩივარი ფაქტობრივად ეფუძნება იმავე გარემოებებს, რასაც მოპასუხის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ასევე, ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინალმდეგე მხარე (მოპასუხე), რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

19. სსსკ-ის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

20. ამდენად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

21. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, აღნიშნული ნორმის მიხედვით, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

22. ზემოხსენებულ ნორმაში აღწერილ შემთხვევათაგან ერთერთის არსებობისას, სასამართლო არაა უფლებამოსილი გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო, თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული, იგი უნდა გაუქმდეს.

23. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს სასამართლო სხდომაზე მისი მონვევისას კანონის დარღვევის შესახებ და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყო მონვეული საქმის განხილვაში. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუმომწმებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

24. სარჩელის აღძვრის წინაპირობები ჩამოთვლილია სსსკ-ის 186-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ იგი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის სა-

პატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით. სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი. ამდენად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაგრამ მოსარჩელეს არა აქვს მითითებული ასეთი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიიღოს, ხოლო, თუ შეცდომით მიიღო, განუხილველად უნდა დატოვოს იგი (სსსკ-ის 275-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი, კერძოდ, იგი მოითხოვს ქირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასა და იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარებას. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ 01.04.2013 წლის განჩინებაში სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნია, ასევე, სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესის მიუთითებლობა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ 27.05.2013 წლის განჩინებით ისე გააუქმა ზემოხსენებული განჩინება, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ეს საფუძველი არ შეუმონმებია.

25. სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძვრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს.

26. მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვილაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტი-

ლებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია, აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა (სუსგ 27.11.2015, საქმე №ას-148-138-2015).

27. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა.“ (სუსგ 10.11.2015, საქმე №ას-937-887-2015, აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით იხ., ასევე, სუს დიდი პალატის განჩინება, საქმე №ას-121-117-2016, 17.03.2016წ.).

28. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, ასევე, ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, სადაც აღნიშნულია, რომ „საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებათაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრუ-

ლება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40), ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“

29. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს მითითებული სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი და არც ისაა გარკვეული, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სააპელაციო სასამართლომ მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეწინააღმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები).

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც ამ გადაწყვეტილებების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

31. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

32. ზემოხსენებული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებასა და დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც, საქმის ხელახლა განხილვისას, უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა მოსარჩელის აღიარებითი სარჩელი, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, არ-

სებობს თუ არა სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

33. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკაცო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განანილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების
საფუძველი**

**ბანჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-849-799-2015

24 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, დო-
კუმენტაციის გაცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს-ის „ლ-ე“ (შემდეგში – მოპასუხე, საწარმო ან კასატორი) დამფუძნებელთაგან ერთ-ერთ პარტნიორია თ. ნ-ი (შემდეგში – მო-სარჩელე, მეორე პარტნიორი ან დასაქმებული).

2. მოსარჩელე, საწარმოს დაფუძნებიდან (1997 წლიდან) დღემ-დე, მუშაობს ადმინისტრატორად, რის სანაცვლოდაც, ხელფასის სახით, იღებს 500 ლარს.

3. დასაქმებულს 2014 წლის თებერვლიდან არ მიუღია კუთვნი-ლი ხელფასი, რის გამოც, იმავე წლის 14 მაისს განცხადებით მი-მართა საწარმოს დირექტორს და მოითხოვა ანაზღაურების გაცე-მა, რაც რეაგირების გარეშე დარჩა. დასაქმებულმა, ასევე, მოით-ხოვა საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული საბანკო ამონა-წერები, 2013 წლის 1 დეკემბრიდან განცხადებით მიმართვის დღემ-დე.

4. დასაქმებულმა, 2014 წლის 21 ივლისს, სარჩელი აღძრა სა-წარმოს წინააღმდეგ, მოითხოვა სახელფასო დავალიანების – 2750 ლარის გაცემა, ასევე, მისთვის საბანკო ამონაწერების გადაცემა.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარად-გინა და მიუთითა, რომ საწარმოსა და მოსარჩელეს შორის არ არსე-ბობდა შრომითი ურთიერთობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ დამფუძნებელი პარტნიორია საწარმოში და, ხელფასის სახით აღე-ბული თანხა, სინამდვილეში დივიდენდს წარმოადგენდა. ამონაწე-რების გადაცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე, საწარმომ გან-მარტა, რომ მოსარჩელეს არასოდეს შექმნია პრობლემა, გაცნო-ბოდა დოკუმენტაციას (იხ. შესაგებელი).

6. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 500 ლარის გადახდა, ასევე, საბანკო ამონაწერებისა და ბრუნვის უწყისების გადაცემა.

7. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ ყოველთვიურად 500 ლარის მიღება თითქოსდა დივიდენდს წარმოადგენდა, ვინაიდან, საქმეში არსებული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და სხვა შემოსავლების საანგარიშო საგადასახადო უწყისებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეზე, როგორც ადმინისტრატორზე, სწორედ ხელფასი გავიცემოდა, რაც 625 ლარს შეადგენს, ხოლო საშემოსავლო გადასახადის სახით 125 ლარის დაქვითვის შედეგად, ხელზე გასაცემი თანხა 500 ლარი იყო.

8. მოპასუხის პოზიციის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორად ყოფნა არ გამოიხატავდა მის დასაქმებას იმავე კომპანიაში, ხოლო, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის დადგენის კონტექსტში, შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო წესით არსებობასთან დაკავშირებით, რაზეც მოპასუხე აპელირებდა, სასამართლომ მიუთითა, რომ შრომითი ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით (საქართველოს შრომის კოდექსის, შემდეგში სშკ, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

9. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ მოსარჩელე, წლების განმავლობაში, სტაბილურად იღებდა ყოველთვიურად ერთი და იმავე თანხას, მაშინ, როდესაც დივიდენდის მისაღებად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საჭირო, და მისი გაცემა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებული („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი).

10. სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გავიცა სააღსრულებო ფურცელი.

11. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

12. დასაქმებულმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მისი სარჩელის უარყოფლი ნაწილის დაკმაყოფილება, იმ საფუძველით, რომ საწარმომ მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დასაქმებული არ დაუშვა შრომითი მოვალეობების შესასრულებლად და მისი სამუშაოდან მოცდენა საწარმოს მიზეზითაა გამოწვეული (იხ. სააპელაციო საჩივარი).

13. დამსაქმებელმა მოითხოვა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა იმ დასაბუთებით, რომ არასწორად იყო დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, თითქოს მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საწარმოსთან, მაშინ, როდესაც მას ხუთი ადმინისტრატორი ჰყავს და თითოეული მათგანი საწარმოს პარტნიორია (იხ. სააპელაციო საჩივარი).

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინა-აღმდეგის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დასაქმებულის სარჩელი და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი. საწარმოს, დასაქმებულის სასარგებლოდ, დაეკისრა 2250 ლარის გადახდა. საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

15. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოტივებზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას, 6 მარტის სხდომაზე, სააპელაციო სასამართლოში გამოცხადდა დასაქმებულის წარმომადგენელი, ხოლო საწარმოს დირექტორი და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ. საწარმოს წარმომადგენელმა 5 მარტს, წერილობითი შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში და მოითხოვა საქმის განხილვის გადადება იმ საფუძველზე, რომ იგი მონაწილეობდა საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი დავის განხილვაში, რის გამოც ვერ შეძლებდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაში მონაწილეობას.

16. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და მიიჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მოცემული საქმის განხილვა ერთხელ უკვე გადაიდო სწორედ საწარმოს წარმომადგენლის ინიციატივით იგივე მოტივით. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ სხდომაზე არ გამოცხადდა არც საწარმოს დირექტორი და უცნობი იყო მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

17. სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს წარმომადგენლის შუამდგომლობა ემსახურებოდა საქმის გაჭიანურებას და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 215-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობის დასაბუთებულად მისაჩნევად, მოპასუხემ ვერ მიუთითა კანონით განსაზღვრულ საპატიო მიზეზზე.

18. მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, მონინა-

აღმდგენის არასაკმაყოფილო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და დასაქმებულის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება (იხ. ამ განჩინების მე-12 პუნქტი).

19. სასამართლომ, სსსკ-ის 387-ე მუხლზე მითითებით, დამტკიცებულად მიიჩნია მოსარჩელის სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (იხ. მე-2, მე-3 და მე-12 პუნქტები) და აღნიშნა, რომ სსკ-ის 31-ე, 32-ე მუხლების საფუძველზე, დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, შესაბამისად, სსსკ-ის 230-ე მუხლზე დაყრდნობით, სახეზე იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური საფუძველი.

20. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის განჩინებით, ასევე, დაკმაყოფილდა მოსარჩელის კერძო საჩივარი, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი) და ამ ნაწილში დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, დასაქმებულის სასარგებლოდ, საწარმოსათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 21 ივლისამდე პერიოდის საზოგადოების საბანკო ამონაწერებისა და ბრუნვის უწყისების გადაცემის ნაწილშიც და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

21. საწარმომ, 2015 წლის 3 აპრილს, საჩივარი წარადგინა და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომ მოპასუხემ სხდომამდე წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა 6 მარტის სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობის მიზეზებზე, რომელიც უკავშირდებოდა საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოებას ერთ-ერთი საწარმოს გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც მოპასუხის წარმომადგენელი სამი სამენარმეო სუბიექტის ინტერესებს წარმოადგენდა. ამავსე საქმეზე უნდა არჩეულიყო კრედიტორთა კომიტეტი, რომლის წევრად მოპასუხის წარმომადგენლის კანდიდატურა იყო დასახელებული, რის გამოც იგი ვერ შეძლებდა სააპელაციო განხილვაში მონაწილეობას.

22. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით მოპასუხე საწარმოს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უტყველად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება. სასამარ-

თლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების მე-19 პუნქტში ასახულ გარემოებებზე და სსსკ-ის 387-ე, 230-ე, 70-ე-78-ე, 241-ე, 233-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, განმარტა: საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ საწარმოს წარმომადგენელს 2015 წლის 6 მარტს, 16 საათზე დანიშნული მთავარი სხდომის შესახებ, სატელეფონო შეტყობინებით, ეცნობა იმავე წლის 27 თებერვალს. 5 მარტს წარმომადგენელმა იშუამდგომლა სხდომის გადადება, ხოლო ვინაიდან მხარე არის იურიდიული პირი – შპს, რომელსაც სასამართლოში წარმოადგენს, როგორც ადვოკატი, ისე, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი, ეს უკანასკნელი კი წართული იყო სამართალწარმოების პროცესში, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას; ამასთან, საწარმოს დირექტორი, რომელიც, კანონის თანახმად, გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის დროის, თარიღისა და ადგილის შესახებ, არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის. ამდენად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, თუკი საწარმოს წარმომადგენელს (ადვოკატს) არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სხდომაზე, სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება მეორე წარმომადგენელს – დირექტორს ჰქონდა. სასამართლოში არ არის წარდგენილი რაიმე მტკიცებულება, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების, ისე, საჩივრის განხილვის ეტაპზე, რომელიც დაადასტურებდა საწარმოს დირექტორის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სხდომაზე საწარმოს ერთი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ საჩივარში მითითებული მოტივი, არ ცვლიდა მოპასუხის მეორე წარმომადგენლის (დირექტორის) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზს.

23. საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში არსებითად განსახილველად.

24. კასატორი აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს საწარმოს დირექტორის სხდომაზე გამოუცხადებლობის არასაპატიოობის შესახებ, რადგან დირექტორი შპს-ის კანონისმიერი წარმომადგენელია და იგი არ ყოფილა კონკრეტულ სამართალწარმოებაში წარმომადგენლობის განსახორციელებლად მიწვეული. ადვოკატი, წარმომადგენლის სტატუსით, მონაწილეობდა საქმეში და მას ევალუბოდა წარმომადგენლობის განსახორციელება. გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული მსჯელობით, შესაძლებელია, რომ მიუხედავად წარმომადგენ-

ლობისა, მხარე ვალდებულად იქნეს მიჩნეული, რომ თვითონვე დაესწროს ყველა პროცესს და უშუალოდ მონაწილეობდეს სამართალწარმოებაში, რაც დაუსაბუთებელია. კასატორი უთითებს, რომ ის წარმოადგენდა სანარმოს და არა მის დირექტორს და არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების 4.3. პუნქტში მითითებულ დასკვნას, სსსკ-ის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გაცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი“. წარმომადგენელს ჰქონდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ შეძლო სააპელაციო განხილვაში მონაწილეობა.

25. საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 27 აპრილის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის, საქმის მასალების შესწავლისა და მტკიცებულებათა გაანალიზების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიზანია, რომ კასატორმა დასაბუთებული შედავება წარმოადგინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

27. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია სასამართლოს სხდომაზე, როგორც სანარმოს დირექტორის, ისე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის ფაქტი, ხოლო შემდეგ თავად ამ ფაქტის საპატიოობა.

28. საქმის მასალების შესწავლისას, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე:

28.1. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით დასაქმებულისა და დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრების განხილვა მთავარ სხდომაზე დაინიშნა იმავე წლის 4 თებერვალს 11 საათზე, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს, მათ შორის, საწარმოს წარმომადგენელს – ადვოკატ ტ. ჩ-ს, რომელსაც სხდომის დანიშვნის შესახებ გზავნილი ჩაჰბარდა 2015 წლის 31 იანვარს.

28.2. ადვოკატმა 2015 წლის 3 თებერვალს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საქმის განმხილველ მოსამართლეს და სთხოვა იმავე წლის 4 თებერვალს დანიშნული სხდომის სხვა დროისათვის გადადება იმ დასაბუთებით, რომ 4 თებერვალს, 11 საათზე, საქალაქო სასამართლოში, ჯერ კიდევ გასულ წელს დანიშნულ სამოქალაქო საქმეზე უნდა მიეღო მონაწილეობა, რის დასტურადაც განცხადებას დაურთო შესაბამისი გზავნილი.

28.3. სასამართლომ 2015 წლის 4 თებერვლის სხდომაზე გამოაკვეყნა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება და, სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საპატიოდ ჩათვალა ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი (იხ. 28.2. ქვეპუნქტი), შესაბამისად, მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სხდომა გადაიდო იმავე წლის 2 მარტს, რაც 25 თებერვალს ეცნობა ადვოკატს, ხოლო 27 თებერვალს ადვოკატს ეცნობა, რომ, სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო, სხდომა 6 მარტისთვის გადაიდო.

28.4. ადვოკატმა 5 მარტს წარადგინა განცხადება და მოითხოვა სხდომის გადადება წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტში მითითებული საფუძვლით, ამასთან, განცხადებაში ადვოკატმა მარტისა და აპრილის თვის რამდენიმე კონკრეტული თარიღიც მიუთითა, რათა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს განესაზღვრა თარიღი და არ მომხდარიყო, სხვა საქმეებზე დანიშნულ სხდომებში ადვოკატის მონაწილეობის გამო, სხდომის დანიშვნის შეფერხება. ადვოკატმა 5 მარტის განცხადებას დაურთო საქალაქო სასამართლოში 6 მარტის 16 საათზე დანიშნული სხვა სხდომის შესახებ სასამართლო უწყება.

29. საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების 28-ე პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას (იხ. ამ განჩინების 16-17 პუნქტები), რომ წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის გაჭიანურებას ემსახურებოდა და არ არსებობდა საპატიო მი-

ზეზი სხდომის განხილვის გადასადებად.

30. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობაა და საამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას.

31. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 4 თებერვალს და 6 მარტს, მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადება ერთი და იგივე დასაბუთებით /ადვოკატის სხვა სხდომაში მონაწილეობა/ იყო მოთხოვნილი, თუმცა, 4 თებერვლის სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობა დააკმაყოფილა სასამართლომ, რადგან გადადების მიზეზი საპატიოდ მიიჩნია, ხოლო 6 მარტის სხდომის გადადების მოთხოვნით წარდგენილი განცხადება, თანდართული საწარმოს წარმომადგენლის სხვა სხდომაზე დაბარების სასამართლო გზავნილით, არასაპატიოდ და სასამართლო განხილვის გაჭიანურებად ჩათვალია. სააპელაციო სასამართლოს ამგვარ შვასებას არ ეთანხმება საკასაციო სასამართლო, რადგან 6 მარტის სხდომამდე, სასამართლომ სხდომის თარიღად 2 მარტი განსაზღვრა, თუმცა, მას თავადვე მოუწია სხდომის თარიღის შეცვლა, ობიექტური საფუძველით, ერთ-ერთი მოსამართლის ავადმყოფობის გამო, რასაც, ბუნებრივია, წინასწარ ვერც სასამართლო განჭვრეტდა და ვერც სამართალწარმოების მონაწილე რომელიმე მხარე. სააპელაციო სასამართლოს მიერ 6 მარტს, 16 საათზე განსაზღვრულ სხდომის დღეს, დაემთხვა საწარმოს წარმომადგენელი ადვოკატის მონაწილეობა იმავე დღესა და იმავე საათზე საქალაქო სასამართლოში, რაც უტყუარად დასტურდება ადვოკატის მიერ სხდომის წინა დღეს წარდგენილი 5 მარტის განცხადებითა და მასზე დართული სასამართლო გზავნილით (იხ. ამ განჩინების 28-ე პუნქტი). შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალწარმოების მონაწილე მხარის წარმომადგენელს ობიექტურად ვერ ექნებოდა საქმის განხილვის გაჭიანურების მიზანი, რადგან მისი სხვა სხდომაში მონაწილეობა დადასტურებულია შესატყვისი მტკიცებულებით, ხოლო 5 მარტის განცხადებაში, ადვოკატის მიერ მარტისა და აპრილის თვეებში მითითებული კონკრეტული თარიღები, უკვე დანიშნული სხვა სასამართლო სხდომების თაობაზე, იმას ადასტურებს, რომ წარმომადგენელმა წინასწარ მინაოდა უკვე დანიშნული სხდომების ზუსტი თარიღების შესახებ

ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოს, რათა მორიგი სხდომის თარიღის განსაზღვრისა და სასამართლო განრიგის დაგეგმვაში შეენყო ხელი.

32. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სპეციალური ნორმით გაუთვალისწინებელი ყველა სხვა შემთხვევის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ვინაიდან სააპელაციო სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს რაიმე დანაწესს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საკითხი სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ნორმებით უნდა შეფასდეს.

33. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, „დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის“. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, კერძოდ, „მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას“.

34. საქმის მასალებშია სააპელაციო სასამართლოს 6 მარტის სხდომის წინა დღეს – 5 მარტს წარდგენილი შუამდგომლობა (განცხადება) სხდომის გადადების შესახებ, რომელსაც ერთვის მოპასუხის წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების – სასამართლო უწყების დედანი (სსსკ-ის 105-ე მუხლი, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც უტყუარად ადასტურებს საწარმოს წარმომადგენელი ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, ამას, თავად სააპელაციო სასამართლოც აღნიშნავს გასაჩივრებული განჩინების 4.7. პუნქტის მე-10 აბზაცში (იხ. წინამდებარე განჩინების 22-ე პუნქტის ბოლო წინადადება).

35. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნას, საწარმოს დირექტორის,

როგორც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გამოუცხადებლობის არასაპატიოობაზე (იხ. ამ განჩინების 22-ე პუნქტი), ეთანხმება კასატორის პრეტენზიას (იხ. ამ განჩინების 24-ე პუნქტი) და თავად მხარის, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს დირექტორის გამოუცხადებლობის შესახებ განმარტავს, რომ არც ეს გარემოება არ წარმოადგენდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას, რადგან საწარმოს წარმომადგენელი არის იურიდიული პირის თანამდებობის პირი, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია და არაა ვალდებული, იმოქმედოს სამეწარმეო საზოგადოების სახელით, თანახმად სსკ-ის 93-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ხოლო მეორე ნაწილის შესაბამისად: „მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში“. განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს დირექტორი, მართალია, მონაწილეობდა სამართალწარმოებაში პირველი ინსტანციიდან მოყოლებული, თუმცა, სწორედ ამავე ეტაპიდან, საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენდა სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ადვოკატი (იხ. მაგ. სხდომის ოქმი), რომელსაც ჰქონდა 6 მარტის სხდომაზე გამოუცხადებლობის ობიექტური, საპატიო მიზეზი, რაც წინასწარ – 5 მარტს აცნობა სასამართლოს და შესაბამისი მტკიცებულება წარუდგინა, ამდენად, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე“ (იხ.სუსგ – №ას-1666-1654-2011, 08.12.2011წ.).

36. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთ-

ხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (*Mirigall Escolano and Others v. Spain*, 38366/97, §33, 2000, ECHR).

37. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის პრეტენზიები, რის გამოც აკმაყოფილებს განაცხადს და აუქმებს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებას.

38. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავ ენორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2015 წლის 6 მარტს დანიშნულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რაც მან სათანადოდ დაასაბუთა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმათა არასწორი განმარტებისა და წარდგენილი მტკიცებულების არასწორად შეფასების გამო, აპელანტს უსაფუძვლოდ უთხრა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

39. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. შპს „ლ-ეს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდელი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საქმისწარმოების შეჩერება

სასამართლოს მოვალეობა შეჩეროს საქმისწარმოება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-266-253-2016

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი
ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ მიმართ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2. 2013 წლის 29 იანვარს შპს „მ-ს“, სს „ს-სა“ და შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „კ-ს“ და შპს „ფ-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზე, შპს „მ-ი“ ახორციელებდა დამკვეთის საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (ფორდის მარკის ყვითელი ფერის მიკროავტობუსების) დაცვას ცოცხალი ძალით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

3. 2013 წლის მაისში აღნიშნულ დაცვის ობიექტზე შპს „მ-ის“ თანამშრომლებმა გამოავლინეს მიკროავტობუსების სათადარიგო საბურავების ქურდობის ფაქტი, რაზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. „დამკვეთების“ მიერ შპს „მ-ის“ მიმართ დამდგარი ზიანის შედეგად შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნის შემდეგ, 2013 წლის 23 მაისს მოსარჩელემ მოპასუხე სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ წარუდგინა წერილობითი პრეტენზია, შპს „მ-ის“ მიმართ გაცემული დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის №PI/C-1000016/13 პოლისის საფუძველზე, მიკროავტობუსებიდან სათადარიგო საბურავების ქურდობის შედეგად განცდილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

4. მოსარჩელის განმარტებით, მათ სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ 2013 წლის 18 სექტემბრის №GL559 წერილით ეცნობათ, რომ

დამკვეთებთან გაფორმებული №205042130.29 მომსახურების ხელშეკრულების 2013 წლის 29 იანვრის №1-2050042130.29-1 დამატებითი პირობების მე-2 მუხლის (მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები) 2.2 და 2.3 პუნქტების დარღვევის გამო მზღვეველმა უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, რაც გახდა სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2013 წლის 29 იანვარს გაფორმებული №205042130.29 მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მ-ს“ მატერიალური ფასეულობების დაცვის ვალდებულება ნაკისრი ჰქონდა სს „ს-თან“, შპს „თ-თან“, შპს „თ-თან“, შპს „ფ-თან“ და შპს „კ-თან“. აღნიშნული ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-1 არეგულირებდა შპს „მ-ის“ მიერ მატერიალური ფასეულობების დაცვის ქვეშ მიღების საკითხს. კერძოდ, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული დღისა გაეფორმებინათ მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც დეტალურად აღინერებოდა იმ მატერიალური ფასეულობების ჩამონათვალი და მდგომარეობა, რომელთა დაცვას ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფდა „მიმწოდებელი“. მიუხედავად ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტისა, მხარეთა შორის ასეთი მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

6. 2013 წლის 14 აგვისტოს სს „სადაზღვევო კომპანია ა-ისათვის“ შპს „მ-ისაგან“ მიღებული წერილის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ შპს „მ-ს“, სს „ს-ს“, შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის 2013 წლის 13 მაისს გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-2, რომლითაც მხარეებმა აღიარეს, რომ 2013 წლის 29 იანვრის ხელშეკრულების დამატებითი პირობების №1-205042130.29-1 მოთხოვნა დარღვეული იყო. კერძოდ, მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 13 მაისამდე არ იყო შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის უკვე ცნობილი იყო 2013 წლის 11 მაისს მომხდარი ფაქტის შესახებ, მხარეებმა შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მოსარჩელემ 2013 წლის 13 მაისს დაადასტურა, რომ 2013 წლის 20 იანვარს განხორციელდა 434 ერთეული დასაცავი მატერიალური ფასეულობის მიღება დასაცავად დამატებითი შეთანხმების დანართში მითითებული მდგომარეობით და არანაირი პრეტენზია დამკვეთის მიმართ არ გააჩნდა.

7. მოპასუხის განმარტებით, იმისათვის, რომ მზღვეველს წარმოეშვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება დადგენილი უნდა იყოს ზიანის ოდენობა, რომელიც დგინდება დაზღვე-

ვის პირობების შესაბამისად ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან მხარეთა შეთანხმებით. მოცემულ დავაში დაზღვევის ობიექტს წარმოადგენდა დამზღვევის ის მატერიალური ზიანი, რომელიც მას დაუდგება მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის შედეგად. არსებული მდგომარეობით მათთვის ასეთი ზიანი დამდგარი არ არის, რადგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ არის დადასტურებული თავად მოსარჩელის პასუხისმგებლობა და ამ პასუხისმგებლობის ფარგლები. შესაბამისად, მოპასუხის განცხადებით, გაუგებარია, რომელი დამდგარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ითხოვს მოსარჩელე მზღვეველისაგან სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.

8. მოპასუხის მითითებით, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და დასაადგენია სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 814-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მზღვეველმა თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო პირობების მიხედვით, სახეზე არ არის მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. მოპასუხის განცხადებით, მოსარჩელეს დამკვეთების მიერ აღურიცხავი სახით გადაეცა მატერიალური ფასეულობები, რომელმაც ასევე აღურიცხავი სახით მიიღო ეს ფასეულობები და არც თავად მიუღია ზომები მათი აღრიცხვისათვის. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ 2013 წლის 22 მაისს სს „სადაზღვევო კომპანია ა-ისათვის“ გაგზავნილ წერილში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 22 მაისის მდგომარეობით ჯერ კიდევ დაუდგენელია დანაკლისის ოდენობა, რადგან დამკვეთებს დღემდე არ განუხორციელებიათ აღრიცხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მიუხედავად მოსარჩელის თანამშრომლების მიერ სათადარიგო საბურავების არარსებობის აღმოჩენისა, ვერ დგინდებოდა, გააჩნდათ თუ არა დასაცავად გადაცემულ მიკროავტობუსებს მოსარჩელისათვის გადაცემის მომენტში აღნიშნული საბურავები.

11. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის 2013 წლის 11 მაისს ცნობილი იყო საბურავების არარსებობის შესახებ, მან მზღვეველისათვის ყოველგვარი შეტყობინებისა და წინასწარი შეთან-

ბმების გარეშე, 2013 წლის 13 მაისს დამკვეთებთან ხელი მოაწერა დამატებით შეთანხმებას, რომლითაც ცალსახად დაადასტურა, რომ მიკროავტობუსები, მათ შორის ისინიც, რომლებსაც 2013 წლის 11 მაისის მდგომარეობით არ აღმოაჩნდათ სათადარიგო საბურავები, 2013 წლის 20 იანვრის მდგომარეობით ჩაიბარა სათადარიგო საბურავების თანხლებით.

12. მოპასუხის აზრით, დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მოსარჩელემ უხეშად დაარღვია სს „სადაზღვევო კომპანია ა-თან“ გაფორმებული დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის №PI/C-10000/13 დაზღვევის პოლისის პირობების 4.3.1 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც „დაზღვეული წინამდებარე პოლისით ანაზღაურებად ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით არ აღიარებს გადახდის პასუხისმგებლობას ან არ გადაიხდის აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის რაიმე ხარჯებს, მზღვევლის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილია უხელმძღვანელოს და დაზღვეულის სახელით წარმართოს დაცვა და ნებისმიერი პრეტენზია“.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან უპირველეს ყოვლისა, არ იყო დადგენილი მოსარჩელის პასუხისმგებლობა. მისი პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევაშიც კი მოსარჩელის მხრიდან დაზღვევის ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის გამო შემთხვევა ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში და ამასთან, დაუდგენელია როგორც თავად ქურდობის ფაქტის არსებობა, ასევე ასეთი ფაქტის ხდომილების თარიღი და მიყენებული ზიანის ოდენობა.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ სარჩელი სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ მიმართ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

15. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „მ-მა“.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის სასამართლო სხდომაზე სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ წარმომადგენელმა იშუამდგომლა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სამივე პირის – სადაზღვევო კომპანია „ი-ლის“, სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ და სს „ს-ის“ უფლებამონაცვლედ ჩართვის თაობაზე. საოქმო განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 27 იანვრის განჩინებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.

18. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანყევებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

19. 2013 წლის 29 იანვარს სს „ს-ს“, შპს „მ-სა“ (მიმწოდებელი) და შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ (დამკვეთები) შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება №205042130.29. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, დ. მ., მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქარხანა „მ-სა“ და „ა-ს“ შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) განთავსებული დამკვეთის საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დაცვა, ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში, უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით.

20. 2013 წლის 29 იანვარს სს „ს-ს“, შპს „მ-ს“ და დამკვეთებს – შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-1.

21. დამატებითი პირობების 2.2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა იმ მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩამონათვალი და მდგომარეობა, რომელთა დაცვას ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფდა მიმწოდებელი. მიღება-ჩაბარების აქტი მატერიალური ფასეულობების მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციასთან ერთად თან ერთვოდა ხელშეკრულებას და წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს.

22. 2013 წლის 1 მარტს შპს „მ-სა“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ შორის გაფორმდა დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი №PI/C-1000016/13, რომლის თანახმად, დაზღვეულ საქმიანობას წარმოადგენდა დაცვითი საქმიანობა შპს „მ-სა“ და „კლიენტს“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად. დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის 4 მარტიდან 2014 წლის 3 მარტამდე.

23. დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების 4.3.1 პუნქტის შესაბამისად, დაზღვეული წინამდებარე პოლისით ანაზღაურებად ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით არ აღიარებს გადახდის პასუხისმგებლობას ან არ გადაიხდის აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის რაიმე ხარჯებს

მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილია უხელმძღვანელოს და დაზღვეულის სახელით წარმართოს დაცვა და ნებისმიერი პრეტენზია. ამავე პირობების 3.8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზღვევა არ ფარავს ზიანს, რომელიც დადგება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით.

24. დაზღვევის პირობების 3.9 „ა“ პუნქტის მიხედვით, არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც წარმოიშვა ისეთი ფაქტის, სიტუაციის, გარემოების, პროფესიული შეცდომის შედეგად, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს გაცნობიერებული ჰქონდა დაზღვეულს და დაზარალებული ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, რომ ისინი გამოიწვევდნენ პრეტენზიებს ან ბრალდებებს მის წინააღმდეგ, ან რომელიც იფარება წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არსებული სადაზღვევო ხელშეკრულებებით.

25. 2013 წლის 13 მაისს სს „ს-ს“, შპს „მ-სა“ და დამკვეთებს: შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ მოხერხდა №205042130.29-1 დამატებითი შეთანხმების 2.2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, მხარეები ადასტურებდნენ, რომ დამკვეთებმა 2013 წლის 20 იანვარს (შემდგომში – გადაცემის თარიღი) გადასცეს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელმა მიიღო წინამდებარე დანართზე თანდართული დოკუმენტაციით (შემდგომში – დოკუმენტაცია) განსაზღვრული მატერიალური ფასეულობები, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა გადაცემის თარიღისათვის, ასევე განსაზღვრულია დოკუმენტაციით, რაზედაც მხარეებს არ გააჩნდათ არანაირი პრეტენზია ერთმანეთის მიმართ.

26. დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების 4.3.1 პუნქტის შესაბამისად, დაზღვეული წინამდებარე პოლისით ანაზღაურებად ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით არ აღიარებს გადახდის პასუხისმგებლობას ან არ გადაიხდის აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის რაიმე ხარჯებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილია უხელმძღვანელოს და დაზღვეულის სახელით წარმართოს დაცვა და ნებისმიერი პრეტენზია.

27. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „მ-ს“ სადაზღვევო კომპანიისთვის არ უცნობებია 2013 წლის 13 მაისის №1-205042130.29-2 ხელშეკრულების დამატები-

თი პირობების გაფორმების თაობაზე და შესაბამისად, არც სადაზღვევო კომპანიას გაუცია თანხმობა.

28. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ 2013 წლის 13 მაისის №1-205042130.29-2 ხელშეკრულების დამატებითი პირობების გაფორმებით მოსარჩელემ დაარღვია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ, მოსარჩელისათვის 2013 წლის 11 მაისს ცნობილი იყო საბურავების ადგილზე არარსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ მზღვეველისათვის ყოველგვარი შეტყობინებისა და წინასწარი შეთანხმების გარეშე, 2013 წლის 13 მაისს დამკვეთებთან ხელი მოაწერა დამატებით შეთანხმებას და შპს „მ-მა“ სადაზღვევო კომპანიას წაართვა შესაძლებლობა გაეკონტროლებინა და დაერეგულირებინა მოსარჩელის ბრალეულობის საკითხი კონკრეტული ფაქტის წარმოშობისას, რადგან ამ ტიპის დაზღვევის ხელშეკრულების მიზანი სწორედ იმ პასუხისმგებლობის დაზღვევაა, რაც მზღვეველს წარმოეშობა მესამე პირთა წინაშე.

29. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2013 წლის 22 მაისს შპს „მ-მა“ სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ წერილობით შეატყობინა, რომ 2013 წლის 11 მაისს დაცვის ობიექტზე, სადაც განლაგებულია სს „ს-ის“, შპს „თ-ის“, შპს „თ-ის“, შპს „ფ-ისა“ და შპს „კ-ის“ საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები (ყვითელი მიკროავტობუსები), დაფიქსირდა ქურდობის ფაქტი, კერძოდ, მოპარულია სატრანსპორტო საშუალებების 100-ზე მეტი სათადარიგო საბურავი. ზარალის ზუსტი ოდენობა დაუდგენელია, ვინაიდან დამკვეთს დღემდე მიკროავტობუსების აღწერა არ ჩაუტარებია. აღნიშნული წერილი მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას ჩაბარდა 2013 წლის 23 მაისს.

30. 2013 წლის 14 ივნისს სს „ს-ს“, მიმწოდებელს შპს „მ-სა“ და დამკვეთებს – შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-3, რომლითაც მხარეები ადასტურებენ, რომ 2013 წლის 31 მაისის მდგომარეობით ხელშეკრულებაში მითითებული მატერიალური ფასეულობების ჩამონათვალი და მდგომარეობა განისაზღვრება წინამდებარე დანართზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

31. პალატამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილების 2013 წლის 12 ივლისის ცნობის შესაბამისად დაადგინა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პირველ განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №002130513005 საქმეზე, ბ. ქუჩაზე მდებარე ავტოსადგომ-

ზე განთავსებული შპს „თ-ის“, შპს „თ-ის“, შპს „ფ-ისა“ და შპს „კ-ის“ კუთვნილი ფორდის მარკის ავტომანქანებიდან 93 სათადარიგო საბურავის ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

32. სასამართლომ უდავო გარემოებად მიიჩნია ის ფაქტიც, რომ 2013 წლის 29 იანვრის მომსახურების ხელშეკრულების № 1-205042130.29-1 დამატებითი პირობების 2.2 პუნქტის მოთხოვნები დაცული არ ყოფილა და მხარეებს არ გაუფორმებიათ მიღება-ჩაბარების აქტი დასაცავი მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩამონათვალისა და მდგომარეობის შესახებ.

33. პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი იყო სწორედ ის უტყუარი მტკიცებულება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა შპს „მ-ის“ პასუხისმგებლობის ფარგლებისა და მოცულობის დადგენა დამკვეთთა წინაშე, რაც შემდეგ უკვე განსაზღვრავდა სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობის მოცულობას დამდგარ ზიანთან დაკავშირებით. საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიმწოდებელმა და დამკვეთებმა დაარღვიეს 2013 წლის 29 იანვრის მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები. კერძოდ, მხოლოდ ქურდობის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, 2013 წლის 13 მაისს და 2013 წლის 14 ივნისს გააფორმეს მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები და მოახდინეს დასაცავად გადაცემული მიკროავტობუსების დეტალური აღწერა. შესაბამისად, 2013 წლის 11 მაისს, როდესაც მოსარჩელის თანამშრომლებისათვის ცნობილი გახდა ზოგიერთ მიკროავტობუსზე სათადარიგო საბურავების არარსებობა, რეალურად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა დაცვის ობიექტზე განთავსებულ მიკროავტობუსებს სათადარიგო საბურავები მათი მოსარჩელისათვის დასაცავად გადაცემის მომენტისათვის. მატერიალური ფასეულობა დამკვეთებმა აღურიცხავი სახით გადასცეს მიმწოდებელს, რომელმაც ასევე აღურიცხავი სახით მიიღო ისინი. აღნიშნულს ადასტურებს შპს „მ-ის“ 2013 წლის 22 მაისის წერილი სს „სადაზღვევო კომპანია ა-ისადმი“, რომელშიც მითითებულია 2013 წლის 11 მაისს დაცვის ობიექტზე დაფიქსირებული ქურდობის ფაქტის შესახებ და ასევე იმის თაობაზე, რომ ზარალის ზუსტი ოდენობა დაუდგენელია, ვინაიდან დამკვეთს დღემდე მიკროავტობუსების აღწერა არ ჩაუტარებია.

34. პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად გაამხვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელეს არ მიუმართავს დამკვეთებისათვის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მოთხოვნით, რათა ზუსტად აღრიცხულიყო მისი პასუხის-

მგებლობის ქვეშ არსებული მატერიალური ფასეულობები. აპელანტს, როგორც დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ გაუფრთხილებლობა შეიძლება გამხდარიყო მისთვის პრეტენზიის წაყენების საფუძველი მომსახურების ხელშეკრულების 2.2. მუხლის, ასევე დაზღვევის პირობების 3.8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე პირობების 3.9 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად. ამასთან, როგორც გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში აღნიშნული, საქმეში არ არის წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც ზუსტად დადგინდებოდა ქურდობის ფაქტის არსებობა, ხდომილების თარიღი და მიყენებული ზიანის ოდენობა. ასევე არ დასტურდება საბურავების დაკარგვის კონკრეტული თარიღი, რასაც მნიშვნელობა აქვს, რადგან სადაზღვევო კომპანია ფარავს კონკრეტულ პერიოდში მომხდარ შემთხვევას.

35. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-317-ე, 799-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი იყო შპს „მ-სა“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ შორის 2013 წლის 1 მარტს გაფორმებული პროფესიული პასუხისმგებლობის ხელშეკრულება.

36. სამოქალაქო კოდექსის 839-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.

37. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 29 იანვრის მომსახურების ხელშეკრულების №1-205042130.29-1 დამატებითი პირობების 2.2 მუხლის მოთხოვნები დაცული არ ყოფილა და მხარეებს არ გაუფორმებიათ მიღება-ჩაბარების აქტი დასაცავი მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩამონათვალისა და მდგომარეობის შესახებ. სანაცვლოდ, შპს „მ-სა“ 2013 წლის 13 მაისს გაფორმებული №205042130.29-2 ხელშეკრულების დამატებითი პირობებით იკისრა პასუხისმგებლობა ყველა იმ მატერიალური ფასეულობის დაკარგვაზე, რაც მას სავარაუდოდ გადაეცა 2013 წლის 29 იანვრის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად. ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემული ქონების ზუსტი ჩამონათვალისა და მდგომარეობის აღწერა განხორციელდა მხოლოდ 2013 წლის 14 ივნისს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, ანუ 2013 წლის 11 მაისის მდგომარეობით არ იყო განსაზღვრული მიმწოდებლისათვის გადაცემული იმ მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩა-

მონათვალის და მდგომარეობა, რომლის დაცვის ვალდებულება ცხელშეკრულების საფუძველზე ეკისრებოდა მიმწოდებელს.

38. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინა, რომ 2013 წლის 13 მაისს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობის გაფორმებით მოსარჩელემ დაარღვია დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის №PC/I-1000016/13 პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის პირობების 4.3.1 პუნქტი, რომლის შესაბამისად, დაზღვეულის ვალდებულებას წარმოადგენდა პოლისით ანაზღაურებად ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით არ ელიარებინა გადახდის პასუხისმგებლობა ან არ გადაეხადა აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის რაიმე ხარჯები მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილი იყო ეხელმძღვანელა და დაზღვეულის სახელით წარემართა დაცვა და ნებისმიერი პრეტენზია.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ შპს „მ-ის“ ქმედებით სადაზღვევო კომპანიას არ მიეცა დამდგარი შემთხვევის შესწავლის საშუალება, რაც, ხელშეკრულების შესაბამისად, არა მხოლოდ მისი კანონიერი უფლება იყო, არამედ გამოიმდინარეობდა კიდევ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტური მიზნიდან, რადგან დაზღვეულისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობა სწორედ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს. პალატის მოსაზრებით, ვინაიდან დადგინდა, რომ შპს „მ-მა“ არ შეასრულა სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ არსებობდა სადაზღვევო კომპანიისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

40. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „მ-მა“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში შემდეგი დასაბუთებით:

41. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას განსაზღვრავს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგინილი და რომელი დაუდგენელი. ამასთან, ყოველი მტკიცებულება შინაარსობრივად უნდა იქნას გამოკვლეული, უნდა შეფასდეს საქმეზე მოცემული ფაქტების ერთობლიობით და შეჯერებით. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს არ უმსჯელია აღწერის მასალებზე, როგორც მტკიცებულების წარმოშობის წყაროზე, რა გარემოებებში, რით იყო განპირობებული მოწმის ჩვენების სანდოობა, საკმარისობა, გასაზიარებელია თუ არა მისი ახსნა-განმარ-

ტება. მტკიცებულებების შინაარსის შესწავლისას უნდა შეფასდეს მტკიცებულების იურიდიული ძალა, ხოლო მოწმის ჩვენების დროს გასათვალისწინებელია მისი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, დამაჯერებლობა, ლოგიკურობა. სასამართლოსთვის ცნობილი იყო მოწმის კვალიფიკაციის და იმ გარემოების შესახებ, რომ იგი ადრე მუშაობდა უშიშროების მინისტრის მოადგილედ. შესაბამისად, სასამართლოს არ უმსჯელია მის მიერ შედგენილი მასალების შინაარსზე, გარეგნული მხარე იმთავითვე განსაზღვრული იყო და ამ შემთხვევაში დასადგენი იყო, რას გვამცნობდა მოწმის მიერ შედგენილი საბუთი, ხომ არ იყო იგი გადამლილი, ჩასწორებული ან რაიმე ჩამატებული მისი შინაარსის შეცვლის მიზნით. მართალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში სასამართლო თავისუფალია და იგი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, თუმცა შინაგანი რწმენა არის მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგი.

42. 2013 წლის 19 იანვრის დაცვით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მ-მა“ აიღო ვალდებულება შპს „თ-ის“, შპს „თ-ის“ შპს „თ-ის“ და შპს „ფ-ის“ მფლობელობაში მყოფი მიკროავტობუსების დაცვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 2013 წლის 20-21 იანვარს ორივე მხარის მიერ პარალელურ რეჟიმში განხორციელდა მიკროავტობუსების შემოღინება-აღწერის მასალების მომზადება დასაცავ ავტოსადგომზე განსათავსებლად.

43. 2013 წლის 29 იანვარს გაფორმდა მრავალმხრივი ხელშეკრულება ერთი მხრივ, დაცვის სამსახურსა და, მეორე მხრივ, ს.ს „ს-სა“ და ზემოაღნიშნულ ოთხ დამკვეთს შორის, რომელთაც გააჩნდათ „ს-ის“ დავალიანებები. ხელშეკრულების დამატებითი პირობების შესაბამისად, უნდა შემდგარიყო მიღება-ჩაბარების აქტი ხელნაწერი სახით, ხოლო 5 დღის განმავლობაში მომზადებულიყო ხელნაწერი მასალების საფუძველზე კომპიუტერული ვერსია. 2013 წლის 20-21 იანვრისათვის უკვე მომზადებული იყო ხელნაწერი აღწერის მასალები, თუმცა მისი კომპიუტერული ვერსიის მომზადება, კასატორის განცხადებით, ვერ მოხერხდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

44. 2013 წლის 1 მარტს შპს „მ-სა“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ს“ შორის დაიდო სადაზღვევო ხელშეკრულება, რის შესაბამისადაც გაიცა დაცვის სამსახურის პროფესიული დაზღვევის პოლისი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 3 მარტამდე.

45. ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა დაცვის სამსახურის თანამშრომლების მიერ მორიგი ცვლის გადაბარებისას 2014 წლის 11 მა-

ისს. აღნიშნულის თაობაზე სადაზღვევო კონპანიას ეცნობა დაუ-
ყონებლივ, ცხელ საზზე და შსს ორგანოებს, სადაც დღემდე მიმ-
დინარეობს გამოძიება 93 მიკროავტობუსის სათადარიგო საბურა-
ვის ქურდობის ფაქტზე.

46. 2013 წლის 13 მაისს მიწოდებული იქნა პირველადი მიკროავ-
ტობუსების აღწერის მასალები 2013 წლის 20-21 იანვრის მდგომა-
რებით. ხოლო, ზარალის დადგენის მიზნით, მიკროავტობუსების
აღწერა განხორციელდა მხოლოდ 2013 წლის 14 ივნისს. ამდენად,
კასატორის აზრით, მას არ დაურღვევია პროფესიული პასუხის-
მგებლობის დაზღვევის პირობები.

47. სასამართლო მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთო-
ბის დაწყების თარიღად უთითებს 2013 წლის 29 იანვარს, მაგრამ
საქმეზე წარმოდგენილია და მოწინააღმდეგე მხარესაც სახელშეკ-
რულებო ურთიერთობის წარმოშობისთანავე მიეწოდა დაცვის სამ-
სახურისაგან შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის დამკვეთე-
ბის ჩამონათვალი, საიდანაც ირკვევა, რომ შპს „მ-სა“ და „დამკვე-
თებს“ შორის სახელშეკრულებო და ფაქტობრივი ურთიერთობა და-
იწყო 2013 წლის 20-21 იანვარს, ხოლო ხელშეკრულება მომსახუ-
რებაზე გაფორმებულია 19 იანვარს. აღნიშნული მდგომარეობა ასა-
ხულია სადაზღვევო პოლისშიც, მაგრამ რატომღაც სასამართლო
არ შეეხო ამ საკითხს.

48. რაც შეეხება 2013 წლის 14 ივნისის აღწერის მასალებს, კა-
სატორის განმარტებით, ამ დროს რეალურად განისაზღვრა დანაკ-
ლისი, ანუ დაფიქსირდა ქურდობის შედეგად განცდილი ზარალი,
თუმცა არც დაცვის სამსახურმა და არც მისმა დამკვეთებმა არ
იციოდნენ ზარალის რეალური ოდენობის შესახებ, ვინაიდან ამ დროს
ზარალის დადგენის მიზნით აღწერა არ განხორციელებულა. რაც
შეეხება ხდომილების ფაქტს, აღნიშნული მოხდა სადაზღვევო მოქ-
მედების პერიოდში და შემთხვევის მიმართ მოქმედებს მოცემუ-
ლობის პრეზუმფცია, სანამ სანინააღმდეგო არ დამტკიცდება. საქ-
მეზე კი წარმოდგენილია აუდიტის დასკვნა ზარალის მოცულობას-
თან დაკავშირებით.

49. 2016 წლის 8 აპრილს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატას განცხადებით მომართა კასატორის, შპს „მ-ის“
დირექტორმა და მოითხოვა სამოქალაქო საქმე №2/6513-16 საქ-
მის გადაწყვეტამდე მოცემული საქმის წარმოების შეჩერება.

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2016 წლის 18 აპრილის განჩინებით შპს „მ-ის“ საკასა-
ციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

51. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საქმისწარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის განხილვის, აგრეთვე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „მ-ის“ შუამდგომლობა საქმისწარმოების შეჩერების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

52. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

53. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ამრიგად, საქმისწარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმისწარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება.

54. საკასაციო საჩივრის ავტორი საქმისწარმოების შეჩერების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/6513-16 შპს „თ-ის“, შპს „თ-ის“, შპს „კ-ის“, შპს „ფ-ის“ სარჩელთან დაკავშირებით, სადაც მოპასუხე მხარეა შპს „მ-ი“ (მესამე პირები: სს „ს-ი“ და სს „სადაზღვევო კომპანია ა-ის“ შესაბამისი უფლებამონაცვლები), ხოლო დავის საგანია მომსახურების ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

55. კასატორს მიაჩნია, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტა შეუძლებელია ზემოაღნიშნული საქმის გადაწყვეტამდე და არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, რასაც სასამართლო არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

56. მართალია, საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ არსებობს კავშირი წინამდებარე დავასა და სამოქალაქო საქმე №2/6513-16

შორის, მაგრამ სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საქმე №2/6513-16-ზე დამდგარი შედეგი გავლენას ვერ მოახდენს წინამდებარე დავაზე, რადგან:

57. წინამდებარე დავაში მოპასუხეთა მიერ მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის მთავარ საფუძვლად მითითებულია მოსარჩელის მხრიდან სს „სადაზღვევო კომპანია ა-თან“ გაფორმებული დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის №PI/C-10000/13 დაზღვევის პოლისის პირობების 4.3.1 პუნქტის მოთხოვნის დარღვევა, რომლის მიხედვითაც, „დაზღვეული წინამდებარე პოლისით ანაზღაურებად ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით არ აღიარებს გადახდის პასუხისმგებლობას ან არ გადაიხდის აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის რაიმე ხარჯებს, მზღვევლის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც უფლებამოსილია უხელძღვანელოს და დაზღვეულის სახელით წარმართოს დაცვა და ნებისმიერი პრეტენზია“.

58. მოპასუხე მიუთითებს, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს, ხოლო, მეორე მხრივ, შპს „თ-ს“, შპს „თ-ს“, შპს „ფ-სა“ და შპს „კ-ს“ (დამკვეთები) შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება №205042130.29 და ამ ხელშეკრულების დამატებითი პირობები №1-205042130.29-1, რომლის 2.2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა იმ მატერიალური ფასეულობების ზუსტი ჩამონათვალი და მდგომარეობა, რომელთა დაცვას, ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყოფდა მიმწოდებელი.

59. მიღება-ჩაბარების აქტი იყო სწორედ ის უტყუარი მტკიცებულება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა შპს „მ-ის“ პასუხისმგებლობის ფარგლებისა და მოცულობის დადგენა დამკვეთთა წინაშე, რაც შემდეგ უკვე განსაზღვრავდა სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობის მოცულობას დამდგან ზიანთან დაკავშირებით. მოპასუხის განცხადებით, მიმწოდებელმა და დამკვეთებმა დაარღვიეს 2013 წლის 29 იანვრის მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები. კერძოდ, მხოლოდ ქურდობის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, 2013 წლის 13 მაისს და 2013 წლის 14 ივნისს გააფორმეს მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი პირობები და მოახდინეს დასაცავად გადაცემული მიკროავტობუსების დეტალური აღწერა. შესაბამისად, 2013 წლის 11 მაისს, როდესაც მოსარჩელის თანამშრომლებისათვის ცნობილი გახდა ზოგიერთ მიკროავტობუსზე სათადარიგო საბურავების არარსებობა, რეალურად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა დაცვის ობიექტზე განთავსებულ მიკროავტობუსებს სათადარიგო საბურავები მათი

მოსარჩელისათვის დასაცავად გადაცემის მომენტისათვის. მატერიალური ფასეულობა დამკვეთებმა აღურიცხავი სახით გადასცეს მიმწოდებელს, რომელმაც ასევე აღურიცხავი სახით მიიღო ისინი.

60. მოპასუხის განმარტებით, შპს „მ-ის“ ქმედებით სადაზღვევო კომპანიას არ მიეცა დამდგარი შემთხვევის შესწავლის საშუალება, რაც, ხელშეკრულების შესაბამისად, არა მხოლოდ მისი კანონიერი უფლება იყო, არამედ გამომდინარეობდა კიდევ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტური მიზნიდან. შესაბამისად, ვინაიდან შპს „მ-მა“ არ შეასრულა სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ არსებობდა სადაზღვევო კომპანიისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

61. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შემონმების საგანია, რამდენად მართებულად არ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ ხელნაწერი აღწერის მასალები მიღება-ჩაბარების აქტის ძალის მქონე დოკუმენტად და რამდენად სწორად დაადგინა მხარეთა შორის 2014 წლის 11 მაისის შემთხვევამდე აქტის არარსებობის ფაქტი, ასევე, რამდენად სწორად დაადგინა მოსარჩელის მხრიდან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობების 4.3.1 პუნქტის დარღვევა.

62. სამოქალაქო საქმე №2/6513-16-ში დავის საგანია მოსარჩელებს – შპს „თ-ს“, შპს „კ-ს“, შპს „თ-სა“ და შპს „ფ-ს“ და მოპასუხე შპს „მ-ს“ შორის მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდება შპს „მ-ის“ მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, აღნიშნულს მნიშვნელობა არ ექნება მოცემულ საქმეში იმის შემონმებისათვის, დაარღვია თუ არა მან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები და, შესაბამისად, მართებულად უთხრა თუ არა უარი სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

63. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი დამოუკიდებელი დავა სხვადასხვა საფუძველებით და მათ შორის არ იკვეთება ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. კასატორის მიერ მითითებული სამოქალაქო საქმის განხილვის შედეგად საქმეზე გამოტანილი გადანყევტილება პირდაპირ გავლენას ვერ მოახდენს განსახილველი საქმის შედეგზე. შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

64. რაც შეეხება შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნას დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

65. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არა-ქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სასამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

66. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

67. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

68. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

69. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სასამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

70. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო

არ არის უფლებამოსილი დაუშვას შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

71. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 475 ლარის 70% – 332.5 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „მ-ის“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერებაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო;

2. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

3. კასატორ შპს „მ-ს“ (ს/კ:) დაუბრუნდეს ნ. მ-ის (პ/ნ:) მიერ 2016 წლის 6 აპრილს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 475 ლარის 70% – 332,5 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სააკველაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-945-883-2017

13 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,

დავის საგანი: უკანონო გადაწყვეტილებების გაუქმება და ზი-
ანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „გ.“-მა (შემდეგში – ექსპედიტორი, მოსარჩელე, შეგებე-
ბული სარჩელით მოპასუხე, პირველი კასატორი), როგორც ექსპე-
დიტორმა (რომლის საქმიანობას სარკინიგზო ვაგონებით ოპერი-
რება და მათი მეშვეობით ტვირთის გადაზიდვა წარმოადგენდა),
2012 წლის 26 დეკემბერს ხელშეკრულება გააფორმა სს „ს-ასთან“
(შემდეგში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, აპე-
ლანტი, მეორე კასატორი).

1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2022
წლამდე და საქართველოს რკინიგზაზე მოსარჩელის სასარგებლოდ
ყოველწლიურად 8000 ტონა ტვირთის გადატანას ითვალისწინებ-
და (იხ. ხელშეკრულება).

2. მოსარჩელე ტვირთების გადაზიდვას სს „ყ-ის“ (შემდეგში –
ოპერატორი) კუთვნილი ვაგონებით აწარმოებდა.

2.1. მოსარჩელესა და ოპერატორს შორის სამართალურთიერ-
თობის საფუძველს წარმოადგენდა 2013 წლის 6 თებერვლის №06-
02/1 და №06-02/2 ხელშეკრულება სატრანსპორტო ექსპედიციისა
და ვაგონების ოპერირების მომსახურების განვეის შესახებ; აგრეთ-
ვე, 2014 წლის 10 იანვრის №10-01/3 ხელშეკრულება სატვირთო
ვაგონების მიმდინარე ანახსნითი რემონტის ორგანიზების შესახებ
(იხ. ხელშეკრულებები);

3. მოპასუხემ 2014 წლის სექტემბერ-ნოემბერში, განცხადებით
მიმართა დსთ-ის (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრო-

ბის) სარკინიგზო ადმინისტრაციების დირექციის საბჭოს, როგორც რკინიგზის ტრანსპორტის კოორდინაციულ ორგანოს და ცარიელი საკუთარი/არენდირებული (ნაქირავები) ვაგონების (ნახევარვაგონი, დახურული) მის ტერიტორიაზე მიღებისა და ტრანზიტის შესახებ კონვენციური აკრძალვის გამოცხადება მოითხოვა

3.1. აღნიშნული მოთხოვნა დსთ-ის სარკინიგზო ადმინისტრაციების დირექციის საბჭომ დააკმაყოფილა და 2014 წლის 22 სექტემბრიდან გამოაცხადა კონვენციური აკრძალვა ს-ის მიერ ცარიელი საკუთარი და არენდირებული ნახევარვაგონების მიღებაზე და მათ ტრანზიტით გატარებაზე.

4. ზემოხსენებული აკრძალვიდან გამომდინარე, მოპასუხემ უარი განუცხადა მოსარჩელეს გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე; ასევე, უარი უთხრა ახალი გადაზიდვის შესახებ განაცხადის დაკმაყოფილებაზე და მის საფუძველზე ზედნადების (ტრანსპორტირების ხელშეკრულების) გამოწერაზე.

5. სარჩელის საფუძვლები

5.1. ექსპედიტორმა 2014 წლის 17 ნოემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება, გაეუქმებინა გამოცხადებული კონვენციური აკრძალვა და გაეგრძელებინა მოსარჩელის ოპერირების ქვეშ არსებული ვაგონების შეუფერხებელი მომსახურება (იხ. განცხადება).

5.1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განჩინებით განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა. ამასთან, მოსარჩელეს დაევალა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის მიზნით, 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი განეთავსებინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 191-ე, 192-ე, 199-ე მუხლები). მოსარჩელემ დავალემა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულა (იხ. განჩინება, სააღსრულებო ფურცელი და დეპოზიტზე თანხის განთავსების მტკიცებულება).

5.2. მოსარჩელემ 2014 წლის 28 ნოემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

5.2.1. წინამდებარე განჩინების 3.1 ქვეპუნქტში მითითებული კონვენციური აკრძალვის გაუქმება;

5.2.2. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის, ზიანის ანაზღაურების სახით, 19 518 (ცხრამეტი ათას ხუთას თვრამეტი) აშშ

დოლარის დაკისრება;

5.2.3. მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის 180 216 (ას ოთხმოცი ათას ორას თექვსმეტი) აშშ დოლარის დაკისრება.

5.3. მოსარჩელემ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა:

5.3.1. მოსარჩელე მოპასუხის მეშვეობით უზრუნველყოფდა საქართველოში შემოსული და ოპერატორის საკუთრებაში არსებული ვაგონების სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებას, დატვირთვას და სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნას. საქმიანობის დაწყებიდან მოსარჩელემ ათასობით ვაგონი დატვირთა და გაგზავნა. ამ საქმიანობის განსახორციელებლად ექსპედიტორი სარკინიგზო-სამართლებრივ ურთიერთობაში შედიოდა მოპასუხესთან. მოულოდნელად მოპასუხემ, სსკ-ის 319-ე მუხლის დარღვევით, უარი განუცხადა მოსარჩელეს სარკინიგზო გადაზიდვით სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე და გადაზიდვის ახალი განაცხადის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული მიზეზის გასარკვევად მოსარჩელემ შეკითხვით მიმართა მოპასუხეს, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან დაახლოებით 3 თვის განმავლობაში არავითარი პასუხი არ მიუღია. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენით განხილვის წინა დღეებში, მოსარჩელეს ეცნობა, რომ მოპასუხემ გამოიყენა ე.წ. „კონვენციური აკრძალვა“ (იხ. ამ განჩინების 3.1 ქვეპუნქტი). ამ დროისათვის ერთადერთი, რისი მოპოვებაც შეძლო მოსარჩელემ, რკინიგზის შიდა ელექტრონული პროგრამიდან ამოღებული წერილი იყო, რომლითაც მოპასუხე სანარმოს ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი (არახელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე) ავალდებულებდა რკინიგზის სადგურებს, არ მომსახურებოდნენ კერძო ვაგონებს. მოსარჩელის განმარტებით, დასახელებული ქმედება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მას, მოპასუხე ვალდებული იყო, გაენია შესაბამისი მომსახურება მის მიერვე დადგენილი სატარიფო პოლიტიკის ფარგლებში;

5.4. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის გამო, მოსარჩელე იძულებული გახდა, რომ უარი ეთქვა მისი ოპერირების ქვეშ არსებული, ყაზახეთიდან აზერბაიჯანში შესული ვაგონების საქართველოში წამოსვლაზე და უკან გააგზავნა ისინი, რისთვისაც გადაიხადა 19 518 აშშ დოლარი;

5.4.1. ასევე, ცარიელი ვაგონების დასატვირთად მიწოდების შეუძლებლობის გამო, მოსარჩელემ განიცადა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით – 180 216 აშშ დოლარი.

5.4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელეს დაე-

ვალა 35 000 ლარის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება, რის გამოც მოუწია საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება და 35 000 ლარის სესხის სახით მიღება, რომელზეც ყოველწლიურად პროცენტის სახით უნდა გადაიხადოს 3675 ლარი, რის ანაზღაურებასაც, ასევე, ითხოვს მოსარჩელე (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

6. მოპასუხის შესაგებელი და მოსარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა

6.1. მოპასუხემ არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ კონვენციური აკრძალვა გამოაცხადა სარკინიგზო ადმინისტრაციების დირექციათა საბჭომ, რომელმაც „სხვა ქვეყნების კუთვნილი სატვირთო ვაგონების ექსპლუატაციის, ნომრული აღრიცხვისა და გამოყენების შესახებ წესების“ 1.18 პუნქტის შესაბამისად, განიხილა მოპასუხის თხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება კონვენციური აკრძალვის გამოცხადების შესახებ. მოპასუხემ მიუთითა, რომ იგი გადაზიდვის მომსახურებას ეწევა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის გათვალისწინებით, მოთხოვნა მომსახურების მიწოდების დავალდებულებაზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და ვერ იმოქმედებდა სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომელიც კერძო სამართლის სუბიექტს მისი საქმიანობის სფეროში ხელშეკრულების დადების ვალდებულებას უწესებს;

6.1.1. მოსარჩელე ვერ უთითებდა, თუ რომელი კანონის რომელი ნორმა დაარღვია მოპასუხემ და კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, შესაბამისად, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ასევე, უსაფუძვლო იყო სსკ-ის 411-ე მუხლზე მითითებით მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა, რომელიც ის ქონებრივი დანაკლისია, რომელიც განიცადა მოთხოვნის მქონე სუბიექტმა უკვე არსებული ვალდებულების საფუძველზე. არავითარი სამართლებრივი ნორმა არ ავალდებულებდა მოპასუხეს, რომ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისას სავალდებულო წესით გაეთვალისწინებინა კლიენტების ბიზნეს და კომერციული ინტერესები (იხ. შესაგებელი).

6.2. მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი წარადგინა და მის სასარგებლოდ მოითხოვა შეგებებული სარჩელით მოპასუხეს დაკისრებოდა 583 547 (ხუთას ოთხმოცდასამი ათას ხუთას ორმოცდაშვიდი შვეიცარული ფრანკის ეკვივალენტი ლარის (1 430 390 ლარი – ერთი მილიონ ოთხას ოცდაათი ათას სამას ოთხმოცდაათი) ზიანის ანაზღაურება;

6.2.1. შეგებებულმა მოსარჩელემ განმარტა, რომ 2014 წლის 18

ნოემბრის განჩინებით (იხ. ამ განჩინების 5.1.1 ქვეპუნქტი), სასამართლომ იგი დაავალდებულა, რომ უზრუნველყო მოსარჩელის შეუფერხებელი მომსახურება, კერძოდ, მოსარჩელის ოპერირების ქვეშ მყოფი ტექნიკურად გამართული ვაგონების შეუფერხებელი მიღება, გადაადგილება/გადაზიდვა, დასატვირთად მიწოდება და გაგზავნა, როგორც დატვირთულ, ასევე ცარიელ მდგომარეობაში. სასამართლოს განჩინების აღსრულების მიზნით მოპასუხემ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს დირექციას და კონვენციური აკრძალვის გაუქმება მოთხოვა, რაც, საბჭოს 29.12.2014 წლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. შეგებებული მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განჩინების არარსებობის პირობებში, თავიდან იქნებოდა აცილებული სავაგონო პარკის გადატვირთულობით განპირობებული დამატებითი საექსპლუატაციო/სამანევრო სამუშაოები და აღნიშნულით გამონეწეული ხარჯი. ამავე დროს, აღნიშნული ვაგონებით ტვირთის გადაზიდვა განხორციელდებოდა მოპასუხის კუთვნილი ინვენტარული პარკის ვაგონებით, რაც სანარმოს მოუტანდა დამატებით 87 591 შვეიცარული ფრანკის შემოსავალს, საქართველოს საზღვრებს გარეთ ვაგონის გადაადგილებისას მოპასუხის სასარგებლოდ დარიცხული გამოყენების საფასურის სახით (იხ. შეგებებული სარჩელი).

7. შეგებებული სარჩელით მოპასუხის შესაგებელი

7.1. ექსპედიტორმა მის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ შეუძლებელია მას რაიმე ზიანი მიეყენებინა შეგებებული მოსარჩელისათვის, რომელსაც ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა უკავია (იხ. შესაგებელი).

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები:

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა.

8.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგინდად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის მე-8, 319-ე, 408-ე, 411-ე, 992-ე მუხლები;

8.3. თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნასთან (იხ. წინამდებარე განჩინების 5.2-5.2.3 ქვეპუნქტები) დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა:

8.3.1. სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ

ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. კონტრაჰირების იძულება ვერ დაევალება პირს, თუ ასეთი ხელშეკრულების დადებისათვის კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური პირობები და კონტრაჰენტი ვერ აკმაყოფილებს მათ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მფლობელობაში არსებული ვაგონების მომსახურებაზე მოპასუხეს უარი არ განუცხადებია იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა რომელიმე სახელშეკრულებო პირობას. მოპასუხემ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაცხადა საკუთარი კომერციული ინტერესიდან გამომდინარე. მოპასუხე მიუთითებდა, რომ აკრძალვის გამოცხადების წინაპირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2014 წლის სექტემბრის თვეში მის ინვენტარულ პარკში რიცხული ვაგონების დაახლოებით 57% გაჩერებული იყო ცარიელ მდგომარეობაში, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანად აზარალებდა მოპასუხეს (ცარიელი ვაგონების მოცდენა, ცარიელი გარბენი, გაზრდილი საექსპლუატაციო ხარჯები და სხვა);

8.3.2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განმარტავს, რომ დომინირებული მდგომარეობა ესაა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება;

8.3.3. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის საკუთრებაშია სარკინიგზო ქსელი, ძირითადი სარკინიგზო ლიანდაგები და მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა გადაზიდვების წარმოება, ამდენად, მოპასუხე წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია სარკინიგზო სფეროში;

8.3.4. სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხის განმარტებას, რომ მას სრული უფლება გააჩნდა, შეეზღუდა გარკვეული ტიპის ვაგონების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე: მოპასუხეს, როგორც დომინირებული მდგომარეობის მქონე სანარმოს, საკუთარი

ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, არ გააჩნია უფლება, აკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა პირების საკუთრებაში არსებული ვაგონების შემოყვანა, ვინაიდან დაწესებული აკრძალვით ის თავიდან იცილებს კონკურენციას და საკუთარი თავისთვის ქმნის უსამართლო უპირატესობის გარანტიას. სადავო აკრძალვით პრაქტიკულად შეიზღუდა კონკურენცია და ამასთან ერთად, შეიზღუდა მოსარჩელის სამენარმეო საქმიანობა. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება და კონტრაქტორების მიზიდვა მოისურვა სხვა პირთა ხარჯზე, საკუთარი დომინირებული მდგომარეობის გამოყენებით. მოპასუხემ განუსაზღვრელი ვადით აირიდა თავიდან კონკურენცია და სხვა პირები დამოკიდებული გახადა მოპასუხეზე. მესამე პირებს მხოლოდ მოპასუხის კუთვნილი ვაგონებით შეუძლიათ ტვირთის გადაზიდვა, ამასთან, მათ აღარ გააჩნდათ საშუალება საქართველოს ტერიტორიის გავლით საკუთარი ვაგონები სხვა ქვეყანაში გადაეყვანათ. შედეგად, მოსარჩელემ ვეღარ შეძლო ვაგონების საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა და დატვირთვა, რითაც საფრთხე შეექმნა მესამე პირებთან ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული ქმედებები იწვევს სხვა პირების ეკონომიკური საქმიანობის ხელოვნურ შეზღუდვას და, შესაძლებელია, გააკოტრებასაც.

8.4. მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა:

8.4.1. გადაზიდვაზე უარის თქმის შემდეგ თავდაპირველი მოსარჩელე იძულებული გახდა, რომ უარი ეთქვა მისი ოპერირების ქვეშ არსებული ყაზახეთიდან აზერბაიჯანში შესული ვაგონების საქართველოში წამოსვლაზე და ისინი უკან-ყაზახეთში გაგზავნა, რაშიც გადაიხადა ტრანსპორტირების ღირებულება 19 518 აშშ დოლარი; ასევე, შემოღებული აკრძალვების გამო, მოსარჩელე იძულებული გახდა, ორჯერ ჩასულიყო ყაზახეთის რესპუბლიკაში, რისთვისაც გაიღო მივლინების ხარჯი – 4562 ლარი;

8.5. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ვინაიდან მოპასუხის ქმედება არ შეესაბამებოდა კანონს და არ ატარებდა მართლზომიერ ხასიათს, აღნიშნულმა გამოიწვია მატერიალური ზიანი, რისი ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს. სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა,

ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელეს წარმოეშვა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახითაც. საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ „კონვენციური აკრძალვის“ შედეგად მოსარჩელის მიუღებელი შემოსავალი შეადგენს 180 216 აშშ დოლარს, ხოლო მიუღებელი მოგება – 130 832 აშშ დოლარს;

8.6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს დაუბრუნდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული 35 000 ლარი. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად 35 000 ლარის მოძიების მიზნით, მოსარჩელემ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გააფორმა სს „თ-თან“, რომლის ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10,5 პროცენტს. მოსარჩელემ თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსა 2014 წლის 20 ნოემბერს. ამდენად, სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 2014 წლის 20 ნოემბრიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე უნდა დაეკისროს 35 000 აშშ დოლარის წლიური 10,5 პროცენტის გადახდა;

8.7. საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა (იხ. წინამდებარე განჩინების 6.2. ქვეპუნქტი) მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

8.7.1. სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რაც მონიშნავდა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უსაფუძვლოდ არ ყოფილა გამოყენებული და არ არსებობდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

9. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი:

9.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა და შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

9.1.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა მოსარჩელესთან გადაზიდვის ხელშეკრულების დადებაზე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციური აკრძალვა გამოაცხადა სარკინიგზო ადმინისტრაციების საბჭოს დირექციამ, რკინიგზის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნული ინფორმაციიდან კი არ გამომდინარეობდა დასკვნა, რომ რკინიგზამ უარი განაცხადა რომელიმე კლიენტთან, მათ შორის მოსარჩელესთან გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლაზე;

9.1.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო ნახევარვაგონებისა და დახურული ვაგონების აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოყვანა, რის გამოც იძულებული გახდა, ისინი დაებრუნებინა ყაზახეთში. სასამართლომ არასწორად განაწილა ამ გარემოებების მტკიცების ტვირთი და მოპასუხეს დააკისრა ვალდებულება, ემტკიცებინა ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობას მოპასუხე არ ადასტურებდა, არარსებული ფაქტზე მტკიცებულების წარდგენის საშუალება კი მოპასუხეს არ ჰქონდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე იყო ვალდებული, დაემტკიცებინა როგორც ზიანის გამომწვევი გარემოებები, ასევე მისი შედეგი – მიზეზობრივი კავშირი და ქონებრივი დანაკლისის მოცულობა. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მტკიცებულებები, რომლებსაც სასამართლო დაეყრდნო იურიდიული ძალის არმქონეა, რადგან არ შეიცავდა ცნობებს იმის შესახებ, რომ კონკრეტული ვაგონები განკუთვნილი იყო საქართველოში შემოსაყვანად სწორედ იმ პერიოდში, როცა გამოცხადებული იყო კონვენციური აკრძალვა. აღნიშნული არ იყო საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ მოსარჩელე ცდილობდა საქართველოში ვაგონების შემოყვანას, რაც შეუძლებელი გახდა სწორედ კონვენციური აკრძალვის მიზეზით და შედეგად, მოსარჩელე იძულებული გახდა, რომ იგივე ვაგონები გაეგზავნა უკან. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტორული კომპანიის „ც-ს“ დასკვნა ეყრდნობა მოსარჩელის მიერვე მიწოდებულ ინფორმაციას და წარმოადგენდა მხარის ციტირებას, რომ თითქოსდა ვაგონების მიღებაზე უარი თქვეს. შესაბამისად, ამ ნაწილში დასკვნისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭება მცდარი იყო;

9.1.4. დაუსაბუთებელი იყო სასამართლოს დასკვნა, რომ კონვენციური აკრძალვის მოქმედების 38-დღიან პერიოდში მოსარჩე-

ლე მიიღებდა 180 216 აშშ დოლარის შემოსავალს. აღნიშნულიც ზემოსხენებული (9.1.3 ქვეპუნქტში მითითებული) აუდიტორული კომპანიის დასკვნას ემყარებოდა, რაც ტენდენციურია და იჭრება სასამართლოს კომპეტენციაში, რადგან სამართლებრივად აფასებს ფაქტებს, ნაცვლად იმისა, რომ შეიცავდეს სპეციალისტის მოსაზრებას ტექნიკურ/მათემატიკურ ნაწილში. გაუგებარია, დასკვნის ავტორმა რის საფუძველზე ჩათვალა, რომ მოსარჩელე სადავო 38-დღიანი პერიოდის განმავლობაში აუცილებლად შემოიყვანდა ს-აზე 81 ერთეულ დახურულ და 40 ერთეულ ნახევარვაგონს, რომელთაც შემდეგ აუცილებლად დატვირთავდა და გააგზავნიდა იმ დანიშნულებით, როგორც ეს მითითებული იყო აუდიტორისათვის წარდგენილ დოკუმენტებში. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც არასწორად გაანალიზა მტიცების ტვირთი და მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების უგულვებელყოფით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი არგუმენტების გაქარწყლება მოპასუხეს დაავალა;

9.1.5. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განჩინების საფუძველზე მოსარჩელის მიერ 35 000 ლარის სასამართლოს დეპოზიტზე განთავსება, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიებიდან გამომდინარე ხარჯი, არ წარმოადგენს არც სასამართლო და არც სასამართლოს გარეშე ხარჯს. აღნიშნული ხარჯი მხარემ გასწავა სასამართლოს დავალებით, მოსარჩელისავე ინიციატივით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის პოტენციური ზიანის პრევენციის მიზნით. დეპონირებული თანხა არ წარმოადგენდა იმ აუცილებელ დანახარჯს, რომლის გარეშეც მოსარჩელე ვერ შეძლებდა სასამართლოში საქმის წარმართვას;

9.1.6. იმ ვითარებაში, როცა მოსარჩელე ყაზახურ მხარესთან თანამშრომლობდა არაერთ სხვადასხვა საკითხზე, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელი მივლინებით სწორედ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით იმყოფებოდა ყაზახეთში;

9.1.7. სასამართლომ არასწორად გამოიყენა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რადგან განსახილველი დავის მხარეები არიან არა ერთი და იგივე ბაზრის სეგმენტის მონაწილე ეკონომიკური აგენტები, არამედ – სატვირთო გადაზიდვების მიმწოდებელი (გადაამზიდავი) და ამ მომსახურებით მოსარგებლე კლიენტი. შესაბამისად, მხარეთა შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სარკინიგზო კოდექსის დებულებები.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის განჩინება და დასკვნები:

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 აპრილის განჩინებით მოპასუხის (იმავედროულად შეგებებული მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

9.2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციითა და მითითებებით:

9.2.1. სსსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ გამოიკვეთა ამავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი ადგენს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

9.2.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ რკინიგზის ადმინისტრაციების საბჭოს დირექციის მიერ რკინიგზის ინიციატივით კონვენციური აკრძალვის გამოცხადება არ ნიშნავდა მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. საპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ რკინიგზის ტრანსპორტის საბჭოს დირექციის დებულების მიხედვით, დირექტორთა საბჭოს ფუნქციებში არ შედის გადაწყვეტილებების მიღება თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების, ასევე სხვა, მესამე ქვეყნების რკინიგზების ადმინისტრაციების მიერ ვაგონების მიღების აკრძალვის შესახებ. „კონვენციური აკრძალვის“ შემოღების ის პროცედურა, რაც დადგენილია ზემოხსენებული წესებით, მხოლოდ უზრუნველყოფს რკინიგზის ადმინისტრაციის გადაწყვეტილების შესახებ დაკავშირებული რკინიგზების ადმინისტრაციებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რათა არ მოხდეს შესაბამისი ვაგონების იმ რკინიგზის მიმართულებით გატარება, რომელიც უარს აცხადებს მათ მიღებაზე. ამრიგად, ს-ის მიერ ინიცირებული და დსთ-ის სარკინიგზო ადმინისტრაციების დირექციის საბჭოს მიერ გამოცხადებული კონვენციური აკრძალვა წარმოადგენს მოპასუხის მიერ კლიენტებისთვის მომსახურების განევაზე და ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას;

9.2.3. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ იგი უფლებამოსილია გამოაცხადოს კონვენ-

ციური აკრძალვა და მხოლოდ ამ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რკინიგზის მომსახურებით სარგებლობისას წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მათ მონაწილეთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს სარკინიგზო კოდექსი (მუხლი 1). ამავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირება წესრიგდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. რაც შეეხება კონვენციური აკრძალვის იურიდიულ ქმედუნარიანობას და მასზე მითითებას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა: რკინიგზის სატრანსპორტო საბჭო, თავის მხრივ, შექმნილია რკინიგზის ტრანსპორტის კოორდინაციული ორგანოების შესახებ დსთ-ის 1992 წლის 14 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე, ხოლო საბჭოს დირექციის დებულება დამტკიცებულია თანამეგობრობის მონაწილე – სახელმწიფოთა მთავრობათა მეთაურების 1992 წლის 20 მარტის სხდომის ოქმით;

9.2.4. საქმეში წარდგენილია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 15 მაისის წერილი მოსარჩელის იმავე წლის 11 მაისის წერილობითი მიმართვის პასუხად, რომლის მიხედვით დსთ-ის ფარგლებში მიღებული 1992 წლის 14 თებერვლის შეთანხმება წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც არ არის სავალდებულო ძალის მქონე საქართველოსათვის, რადგან საქართველოს ამ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია და არც შემდგომ უღიარებია სავალდებულოდ, ხოლო 1992 წლის 20 მარტის დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოთა სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს და ამავე თარიღის სარკინიგზო ტრანსპორტის დირექციის საბჭოს დებულებები არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; საქმეში აგრეთვე წარდგენილია მოსარჩელის წერილზე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2015 წლის 29 მაისის პასუხი მოსარჩელის იმავე წლის 27 მაისის წერილზე, რომლითაც დგინდება, რომ ზემოხსენებული დოკუმენტები ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული არ არის;

9.2.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი არ იყო უფლებამოსილი, რომ კონვენციური აკრძალვა გამოეცხადებინა მითითებული კონვენციის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე, რამდენადაც აღნიშნული წესები არ წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლომ განსახილველი დავის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რო-

მელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, რამაც გამოიწვია მტკიცების საგანში შემავალი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არასწორად განსაზღვრა, დაუდგენლობა და შეუფასებლობა, გადაწყვეტილების დასაბუთება კი იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

9.2.6. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი, თუმცა, არ გამოუკვლევია აპელანტის (მოპასუხის) მიერ მითითებული ის გარემოებები, რომლებსაც ს-ა ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმისა და კონვენციური აკრძალვის გამოცხადების საფუძველად მიუთითებდა. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). ამ მიზნით დასადგენია შემდეგი გარემოებები: იყო თუ არა მოსარჩელესა და ოპერატორს შორის არსებული ხელშეკრულება მოქმედი იმ პერიოდში, როცა აკრძალვა გამოცხადდა (ვინაიდან აპელანტი მიუთითებდა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები მოქმედებდა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებების 9.2. პუნქტში კი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება, თუ არც ერთმა მხარემ ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე წერილობით არ შეატყობინა მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ); აგრეთვე, დასადგენია მოპასუხის განმარტება, რომ აკრძალვის გამოყენების აუცილებლობა განპირობებული იყო რკინიგზის პარკის გადატვირთულობით, ტექნიკური ნორმით დღე/ღამეში განსაზღვრული ვაგონების რაოდენობის გადამეტებით, ასევე ცარიელი საკუთარი ვაგონების შეყვანებით სარკინიგზო ადმინისტრაციის ფარგლებში, რაც აფერხებდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობას და აყენებდა რკინიგზას მნიშვნელოვან ზიანს; რაც შეეხება მოპასუხის ქმედების მართლზომიერებას და ამ ქმედების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მოსარჩელის ზიანთან და მის მოცულობასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რადგანაც დასადგენია მოპასუხის ქმედების მართლზომიერება, მტკიცების საგანი, აგრეთვე მტკიცების

საგანში შემავალი ფაქტები, ზიანის ანაზღაურების წინაპირობები და მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი ვერ გახდებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

9.2.7. მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შეგებებული სარჩელით დავის საგანს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის მოთხოვნის საფუძველია სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად“. იმ ვითარებაში, როცა პირვანდელ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული არ არის, შეუძლებელი იყო შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმება.

9.2.8. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის განსაზღვრასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო ამავე კოდექსის 670-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც გადაზიდვა-გადაყვანის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს.

10. მოსარჩელის და მოპასუხის საკასაციო საჩივრები

10.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს მხარეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ივლისისა და 4 სექტემბრის განჩინებებით მხარეთა საკასაციო განაცხადები წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადები არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ ისინი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული უნიკალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ე) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორთაგან არც ერთს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა საკასაციო სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადები.

14. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

15. საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

17. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „1. თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“ და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულია ყველა ის არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

17.1. განსახილველ შემთხვევაში სარჩელითა და შეგებებული სარჩელით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის წაყენებული მოთხოვნების საფუძვლიანობის გასარკვევად, ჯერ შესამოწმებელი და გამოსაკვლევია მოსარჩელის სტადიაზე თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და ის ფაქტობრივი წინაპირობები, რომლებიც აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობასა და და-

საბუთებულობაზე მიუთითებენ. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის შესახებ სასამართლოს კვლევა და მტკიცებულებების შემოწმება არ შეიძლება დაეფუძნოს სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილს, რადგან მხარეთა შორის საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოიშვა დავა (იხ. ამ განჩინების 9.2.8 ქვეპუნქტი);

17.2. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოითანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №ას-664-635-2016, პუნქტი 187).

17.3. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლით მინიჭებული უფლება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ქვემდგომ სასამართლოს იმ დასაბუთებით, რომ, უწინარესად, უნდა განისაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და შემოწმდეს განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობისადმი მისადაგებული ნორმის წინაპირობები, კერძოდ: სსკ-ის 670-ე მუხლის მიხედვით, რამდენად არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი (იხ. ამ განჩინების 9.2.6 ქვეპუნქტი). თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობილად მიჩნევის შემთხვევაში, შესაგებლის სტა-

დიაზე უნდა შემოწმდეს მოპასუხის საპასუხო არგუმენტების სამართლებრივი დამაჯერებლობა სსსკ-ის 210-ე მუხლის საფუძველზე და, ასევე, განისაზღვროს, მოპასუხის შეგებებული სარჩელის დასაბუთებულობა, სსსკ-ის 189-ე მუხლის თანახმად და მხოლოდ ამის შემდეგ – შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილი შესაგებლის საფუძველიანობა.

18. პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზიას საფუძველად უდევს პროცესუალური შედავება იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 385-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება, დაუსაბუთებლად თქვა უარი საქმის განხილვაზე და რაციონალური მართლმსაჯულების საწინააღმდეგოდ, საქმე ხელახლა განსახილველად ისევ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო საქმის უკან დაბრუნების ორ მიზეზს ასახელებს: ნორმის არასწორად – სსკ-ის 319-ე მუხლის ნაცვლად 670-ე მუხლის გამოყენებას მაშინ, როდესაც ორივე ნორმას ერთნაირი დატვირთვა აქვს და მეორე – გამოსარკვევი იყო მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის კომერციული და სხვა მიზეზები მაშინ, როდესაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო იმისთვის, რომ სააპელაციო სასამართლოს თავად მიეღო გადაწყვეტილება.

18.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქმეზე გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან გარემოებათა წრეს, მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგნის განსაზღვრის აუცილებლობას, არ იზიარებს პირველი კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის საქალაქო სასამართლოსთვის ხელახლა დაბრუნების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით და განმარტავს: სსსკ-ის 385-ე მუხლით განისაზღვრება ის სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა არსებობაც გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების საფუძველია: „სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა“. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ („გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად

არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომნ-
მება შეუძლებელია“) ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საფუძ-
ველმა განაპირობა საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინ-
სტანციის სასამართლოში დაბრუნება. უფრო კონკრეტულად, საა-
პელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არა მარტო რიგ გარემოე-
ბათა დაუდგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის წი-
ნაპირობების გამოსაკვლევად მნიშვნელოვანი მოთხოვნის დამ-
ფუძნებელი სამართლებრივი ნორმის გამოუყენებლობა, შესაბამი-
სად, მის საფუძველზე სარჩელის საფუძვლიანობის შემომნმებლო-
ბა არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის
ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი;

18.1.1. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი კასა-
ტორის მოსაზრებას, რომ სსკ-ის 319.2 და 670-ე (ხელშეკრულების
დადების ვალდებულება) მუხლები იდენტურ სამართლებრივ გან-
საზღვრებას შეიცავენ, რადგან სპეციალური ნორმის არსებობი-
სას, სწორედ მის ფარგლებში უნდა მოხდეს სადავო სამართალურ-
თიერთობის გამოკვლევა. მხარეთა მიერ გასაჩივრებული საქალა-
ქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობასთან და-
კავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო
სასამართლომ ისე გამოიყენა სსკ-ის 319.2 მუხლი, რომ არ გამოუყ-
ველეთა ამ ნორმით სუბსუმირებული ფაქტობრივი გარემოებები,
ამასთან, უნდა დადგინდეს, ხომ არ არსებობდა სსკ-ის 319.2 მუხ-
ლის შემადგენლობა, რამაც მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულების
დადებაზე უარი სამართლებრივად განაპირობა. მოთხოვნის დაკ-
მაყოფილების წინაპირობას სსკ-ის 670-ე მუხლი (სპეციალური ნორ-
მა) წარმოადგენს, რომელიც რკინიგზის მომსახურებით სარგებლო-
ბისას წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს
და მათ მონაწილეთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლო-
ბას განსაზღვრავს საქართველოს სარკინიგზო კოდექსი და სხვა
ნორმატიული აქტები, რაც საქალაქო სასამართლოს არ გამოუყე-
ნებია. სააპელაციო სასამართლო ნათლად და გარკვევით მიუთი-
თებს, რომ სამართლებრივი საფუძვლების დადგენის შემდეგ უნ-
და მოხდეს იმის შემოწმება, მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები
პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენ-
ტებს (შემადგენლობას). რაც შეეხება გარემოებებს, რომელთა დად-
გენასაც საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, სააპელაციო
სასამართლო მათზეც ვრცლად მიუთითებს, ესენია: ხელშეკრულე-
ბაზე უარის თქმის წინაპირობების გამოკვლევა, მოპასუხის ქმე-
დების არამართლომიერებისა და ზიანის დამდგენ გარემოებათა
კვლევა, მტკიცების საგნის დადგენა და მტკიცების ტვირთის სწო-
რად განაწილება; სასამართლომ მიუთითა იმაზეც, რომ გამოსაკ-

ვლევია, იყო თუ არა მხარეთა (მოსარჩელესა და ოპერატორს) შორის დადებული ხელშეკრულება ძალაში იმ დროს, როცა მოპასუხემ უარი განუცხადა მოსარჩელეს მომსახურებაზე.

18.1.2. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინებას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები და მათი სამართლებრივი შეფასებები სააპელაციო სასამართლოსთვის არ ქმნის საკმარის პროცესუალურ და მატერიალურ წინაპირობებს დავის გადასაწყვეტად და თუკი არ დადგინდება თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა, შეუძლებელი იქნება მოპასუხის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელის შესახებ მსჯელობა, ამ სახის სარჩელის პროცესუალურსამართლებრივი წინაპირობების გათვალისწინებით (სსსკ-ის 189-ე მუხლი).

19. მეორე კასატორის პრეტენზია უკავშირდება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 105-ე მუხლის უხეში დარღვევით, არასწორად დაადგინა მოსარჩელესა და ექსპედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსი და სამართლებრივად მცდავად შეაფასა;

19.1.1. მეორე კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ უზრუნველყო ხელშეკრულების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადასაწყვეტად, რადგან თავდაპირველი მოსარჩელე სწორედ იმას უკავშირებს თავის მოთხოვნას, რომ მას კონვენციურმა აკრძალვამ შეუშალა ხელი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. მოსარჩელესა და ამ განჩინების მე-2 პუნქტში მითითებულ ოპერატორს შორის დადებული ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი მოსარჩელის სასარგებლოდ ახორციელებდა გადაზიდვებს, შესაბამისად, მოსარჩელე იყო მისი კლიენტი და უხდიდა მომსახურების (ოპერირების) ღირებულებას და არა – პირიქით. აღნიშნული გარემოება საფუძველს აცლის მოსარჩელის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ კონვენციური აკრძალვის პირობებში იგი ვერ ახორციელებდა ვაგონების ოპერირებას, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ეს უკანასკნელი ოპერატორისათვის იყო კლიენტი, მომსახურების მიმღები და არა მომსახურების გამწევი სუბიექტი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა დამდგარი ზიანის შესახებ;

19.1.2. მეორე კასატორი შედავებას წარმოადგენს იმ თვალსაზრისითაც, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ აკრძალვა გამოაცხადა არა რკინიგზის ღირექტორთა საბჭომ, არამედ – მოპასუხემ. სინამდვილეში, რკინიგზის საბჭოს ჩართულობის გარეშე აღნიშნული აკრძალვა ვერ გამოცხადდებოდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეი-

ცავს ინფორმაციას მოსარჩელის მიერ კონკრეტული სარკინიგზო მომსახურების მიღებაზე ნების გამოვლენისა და რკინიგზის მხრიდან ამ მომსახურების მიღებაზე უარის თქმის თაობაზე;

19.1.3. სსსკ-ის 196-ე მუხლზე მითითებით, საკასაციო სამართლოს წინაშე მეორე კასატორმა იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ, ვინაიდან, მისი განმარტებით, ეს ღონისძიება დიდ ზიანს აყენებს მოპასუხეს. მოთხოვნის საფუძვლად მხარე იმაზე უთითებს, რომ ხელშეკრულება, რომელიც ოპერატორსა და მოსარჩელეს შორის მოქმედებდა, ამ დროისთვის შეწყვეტილია, ხოლო მოსარჩელეს არ წარუდგენია ხელშეკრულების გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი.

19.2. წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტში ასახული მსჯელობის კონტექსტში, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს არც მეორე კასატორის შედავებას და განმარტავს, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების გამორკვევა, სხვათაგან ერთად, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია იმას ეხება, რომ ეს უკანასკნელი მოპასუხის მეშვეობით უზრუნველყოფდა საქართველოში შემოსული ოპერატორის საკუთრებაში არსებული ვაგონების სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებას, დატვირთვისა და სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნას. კონვენციური აკრძალვის გამო მოსარჩელემ ვერ შეძლო ყაზახეთიდან აზერბაიჯანში შესული ვაგონების საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა და ვაგონები უკან დააბრუნა, რაშიც გადაიხადა 19 518 აშშ დოლარი, ხოლო ვინაიდან დაბრუნებული ვაგონები განკუთვნილი იყო მოსარჩელის კლიენტებისათვის მისაწოდებლად, რაც ვეღარ მოხერხდა, ამის გამო მას მიუღებელი შემოსავლის სახითაც მიადგა ზიანი.

19.2.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი სამართლებრივი წინაპირობების დადგენილად მისაჩნევად მნიშვნელოვანია სამი ფაქტობრივი გარემოების კუმულაციურად არსებობა: მოვალის არამართლობიერი ქმედება, დამდგარი ზიანი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პირველ და მეორე გარემოებას შორის. ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის და მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებათა წრე არის ვრცელი, მოცულობითი და ამავედროულად, დასადგენია საქმეზე როგორც ფაქტობრივსამართლებრივი, ისე ნორმატიული წინაპირობები, სააპელაციო სასამართლომ, საპროცესო კანონმდებლობის დანაწესის თანახმად, კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინებით, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს და-

უზრუნა. მტკიცების საგანში შემავალ და დასადგენ გარემოებათა გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეიძლება შეფასდეს საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების სანინალმდგომო ქმედებად, რადგან, საქმის დროული და ეფექტიანი განხილვა მოიცავს თითოეული მხარის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სადავო სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიებასა და მართებულად მისადაგებას, რაც მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიან და ობიექტურ განაწილებას სამოქალაქო მატერიალურ და საპროცესო სამართალში აღიარებული სტანდარტის შესაბამისად.

19.2.2. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რასაც საკასაციო სასამართლოც დაეთანხმა, რომ „გარემოებათა მის მიერ (სააპელაციო სასამართლოს მიერ) გამოკვლევა მიზანშეუწონელია. ასეთ შემთხვევაში მხარე დაკარგავდა კიდევ ერთ ინსტანციაში (სააპელაციო სასამართლოში) ფაქტობრივ გარემოებაზე შედავების შესაძლებლობას, ვინაიდან მას გასაჩივრება მოუწევდა პირდაპირ საკასაციო სასამართლოში, რომელიც ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს არ წარმოადგენს“ (იხ. სუსგ-ები: №ას-261-248-2015, 10.07.2015წ; №ას-450-429-2015, 28.07.2015წ.).

19.2.3. სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ კონვენციის ფარგლებში შექმნილ ორგანოსა და სამართლებრივ აქტებს საქართველოში იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მეორე კასატორი აკრიტიკებს და დსთ-ის ფარგლებში მოქმედ სარკინიგზო ადმინისტრაციების დირექციის საბჭოს როლსა და მის მიერ გამოცემული აქტების მტკიცებულებით მნიშვნელობაზე უთითებს, თუმცა, სამართლებრივად ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დსთ-ის კონვენციას ნორმატიული ძალა რომც გააჩნდეს, მოპასუხემ თავად მიმართა და მოითხოვა კონვენციური აკრძალვის გამოცხადება, ამიტომ აკრძალვის გამოცხადების წინაპირობებზე მითითება ცალსახად მისი მტკიცების ტვირთია და არა საბჭოსი, რომელსაც დებულების თანახმად, არ გააჩნია მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება (იხ. ამ განჩინების 9.2.2-9.2.5 ქვეპუნქტები).

19.2.4. მეორე კასატორის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლას შეეხება, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შუამდგომლობით დაყენებული საკითხის განხილვა დასაშვებია საქ-

მის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე სსსკ-ის 196-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა, კასატორი არ სთავაზობს სასამართლოს ალტერნატივას, რომლითაც უნდა ჩანაცვლდეს უზრუნველყოფის გასაუქმებელი ღონისძიება, რაც ენინააღმდეგება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის პროცესუალურ დანაწესს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას (იხ. სუსგ-ები: №ას-650-621-2016, 29.07.2016წ; №ას-454-436-2016, 18.07.2016წ.).

20. „სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება“... (იხ. სუსგ №ას-№ას-471-450-2015, 30.10.2015წ; შდრ. სუსგ-ებს: №ას-973-922-2015, 16.02.2016წ; №ას-151-147-2016, 19.04.2016წ; №ას-1132-1088-2016, 17.02.2016წ.). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, რაც მხარეთა საკასაციო განაცხადების არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის საფუძველია.

21. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი (იხ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „G“-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
3. სს „ს-ის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „G“-ს (ს/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სა-

ხელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადასახადო დავალება №1496737053, გადახდის თარიღი 2017 წლის 6 ივნისი), 70% – 210 ლარი;

5. სს „ს-ას“ (ს/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის (საგადახდო დავალება №3717, გადახდის თარიღი 2017 წლის 9 აგვისტო), 70% – 5600 ლარი;

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.